დღეს, როცა საუბარია ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცების თაობაზე, პირველ რიგში, იგულისხმება პარლამენტი, რომლის როლი ქვეყნის ცხოვრებაში უფრო მეტად გაიზარდა [2, გვ. 66], რაც ძირითადად გამოიხატა იმაში, რომ გაფართოვდა პარლამენტის უფლებამოვალეობანი. რაც შეეხება მთავრობას, როგორც ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე, რადგან ის უფლებამოსილებას იძენს პარლამენტის მხრიდან ნდობით აღჭურვის შემდეგ. საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს. პარლამენტის მუშაობის წესი განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც პარლამენტის წევრის, კომიტეტის ან საპარლამენტო ფრაქციის ინიციატივის საფუძველზე სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს პარლამენტი. რეგლამენტს აქვს კანონის ძალა და მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე [4, გვ. 24, 25, 28].

პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ახორციელებს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას. კონსტიტუციის 47-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულობის რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას ის ახორციელებს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეოთხედის უმრავლესობით [4, გვ. 33].

იმ საერთაშორისო ხელშეკრულების გარდა, რომელიც ითვალისწინებს რატიფიცირებას, სავალდებულოა, აგრეთვე, ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება, რომელიც ითვალისწინებს: ა) საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთა კავშირში საქართველოს შესვლას; ბ)ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრის შეცვლას; გ) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღება-გაცემასთან; მოითხოვს შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას; ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონების მიღებას. პარლამენტს უნდა გადაეცეს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებიც [4, გვ. 34]. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ან წარდგინების შემთხვევაში დაუშვებელია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე [4,გვ. 34).

საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული ერთიანობის გარანტი. ის არის საქართველოს თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. საგარეო ურთიერთობებში საქართველოს წარმოადგენს პრეზიდენტი [4, გვ. 35].

საქართველოს პრეზიდენტის არჩევა ხდება ხუთი წლის ვადით. მას დებატების გარეშე ღია კენჭისყრით ირჩევს საარჩევნო კოლეგია (ერთი და იგივე პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია არანაკლებ 15 წლისა [4, გვ. 34]). საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობაში შედის 300 წევრი. მათ შორის, საქართველოს პარლამენტისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა წევრი. საარჩევნო კოლეგიის სხვა წევრებს კი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ორგანული კანონის საფუძველზე განსაზღვრული კვოტების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობიდან ასახელებენ შესაბამისი პოლიტიკური პარტიები [4, გვ. 36].

აღსანიშნავია ის, რომ პრეზიდენტი უშუალოდ მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში. აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, იღებს სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ელჩებისა და სხვა

დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას. ასევე მთავრობის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებს და დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელებს. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს სახელით დებს კონსტიტუციურ შეთანხმებებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან. კონსტიტუციითა და ორგანული კანონით დადგენილი წესით ნიშნავს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს.

პრეზიდენტი მთავრობის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურს, ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ წევრს. ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, მონაწილეობს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების თანამდებობაზე განწესებაში. ის მთავრობის წარდგინებით პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების წევრობის კანდიდატებს. ასევე, ორგანული კანონით დადგენილი წესით, წყვეტს მოქალაქეობის საკითხებს, შეიწყალებს მსჯავრდებულებს; კანონით დადგენილი წესით ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებსა და პრემიებს, უმაღლესი სამხედრო, სპეციალურ და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს; პრეზიდენტი უფლებამოსილია მთავრობის წარდგინებითა და პარლამენტის თანხმობით შეაჩეროს ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობა ან დაითხოვოს იგი, თუ მისი მოქმედებით საფრთხე ექმნება ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებას. პრეზიდენტი ახორციელებს აგრეთვე კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს [4, გვ. 38-39]. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია პარლამენტის, მთავრობისა და არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით დანიშნოს რეფერენდუმი კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ საკითხებზე, მისი დანიშვნის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. არ შეიძლება რეფერენდუმის ჩატარება კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, ამნისტიის ან შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულების გაუქმების ან დენონსირების შესახებ. აგრეთვე, ისეთ საკითხებზე, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ძირითადი კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას. რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის შესახებ მის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი საჭიროებს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერას. სამართლებრივი აქტი, რომელიც საჭიროებს თანახელმოწერას ქვეყნდება და სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ თანახელმოწერის შემდეგ. თანახელმოწერილ სამართლებრივ აქტზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას.

თანახელმოწერას არ საჭიროებს საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი, რომელიც უკავშირდება არჩევნების დანიშვნას, პარლამენტის დათხოვნას, პარლამენტის სესიისა ან სხდომის მოწვევას, კანონის ხელმოწერასა და გამოქვეყნებას, პარლამენტისთვის კანონის შენიშვნებით დაბრუნებას, პრემიერ-მინისტრის დანიშვნას, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების თანამდებობებზე განწესებას; ასევე, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის წარდგენას, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის დანიშვნას, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნას, სახელმწიფოს ჯილდოებისა და პრემიების, საპატიო წოდებების მინიჭებას; მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტას, მსჯავრდადებულთა შეწყალებას, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებების განხორციელების ორგანიზებას [4, გვ. 40].

საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობა - აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ის ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან; სამინისტრო იქმნება მთავრობის უფლებამოსილების განსაზღვრულ სფეროში, სახელმწიფოს პოლიტიკისა და მმართველობის განხორციელების უზრუნველსაყოფად და მას ხელმძღვანელობს მინისტრი.

მთავრობის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით, რომლის პროექტს პარლამენტს წარუდგენს მთავრობა [4, გვ. 41]. მთავრობის მეთაურია პრემიერ-მინისტრი. პრემიერ-მინისტრი ნიშნავს და ათავისუფლებს მინისტრებს. იგი უფლებამოსილია ერთ-ერთ მინისტრს დააკისროს პირველი ვიცე-პრემიერის, აგრეთვე ერთი ან რამდენიმე მინისტრს ვიცე-პრემიერის მოვალეობა [4, გვ. 42]. პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს და ახორციელებს მთავრობის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას, კოორდინაციასა და კონტროლს უწევს მინისტრების საქმიანობას, ხელს აწერს მთავრობის სამართლებრივ აქტებს. უშუალოდ პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს საქართველოს სახელით. პრემიერ-მინისტრი მთავრობის საქმიანობისათვის ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. წელიწადში ერთხელ ის წარუდგენს პარლამენტს მოხსენებას სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის, ან მისი ცალკეული ნაწილის შესრულების შესახებ [4, გვ. 43].

აღსანიშნავია, პარლამენტის მიერ მთავრობისადმი ნდობის გამოცხადების ფორმა და მისი მიმდინარეობის პროცედურა. ახლადარჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენისთანავე მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას პარლამენტის წინაშე. მაგრამ იმ განსხვავებით, რომ განაგრძობს თავისი მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის

დანიშვნამდე. პარლამენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან, აგრეთვე, პრემიერ-მინისტრის გადადგომიდან ორი კვირის ვადაში, ნდობას უცხადებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პოლიტიკური პარტიის მიერ წამოყენებულ პრემიერ-მინისტრის კანდიდატის მიერ წარდგენილ მთავრობას. მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარედგინება სამთავრობო პროგრამა. ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა. ხოლო უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში მთავრობისადმი უნდობლობის საკითხის აღძვრას მხარი უნდა დაუჭიროს პარლამენტის შემადგენლობიდან ერთმესამედზე მეტმა [4, გვ. 44].

ამდენად, საქართველო ამჟამად თავისი პოლიტიკური მმართველობის ფორმით, სახელმწიფოს ტიპით, პოლიტიკური რეჟიმის ხასიათით საპარლამენტო რესპუბლიკაა. ხოლო საპარლამენტო რესპუბლიკა სახელმწიფო მმართველობის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლების მექანიზმში წამყვანი როლი ეკუთვნის არჩევით საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტს.

ამ სახის რესპუბლიკაში აღმასრულებელი ხელისუფლების მთავრობის შექმნა ხდება საპარლამენტო გზით, პარლამენტის წევრების ხმათა უმრავლესობის საფუძველზე. პარლამენტი ახორციელებს მთელ რიგ ფუნქციებს, წარმართავს საკანონმდებლო საქმიანობას, ახორციელებს მთავრობის კონტროლს, ამტკიცებს ბიუჯეტს, განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ძირითად მიმართულებებს, საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის სტრატეგიულ საკითხებს და სხვ. თანამედროვე საპარლამენტო რესპუბლიკაში, როგორც წესი, ირჩევენ სახელმწიფოს მეთაურს. თუმცა მისი არჩევის პროცედურა არაერთგვაროვანია [1, გვ. 64]. მაგალითად, იტალიაში რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევენ ორივე პალატის წევრები ერთობლივ სხდომაზე. მაგრამ ამავე დროს არჩევნებში მონაწილეობს სამი დელეგატი თითოეული მხრიდან, რომელსაც ირჩევს სამხარეო საბჭო. ფედერაციულ სახელმწიფოებში პარლამენტის მონაწილეობა სახელმწიფო მეთაურის არჩევაში, ასევე იყოფა ფედერაციის წევრთა წარმომადგენლებს შორის. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პრეზიდენტს ირჩევს ფედერალური საკრებულო, რომელიც შედგება ბუნდესტაგის წევრებისა და ამავე რაოდენობის იმ წარმომადგენლებისაგან, რომელთაც ირჩევენ მიწის ლანდტაგები პროპორციული წარმომადგენლობის საწყისებზე. საპარლამენტო რესპუბლიკაში სახელმწიფოს მეთაური შეიძლება არჩეულ იქნას საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე იქ, სადაც დაკანონებულია პრეზიდენტის არჩევა მოსახლეობის მიერ ექვსი წლის ვადით. ამასთანავე სახელმწიფოს მეთაურს იმავე საპარლამენტო რესპუბლიკაში გააჩნია საკმაოდ დიდი უფლებამოსილებანი, რაც გამოიხატება შემდეგში: ის აქვეყნებს კანონებს, გააჩნია პარლამენტის დათხოვნის უფლება, ნიშნავს მთავრობის მეთაურს, წარმოადგენს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს და ა.შ. [1, გვ. 64].

ამრიგად, რესპუბლიკური მმართველობის საპარლამენტო ფორმა წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ისეთ სტრუქტურას, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებასა და განვითარებას ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. დარსანია, პოლიტიკური ინსტიტუტები, თბ, 2011;
2. მ. მაცაბერიძე, ქართული პოლიტიკა: ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი. თბ., 2006;
3. პოლიტოლოგია, ო. გოგიაშვილის რედ-ით, თსუ, თბ., 2004;
4. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2023.

# მონეტარისტული მოდელის დამანგრეველი შედეგები... რა იწვევს ინფლაციას და რას იწვევს ინფლაცია?

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.04.03



**ნასყიდა დარბუაშვილი**
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
https://orcid.org/0009-0001-8583-5773
E. mail: naskida@yandex.ru

**ანოტაცია**

სტატია ეხება ინფლაციის ბუნებას, მის სახეებს და ეკონომიკურ შედეგებს. მასში განხილულია თუ როგორ აისახება ეს მოვლენა საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. ინფლაცია განმარტებულია, როგორც ფასების საერთო დონის ზრდა და მისი სხვადასხვა სახეობები განიხილება, როგორიცაა ერთნიშნა, ხტუნავი, ჭენებად და გიპერინფლაცია.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ იწვევს ფულის ემისია ინფლაციას, რა შედეგები მოჰყვება მას ეკონომიკაში და შენიშნავს, რომ ინფლაცია უფრო კომპლექსური მოვლენაა, ვიდრე უბრალოდ ფასების ზრდა. მას, შესაძლოა, ჰქონდეს მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური შედეგები, როგორიცაა მოსახლეობის გაღარიბება და ეკონომიკური კრიზისები.

ძირითადი მიზეზი, რის გამოც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა არ ვითარდება და არასწორად დათვლილი სტატისტიკური მაჩვენებლების ილუზიით იკვებება მონეტარული მოდელის თავსმოხვევაა. ამ სენისგან და მონეტარისტების მიერ დაშვებული შეცდომებისგან უნდა განვთავისუფლდეთ - ასკვნის ავტორი.

ნაშრომში წარმოდგენილია მონეტარული მოდელის დამანგრეველი შედეგების  დამადასტურებელი არგუმენტები.

**საკვანძო სიტყვები:** ინფლაცია, დეფლაცია, ფასების ზრდა, ფულის ემისია, დეკრეტული ფული, ეკონომიკური კრიზისები.

# THE DESTRUCTIVE CONSEQUENCES OF THE MONETARIST MODEL... WHAT CAUSES INFLATION AND WHAT CAUSES INFLATION?

**Darbuashvili Naskhida**
Academic Doctor of Economic Sciences
https://orcid.org/0009-0001-8583-5773
E. mail: naskida@yandex.ru

**ANNOTATION**

The article deals with the nature of inflation, its types and economic consequences. It discusses how this event affects the financial situation of the society. Inflation is defined as an increase in the overall price level and its different types are considered such as single digit, jump, spike and hyperinflation.

The author focuses on how the emission of money causes inflation, what consequences it has in the economy, and notes that inflation is a more complex phenomenon than just an increase in prices. It may have significant social and economic consequences, such as population impoverishment and economic crises.

The main reason why the economy of our country does not develop and is fed by the illusion of incorrectly calculated statistical indicators is the self-inversion of the monetary model. We should get rid of this age and the mistakes made by monetarists - concludes the author.

The paper presents arguments confirming the destructive results of the monetary model.

Key words: inflation, deflation, price increase, money emission, discretionary money, economic crises.

## შესავალი

„ინფლაცია“, ამ სიტყვის ხსენება ყველა ადამიანში მკვეთრ უარყოფით ემოციებს წარმოშობს. თუ ჩაუღრმავდებით, „ინფლაცია“ ეკონომიკაში განვითარებული რთული უარყოფითი პროცესების ლოგიკური შედეგია. ამასთან ერთად, „ინფლაცია“, თავის მხრივ, განაპირობებს ეკონომიკაში დიდ უარყოფით პროცესებს.

„ინფლაცია“ ლათინური სიტყვაა და „გაბერვას“ აღნიშნავს, ეკონომიკაში კი - ფასების გაბერვას. საზოგადოებაში - უფრო გასაგებად და უფრო ნათლად - ფასების ზრდას გულისხმობენ. ეკონომისტები მას ფასების საერთო დონის ზრდას უწოდებენ, ანუ ეკონომიკურად ინფლაცია არა ცალკეულ პროდუქციაზე ფასების ზრდას, არამედ ქვეყნის ეკონომიკაში ფასების არსებული საშუალო დონის მატებას ნიშნავს.

სიტყვა „ინფლაცია“, შემთხვევით არ იწვევს ადამიანში უარყოფით ემოციებს, ინფლაციის დროს მოსახლეობა ღარიბდება, ანუ მოსახლეობის მდგომარეობა ინფლაციამდე არსებულთან შედარებით უარესდება. თუ ქვეყანა განვითარებულია და ეკონომიკურად ძლიერია, ეს მოვლენა მოსახლეობისთვის ნაკლებად მტკივნეულია. თუ ქვეყნის ეკონომიკა სუსტია და მოსახლეობის უმრავლესობა ღარიბია, ინფლაცია ამ მოსახლეობის ტრაგედიაა. ინფლაციის დროს ადამიანს-ოჯახს არსებული შემოსავლების პირობებში ეზრდება ხარჯები, ანუ არსებული შემოსავლებით ოჯახი ყიდულობს უფრო ნაკლებ ეკონომიკურ სიკეთეებს, ვიდრე ინფლაციამდე ყიდულობდა, სწორედ ეს იწვევს მოსახლეობის გაღარიბებას.

იმის თქმა, რომ ინფლაცია ფასების საერთო დონის ზდრაა, იგივეა, რომ არაფერი ვთქვათ ინფლაციაზე. ინფლაცია გაცილებით უფრო რთული და მრავლის მომცველი მოვლენაა ეკონომიკაში. „ფასების ზრდა“ ეს არის ხილული სახე - „ზედაპირი“ იმ რთული პროცესებისა, რაც ეკონომიკაში მიმდინარეობს. ინფლაცია, თავისი არსით, ზღვის ზედაპირს გავს, ჩვენ ვხედავთ ზღვის ზედაპირს, მის ძლიერ ან სუსტ ღელვას და სხვას არაფერს. მაგრამ, თუ ზღვის სიღრმეში ჩავალთ, ჩვენ ვნახავთ ურთულეს ბიოლოგიურ, ქიმიურ და ფიზიკურ პროცესებს, მათი ურთიერთქმედების დადებით და უარყოფით შედეგებს, ზღვის ზედაპირზე კი ეს ყველაფერი არ ჩანს. ზუსტათ ასეევა ინფლაცია. ფასების ზრდა ესაა „ხილული ზედაპირი“, რომლის მიღმაც სიღრმეებში ურთულესი ეკონომიკური პროცესები მიმდინარეობს.

ნაშრომის შესრულების მიზანია ამ პროცესების არსში გარკვევა და ინფლაციის გამომწვევი ეკონომიკური პროცესების ანალიზი, პასუხი გავცეთ კითხვებზე: რა იწვევს ინფლაციას და რას იწვევს ინფლაცია?

## ძირითადი ტექსტი

### ინფლაციის სახეები

ინფლაციას ითვლიან პროცენტებში და ის აღნიშნავს თუ რამდენი პროცენტით გაიზარდა ფასების საერთო დონე წლის განმავლობაში, გასულ წელთან შედარებით. აქედან გამომდინარე, განასხვავებენ ინფლაციის რამოდენიმე სახეს, მათ შორისა, ერთნიშნა ინფლაცია, ანუ ფასების საერთო დონის ზრდა, რომელიც წლის განმავლობაში არ აღემატება 9 პროცენტს, მას **ბუნებრივი ინფლაცია** ეწოდება. ეკონომიკაში მიმდინარე რთული პროცესების გამო, ინფლაცია ნებისმიერ შემთხვევაში გარკვეული დონით მაინც მოხდება. თუ ინფლაციის პროცენტი ორნიშნა ციფრით გამოიხატება, მას **მხტუნავი ინფლაცია ეწოდება.** ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნაში მძიმე ეკონომიკური პროცესები მიმდინარეობს - ეკონომიკა კრიზისშია და ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში არსებული ფულის ნორმალურ მსყიდველობით უნარს. თუ წლის განმავლობაში ინფლაციის მაჩვენებელი სამნიშნაა, ანუ ასი და მეტი პროცენტია ასეთ ინფლაციას **ჭენებად ინფლაციას** უწოდებენ, ასეთი ინფლაციის დროს ეკონომიკა ღრმა კრიზისშია, პრაქტიკულად, მთლიანად ჩამოშლილის პირასაა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასეთ დროს ქვეყანას ეკონომიკა აღარ გააჩნია, ან ეკონომიკური სიმძლავრეები კი აქვს, მაგრამ მათი ეკონომიკური ეფექტი ან ნოლია, ან მასთან ახლოსაა. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქვეყნა მთლიანად უცხოურ ინექციებზე ანუ უცხოურ დახმარებაზეა დამოკიდებული. და ბოლოს, **გიპერინფლაცია** - ინფლაცია, რომელიც 4 ნიშნა ციფრით გამოიხატება. ამ სახის ინფლაციის დროს ფასწარმოქმნა მთლიანათაა მოშლილი. ასეთ პირობებში ეკონომიკის მუშაობა შეუძლებელია და ყველაფერი ჩერდება.

**ხელისუფლება სახელმწიფო სავალდებულო ხარჯების დაფინანსებას და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას ცდილობს დიდი ოდენობით ფულის ემისიის ხარჯზე, სწორედ ეს იწვევს გიპერინფლაციას.**

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ინფლაციის სხვა გვარი დაყოფაც, თუმცა არსი არ იცვლება - იგივეა. ალბათ მკითხველს უჩნდება ლოგიკური კითხვა: თუ ფულის ემისია ასე აზიანებს ეკონომიკას და მთლიანათ ქვეყანას, მაშინ რატომ იღებს ხელისუფლება ფულის ემისიის გადაწყვეტილებებს?

საქმე იმაშია, რომ სახელმწიფოს გააჩნია ხარჯები, რომელთა გაწევაც აუცილებელია. ასეთებია სოციალური სახის ხარჯები, მაგალითად, პენსიები, თავდაცვის ხარჯები, სახელმწიფო სტუქტურების და მთავრობის შენახვის ხარჯები, ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებაზე ხარჯები, საერთაშორისო ვალდებულებებზე გასაწევი ხარჯები და ა.შ. როცა სახელმწიფო ბიუჯეტში შესული თანხები არაა საკმარისი სავალდებულო ხარჯების დასაფარად, ხელისუფლება დეფიციტს აფინანსებს ვალების აღებით, ან ფულის ემისიით. ხშირად, უცხოეთიდან ვალის აღება შეუძლებელია არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ან პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე და **ხელისუფლება მხოლოდ ფულის ემისიით ახერხებს სავალდებულო ხარჯების დაფინანსებას. ეს კი იწვევს ინფლაციას.**

ჩვენ გამოვლილი გვაქვს ის პერიოდი, როცა ინფლაციის წლიური დონე 1000 %-ს აღემატებოდა. უნგრეთში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, წლიური ინფლაცია 60 000%-ს აჭარბებდა. გერმანიაში, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ვერსალის სამშვიდობო მოლაპარაკების

დროს, გერმანიაზე დაკისრებული რეპარაციების გამო, ინფლაცია ასი ათასობით და მილიონობით პროცენტს შეადგენდა. რეპარაციების საერთო მოცულობამ 115 000 ტონა უმაღლესი სინჯის ოქრო შეადგენდა, რაც წარმოუდგენლად დიდი ოდენობა იყო. სწორეთ რეპარაციებმა და ამის შედეგად უმძიმესმა ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ განაპირობა ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლა, მეორე მსოფლიო ომი და მსოფლიოში მომხდარი ყველა სხვა კატასტროფული შედეგები - 70 მლნ. ადამიანის დაღუპვა, ასობით მილიონი ადამიანის დაინვალიდება, ებრაელების გენოციდი, ხეროსიმა და ნაგასაკი და ა.შ. ასე, რომ ინფლაცია უბრალოდ ფასების ზრდა არ არი, ინფლაციის მიღმა ხშირად უმძიმესი, კატასტროფული შედეგებია. წლების განმავლობაში ოთხ ნიშნა ინფლაციამ და მოსახლეობის მასიურმა გაღატაკებამ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნიდან გააქცია.

**საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ინფლაციას იწვევს ფულის ემისია, თუ უფრო დავაზუსტებთ, „დეკრეტული ფულის“ ემისია.** „დეკრეტული ფული“ ხელისუფლების „დეკრეტის“, ანუ ხელისუფლების განკარგულების - კანონის საფუძველზე შედის ბრუნვაში, ამიტომაც ქვია „დეკრეტული ფული“. ყველა, ვინც ქვეყანაში ცხოვრობს და მოღვაწეობს, ვალდებულია ხელისუფლების მიერ გამოშვებული ფულის ნიშნები (ფული) მიიღოს და გამოიყენოს ეკონომიკურ საქმიანობაში, აგრეთვე სხვა გარიგებებში. თეორიულად, ხელისუფლება პასუხისმგებელია მის მიერ გამოშვებული „დეკრეტული ფულის“ სიმყარეზე და სხვა ფულად თვისებებზე. სინამდვილეში „დეკრეტული ფული“ ხელისუფლების მხრიდან არაფრით გამყარებული არ არის. ითვლება, რომ ამ ფულს ქვეყნის ეკონომიკა ამყარებს.

**როცა ქვეყნის ეკონომიკა ვერ უზრუნველყოფს ემისირებული ფულის პროპორციული ოდენობის დამატებით პროდუქციას, ქვეყანაში ვითარდება ინფლაცია.**

დეკრეტული ფულის შემოღებამდე მოქმედებდა „ოქროს სტანდარტი“. ბრუნვაში კი ბრუნავდა ქაღალდის ფული. მაგრამ ის გამყარებული იყო ოქროთი ანუ ქაღალდის ფულის ყოველ ნომინალს კონკრეტული ოდენობის ოქრო შეესაბამებოდა. სახელმწიფოს არ შეიძლებოდა ბრუნვაში იმაზე მეტი ფული ქონოდა, რაც მის ოქროს რეზერვს არ შეესაბამებოდა, ან ოქროს მაგივრად, უნდა ქონოდა სარეზერვო ვალუტა - დოლარი, რომელსაც 1944 წელს მიღებული ბრეტონვუდის შეთანხმებით, აშშ-ს მთავრობა გარანტირებული ოქროთი ამყარებდა. აშშ დოლარის ოქროთი გამყარებისთვის, აშშ-ს ოქროს მარაგები სწრაფი ტემპებით მცირდებოდა, ამის გამო, გასული საუკუნის 70 წლებში აშშ უარი განაცხადა დოლარის ოქროთი გამყარებაზე და ამით, პრაქტიკულად, დასრულდა ოქროს სტანდარტის ეპოქა. ამის შემდეგ ქვეყნების ბრუნვაში მხოლოდ დეკრეტული ფულია.

ეკონომისტები დღესაც დაობენ, დეკრეტულ ფულზე გადასვლა ხელოვნურად მოხდა თუ ბუნებრივად. ამაში რომ გავერკვეთ, უნდა ჩავიხედოთ ისტორიაში, ვინ და როდის გამოიყენა პირველად დეკრეტული ფული?

ახალი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში, ჩინეთში ოქროს მწვავე დეფიციტის პირობებში უფულობის გამო, მძიმე ეკონომიკური და სოციალური პრობლემები შეიქმნა. ჩინეთის მაშინდელმა მმართველობამ, ფულის დეფიციტის პრობლემა რომ გადაეწყვიტა, ბრუნვაში შეიტანა რკინის ფული და სავალდებულო გახადა რომ ის ყველას მიეღო ანგარიშსწორებაში. ამ კანონის დამრღვევი უმკაცრესად ისჯებოდა. რკინის ფული, ოქროს ფულის მსგავსად, ანგარიშსწორებაში თავისი ნომინალით (რკინის საბაზრო ღირებულებით) მონაწილეობდა. რასაც ერთი გრამი ოქრო ყიდულობდა, იმავე საქონლის შეძენას კილოგრამობით რკინის ფული ჭირდებოდა. ვაჭრებს უგროვდებოდათ ათობით კილოგრამი რკინის ფული, რისი ტარებაც შეუძლებელი იყო. ამ ვითარებიდან ვაჭრებმა საინტერესო გამოსავალი გამონახეს. იმ ვაჭრებს, ვისაც ბაზარზე კაპიტალური შენობა-ნაგებობა ქონდათ, რკინის ფულს შესანახად აბარებდნენ, მისგან კი ხელწერილს, „ვექსილს“ იღებდნენ, რომ ფული მასთან ინახება. ამის სანაცვლოდ, შემნახველი გარკვეულ სარგებელს იღებდა. დროთა განმავლობაში, რკინის ფულის ფიზიკურად გადაცემის მაგივრად, ვექსილებმა დაიწყეს გარიგებებში მონაწილეობა და ხელიდან ხელში გადასვლა. ასე ბუნებრივად დაიწყო ქაღალდის ვექსილებმა ფულის ფუნქციის შესრულება.

ჩინეთის მაშინდელმა მმართველებმა ამ პროცესში ფულთან დაკავშირებული პრობლემების გამოსავლის გზა დაინახა - გამოუშვა სხვადასხვა ნომინალის ქაღალდის ვექსილები-ფული, იმ პერიოდში ჩინელებს უკვე ქონდათ ქაღალდზე ბეჭვდის ტექნოლოგია. ქაღალდის ფულით ანგარიშსწორება სავალდებულო იყო ყველასთვის. ასე მოხდა ქაღალდის ფულის პირველი გამოყენება ჩინელების მიერ.

როგორც ვხედავთ, ქაღალდის ფულის პირველი გამოყენება ბუნებრივად მოხდა ჩინელი ვაჭრების მიერ VII საუკუნეში, მეორედ კი, ჩინეთის მაშინდელმა ხელისუფლებამ „დეკრეტით“, კანონის ძალით ის გაუშვა ბრუნვაში. ამრიგად, ქაღალდის ფული ჯერ ბუნებრივად, შემდეგ კი ხელოვნურად იქნა ბრუნვაში შეტანილი.

იმისათვის, რომ მთავრობას ფულის ემისიის საშუალება არ ქონდეს, ეკონომისტთა ერთი ნაწილის აზრით უნდა დაუბრუნდეთ „ოქროს სტანდარტს“ ანუ ოქროს ფულს. ითვლება, რომ ოქროს ფული არ განიცდის ინფლაციას, ასეთი მოსაზრება მცდარია. ნებისმიერი სახის ფული, მათ შორის, ოქროს ფული, თავისი ბუნებით ინფლაციურია. საინტერესო ისაა, რომ ოქროს ფული მრავალი საუკუნე გამოიყენებოდა და მისი ინფლაციური ბუნება არავის შეუსწავლია.

„დეკრეტული ფულისგან“ განსხვავევებით, ოქროს ფული ბუნებრივად შედის და გამოდის მიმოქცევაში, სწორედ ეს იწვევს სერიოზულ დაბნეულობას. დაუშვათ, რომ გვალვის ან სხვა მიზეზით დაბალი მოსავალი მოვიდა. რა ხდება ამ დროს? ბაზარზე პროდუქციის შემცირების გამო, ფასები ოქროს ფულშიც იზრდება ანუ გრამი ოქრო უფრო ნაკლებ პროდუქტს ყიდულობს. არსებული შემოსავლების და გაძვირებული პროდუქციის პირობებში იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ცხოვრების ნორმალური პირობები, იმას, ვისაც ოქრო აქვს ნაკეთო-

ბების ან ზოდების (შენახული, ანუ დაგროვილი ოქრო) სახით, მონეტებში (ფულში) გადააქვს, ბაზარზე ოქროს ფულის მოცულობა იზრდება, რაც დამატებით ზრდის მოთხოვნას პროდუქციაზე და უფრო მეტად აძლიერებს ინფლაციურ პროცესებს ანუ იწვევს დამატებით ინფლაციას. დაუშვათ, რომ შემდეგ წელს უხვი მოსავალი მოვიდა, პროდუქცია იაფდება, ბაზრის სუბიექტს თავისი საქმიანობიდან მიღებული ფულადი შემოსავლებიდან იმდენი ოქრო აღარ ჭირდება სახარჯად და ოქროს ნაწილი გადააქვს ნაკეთობებში ან ზოდებში. ამოღებული ოქროს ფული ამცირებს მოსახლეობის მოთხოვნას პროდუქციაზე, ზრდის ოქროს მსყიდველობით უნარს და უფრო აძლიერებს დეფლაციურ პროცესებს.

ოქროს ფული, დეკრეტული ფულისგან განსხვავებით, თვითონაა საქონელი და გააჩნია საბაზრო ფასი, სწორედ ამ ფასით მონაწილეობს გაცვლებში ფულის-მონეტის სახით და ეს წარმოშობს კიდევ ერთ დაბნეულობას. „დეკრეტული ფულიც" საქონლის თვისებებით ხასიათდება. მაგალითად, ბანკები „დეკრეტულ ფულს" იაფად (დაბალ პროცენტში) ყიდულობენ და უფრო ძვირად (მაღალ პროცენტში) ყიდიან. იმის გამო, რომ ფულის ღირებულება თავისავე ნომინალით იზომება, ფულის ყიდვა-გაყიდვის პროცესებს პირდაპირ პროცენტებში გამოხატავენ. დეკრეტული ფულის, როგორც საქონლის თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ მისი გაყიდვა მხოლოდ კრედიტშია შესაძლებელი. ბაზარზე 100 ლარში არავინ მოგვცემს 110 ლარს, მაგრამ თუ 100 ლარს ერთი წლით გავყიდით 110 ლარად (გავაპროცენტებთ,კრედიტში გავცემთ) წლიურ 10 პროცენტში) მაშინ, ბევრი გამოჩნდება, ვინც 100 ლარში ერთი წლის შემდეგ 110 ლარს გადაგვიხდის. ამასთან ერთად, „დეკრეტულმა ფულმა", ოქროსგან განსხვავებით, შეიძლება საერთოდ დაკარგოს მსყიდველობითი უნარი და ქაღალდად, მაკულატურად იქცეს. გერმანიაში, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1 კილოგრამი ქაღალდი უფრო ძვირი იყო ვიდრე 1 კილოგრამი ქაღალდის ფული-გერმანული მარკა. ოქროს ფული, როგორც საქონელი (ოქრო), მუდმივად ინარჩუნებს თავის ნომინალურ-სასაქონლო ღირებულებას.

უნდა განვასხვაოთ ოქრო, როგორც საქონელი, ოქროს ნაკეთობები ან ზოდები და ოქრო, როგორც ფული, ოქროს მონეტები. ოქროს ნაკეთობა შეიძლება მრავალჯერ აღემატებოდეს ოქროს ნომინალურ ფასს. როცა ოქროს ნაკეთობა, როგორც ნაკეთობა, საბაზრო ღირებულებას მთლიანად კარგავს, ასეთ ნაკეთობებს „ოქროს ჯართს" უწოდებენ და ბაზარზე ოქროს ნომინალური ფასი ღირს. ბაზარზე სწორედ „ოქროს ჯართი" წარმოქმნის ოქროს ნომინალურ ფასს. ბაზარზე „ოქროს ჯართის" ან ზოდების ფასი უფრო დაბალია, ვიდრე იგივე წონის ოქროს მონეტისა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ჯართისგან და ზოდებისგან მონეტის მიღებაზე იხარჯება შრომა და სხვა მასალები (მაგალითად, ქიმიკატები ან ენერგია). წარმოქმნილი ფასთა სხვაობა ოქროთი ვაჭრობის საშუალებას იძლევა და ოქრო ბაზრის ისეთივე სუბიექტი ხდება, როგორც ნებისმიერი სხვა საქონელი და მისი საბაზრო ფასი განისაზღვრება მოთხოვნილება-მიწოდების შესაბამისად. ოქროს ფასი იზომება ოქროს მონეტების, ოქროს ფულის მეშვეობით. შეიძლება 1 კგ. ოქროს ფულმა შეიძინოს 1,5 კგ. ან მეტი, ან ნაკლები ოქროს ჯართი, იმისდა მიხედვით თუ ბაზარზე როგორია მოთხოვნილება-მიწოდების ბალანსი.

**როცა ბაზარზე ოქრო ძვირდება, ძვირდება ოქროს მონეტის ფასიც და ოქროს მონეტა მყარდება, უფრო მეტი პროდუქციის შეძენა შეუძლია და ბაზარზე ვითარდება დეფლაციური პროცესები ანუ ფასების საერთო დონის კლება. როცა ბაზარზე ოქრო იაფდება, იაფდება ოქროს ფულიც, ბაზარზე უფრო ნაკლებ პროდუქციას ყიდულობს და ვითარდება ინფლაციური პროცესები, ანუ ფასების ზრდა.**

ამრიგად, ოქროს ფული ინფლაციურობის თვალსაზრისით არაფრით არ განსხვავდება ნებისმიერი სხვა სახის ფულისგან და მის მსყიდველობითი უნარი ეკონომიკაში მიმდინარე რთულ პროცესებზე და მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოქროს მოპოვების სიმწირე და მასზე მოთხოვნილების მუდმივი ზრდა იწვევს ოქროს ფასის მუდმივ ზრდას, მისი ღირებულების ტრენდი გრძელვადიან პერსპექტივაში მუდმივად მზარდია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში (მოკლე პერიოდებში) ოქროს ფასი მუდმივად იზრდება და არ ხდება მისი გაიაფება. სწორედ მოკლევადიან პერიოდებში (1 ან 5 წელი და ა.შ.) ურთულესი ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები განაპირობებენ ოქროს მიმდინარე ფასს და მისი ფასი მოკლე პერიოდში შეიძლება შემცირდეს. უფრო მეტიც, მოკლევადიან პერსპექტიბაში ოქროს ფასი შეიძლება კატასტროფულად გაძვირდეს ან კატასტროფულად გაიაფდეს. ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როცა ომების დროს მძიმე შიმშილის პირობებში მოსახლეობა 1 კგ. პურში 10-15 გრამ და უფრო მეტ ოქროსაც აძლევდნენ.

**რა მოხდებოდა დღეს, თუ ოქროს სტანდარტს დაუბრუნდებით?**

ქვეყნის ეკონომიკა და მსოფლიო ეკონომიკაც ვერ განვითარდებოდა და შეიზღუდებოდა იმ რაოდენობის ოქროთი (ფულით), რა ოქროს მარაგებიც ქვეყანას გააჩნია. ამასთანავე, საერთაშორისო ბაზარზე რამდენჯერმე გაიზრდებოდა ოქროს ფასი და მისი მსყიდველობითი უნარი, თუმცა ეს არსებულ მძიმე ვითარებას ვერ შეცვლიდა. გასული საუკუნის მეორე ნახევარში ისეთმა ზე სახელმწიფომ, როგორიც აშშ, რომელსაც მაშინ მსოფლიოში ყველაზე დიდი ოქროს მარაგი 23 000 ტონა ოქრო ჰქონდა, ვერ გაუძლო ოქროს სტანდარტს და 70-იანი წლების დასაწყისში უარი სთქვა ოქროს სტანდარტზე და საერთაშორისოდ აღიარებული დოლარის ოქროთი გამყარებაზე. მაშინ, როცა აშშ-მ ვერ გაუძლო ოქროს სტანდარტს, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ სხვა ქვეყნები გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. დაიწყება მსოფლიო და ლოკალური ომები ოქროთი მდიდარი ქვეყნების წინააღმდეგ ოქროს საბადოების ხელში ჩასაგდებად. ისტორია ახსოვს „ოქროს ციებ-ცხელების" პერიოდი: ევროპის მიერ ამერიკის დაპყრობა, პირველი და მეორე მსოფლიო ომები რუსეთის ოქროს საბადოების ხელში ჩასაგდებად, ოქროთი

მდიდარ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში განვითარებული მოვლენები და ა.შ.

თანამედროვე ტექნოლოგიები, ტექნიკური პროგრესი ისეთი ტემპებით ვითარდება, რომ ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვნად ჩამორჩება, მიუხედავად ამისა და მიუხედავად ეკონომიკაში არსებული სერიოზული პრობლემებისა, მსოფლიოს და ქვეყნების ეკონომიკა ბოლო 100 წელიწადში მრავალჯერ გაიზარდა და კვლავ სწრაფი ტემპებით იზრდება. ოქროს მოპოვების ზრდის ტემპი მკვეთრად ჩამორჩება ეკონომიკის ზრდის ტემპებს, პირიქით, ოქროს მარაგების ამოწურვის გამო, კლებას განიცდის. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ოქროს სტანდარტი" ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის შემდგომ ზრდას და თანამედროვე ცივილიზაციას შუა საუკუნეებში დააბრუნებს.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ „ოქროს სტანდარტზე" გადასვლა მკვეთრად გააძვირებს ელექტრო მოწყობილობებს, მათ შორის, საყოფაცხოვრებო მანქანა-დანადგარებს და სხვა ტექნიკას, სადაც მიკროსქემები მიკროკონტროლიორები და პროცესორები აყენია, ვინაიდან ამ მოწყობილობებში დიდი ოდენობის ოქრო გამოიყენება.

ამრიგად, „ოქროს სტანდარტზე" გადასვლა თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში კატასტროფულ შედეგებს გამოიწვევს და ამ საკითხზე მსჯელობა ეკონომისტების მიერ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს. „ოქროს სტანდარტის" მომხრეები იყურებიან წარსულში, ჯეროვნად არ სწავლობენ გარდასულ დროში მომხდარ ეკონომიკურ პროცესებს და „ოქროს სდანდარტის" ისტორიას, ანალიზს არ უკეთებენ აწმყოს, მომავალს და მოსალოდნელ უმძიმეს შედეგებს.

ყველა ცნობილი და ნაკლებად ცნობილი მეცნიერი, ვინც ეკონომიკას იკვლევდა, გვერდს ვერ უვლიდა და იკვლევდა ინფლაციურ პროცესებს, იმიტომ რომ თვითონ ინფლაციაა ეკონომიკაში მიმდინარე მნიშვნელოვანი უარყოფითი რთული პროცესების შედეგი და თვითონ ინფლაცია განაპირობებს ეკონომიკაში ურთულეს უარყოფით პროცესებს. ამის ილუსტრირება მაგალითებითაც შეიძლება. ვთქვათ, ძლიერი გვალვების გამო, მოსავალი მკვეთრად მცირდება, რაც იწვევს ინფლაციას, ინფლაცია თავის მხრივ, იწვევს მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის დაქვეითებას, ფასწარმოქმნის მექანიზმების მოშლას, იზრდება დანაშაულებათა რაოდენობა თავის გადასარჩენად. ცხოვრების პირობების გაუარესების გამო, ხშირია ეპიდემიები, ხდება სოციალური აფეთქები, კომფლიქტები, რევოლუციები და ა.შ. ასე რომ, **ინფლაცია უბრალოდ ფასების ზრდა არაა, როგორც ეს ბევრ ეკონომისტს და პოლიტიკოს წარმოუდგენია.**

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ არამხოლოდ ეკონომისტების და პოლიტიკოსების დიდი უმრავლესობა ვერ ერკვევა ინფლაციასთან დაკავშირებულ ურთულეს ეკონომიკურ პროცესებში (ეს არცაა გასაკვირი), ვერც ერთმა ეკონომიკის მეცნიერმა ვერ შეძლო ინფლაციის ბოლომდე გამოკვლევა და თითქმის ყოველი მათგანი ინფლაციასთან მიმართებაში მცდარ დასკვნებს აკეთებდნენ, თუნდაც მასზე, რომ საუკუნეების განმავლობაში ითვლება, რომ ოქროს ფული მყარია და არა განიცდის ინფლაციას. ჩვენ კი დავრწმუნდით რომ ოქროს ფული ისეთივე ინფლაციურია, როგორც ნებისმიერი სხვა ფული.

განსაკუთრებით სავალალო და მძიმე შედეგები მოაქვს საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერების მცდარ დასკვნებს ინფლაციის შესახებ. ყველაზე მეტი კვლევები ფულზე, ფულის მიმოქცევაზე და ინფლაციაზე ამერიკელმა მეცნიერმა, ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურიატმა მილტონ ფრიდმანმა ჩაატარა. ფრიდმანის აზრით, არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, არის ინფლაციის და ეკონომიკური კრიზისების მთავარი მიზეზი. ფრიდმანი სწორად თვლიდა, რომ ინფლაცია იწვევს მძიმე ეკონომიკურ პროცესებს, ინფლაციის გამომწვევ მიზეზად კი ფრიდმანი ზედმეტი ფულის ემისიას თვლიდა. ფრიდმანის კვლევებზე ეკონომიკური მოდელი შეიქმნა „ეკონომიკური განვითარების მონეტარული" მოდელი. მონეტარული ეწოდა იმიტომ, რომ მთავარი ამ მოდელში ფული და ფულად-საკრედიტო პოლიტიკაა. მას ასევე კლასიკური საბაზრო ეკონომიკის (ადამ სმიტის მოდელი) რადიკალურ მოდელსაც უწოდებენ. მოდელის მთავარი პრინციპებია, ეკონომიკაში ჩაურევლობა (ეკონომიკის თვითრეგულირების პრინციპი) და მკაცრი ფულადსაკრედიტო პოლიტიკა.

ამ დასკვნებით ფრიდმანი და მისი მიმდევრები (მონეტარისტები) უპირისპირდებოდნენ კეინზს და მის მიმდევრებს. კეინზის და მისი მიმდევრების აზრით, ეკონომიკური კრიზისების თავიდან ასაცილებლად მუდმივად, უნდა იზარდებოდეს მოსახხლეობის მსყიდველობითი უნარი. აქედან გამომდინარე, მოხდება საერთო მოთხოვნის ზრდა და ეკონომიკის განვითარება. მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის გასაზრდელად კეინზი თვლიდა, რომ სახელმწიფომ უნდა გაზარდოს სოციალური პროგრამების და დასაქმების პროგრამების დაფინანსება. ამას სახელმწიფოს მხრიდან დიდი ხარჯები ჭირდება. კეინსის აზრით, სახელმწიფოს ყოველწლიური ბიუჯეტი უნდა დაიგეგმოს დეფიციტით, დეფიციტი კი შეივსოს ფულის ემისიით. კეინსის ამ მოდელმა, რომელსაც „ეფექტური მოთხოვნის ეკონომიკური მოდელი" ეწოდა დიდი როლი ითამაშა დიდი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის (დიდი დეპრესიის) დაძლევაში და მერეც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დანგრეული ევროპის აღდგენაში.

„მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარი" შედეგი იყო იმ პერიოდში განვითარებული ეკონომიკური პოლიტიკური, სოციალური, ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესებისა. რეალურად ვერ შეაფასა რა იმ პერიოდში განვითარებული მოვლენების მოსალოდნელი შემდგომი შედეგები, კეინზის მიერ შექმნილი თეორიები და ეკონომიკური მოდელი კარგად იყო მორგებული იმ კონკრეტულ პერიოდზე, როცა ადგილი ქონდა ეკონომიკურ კრიზის, რომლის დროსაც ჭარბად იწარმოებოდა პროდუქცია და პრაქტიკულად, მოსახლეობას დაკარგული ქონდა მსყიდველობითი უნარი. ამ მოდელმა ასევე კარგად იმუშავა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა იყო კოლოსალური ნგრევა. მსოფლიო მოსახლეობის დიდ ნაწილს საერთოდ არანაირი მსყიდველობითი უნარი არ ქონდა და მთლიანათ დამოკიდებულები იყვნენ

დახმარებაზე. იმ პერიოდში, აშშ-ს წარმოებები დღედაღამ მუშაობდნენ დანგრეული ევროპის აღსადგენად. დღედაღამ მუშაობდნენ აშშ-ს ფულის საბეჭდი დაზგებიც, დაბეჭდილ ფულს ევროპის ქვეყნებს ვალევში აძლევდნენ, ამ ვალებით კი ამერიკულ პროდუქციას ყიდულობდნენ. მე-20 საუკუნის სამოციან წლებში, როგორც კი კრიზისი დასრულდა, ევროპის წარმობები აღდგა, პროდუქციის გამოშვება დაიწყო და მოსახლეობა დასაქმდა, კეინზის ეკონომიკურმა მოდელმა დაასრულა თავისი „სასწაულ ქმედება" და ახალ ეკონომიკურ კრიზისებს დაუდო დასაბამი.

**რამ გამოიწვია „დიდი დეპრესია" - „დიდი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი?"**

კრიზისი დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში. კრიზისზე სხვადასხვა წამყვანი ეკონომისტები, სხვადასხვა მიზეზებს ასახელებენ, მათი ოდენობა ათზე მეტია, მაგრამ არცერთი მათგანი სწორი არ არის. სპეციალისტები, ანალიტიკოსები, ექსპერტები და ეკონომისტების აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ დიდი დეპრესია გამოიწვია საფონდო ბირჟების კრიზისმა, აქციების გაუფასურებამ და ამის გამო კომპანიების გაკოტრებამ. მაგრამ საფონდო ბირჟებზე კრიზისული მოვლენები იყო ეკონომიკაში განვითარებული მოვლენების შედეგი და არა მიზეზი. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა შეექმნათ კომპანიებს, რამაც ისინი გაკოტრების პირას მიიყვანა, ამან გამოიწვია აქციებზე ფასების ვარდნა და საფონდო ბირჟების კრიზისი.

**რა იყო „დიდი დეპრესიის" რეალური მიზეზი?**

ტექნიქნიკური პროგრესი. მე-19 საუკუნის ბოლოს გამოიგონეს შიდა წვის ძრავი, დიზელის ძრავი, მუდმივი და ცვლადი დენის ელექტრო ძრავები და სხვა მრავალი დანადგარი. წარმოების პროცესების და სოფლის მეურნეობის მექანიზაციამ მილიონობით ადამიანი უმუშავარი დატოვა, რის გამოც, მკვეთრად დაეცა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი და პროდუქციაზე მოთხოვნა. **შედეგი რა დადგა?**

წარმოების და სოფლის მეურნეობის მექანიზაციამ მრავალჯერ გაზარდა პროდუქციის წაროება და ბაზარზე მიწოდება, მაგრამ მას მყიდველი არ ჰყავდა მასიური უმუშავრობიდან გამომდინარე, მოსახლეობის უკიდურესად დაბალი მსყიდველობითი უნარის გამო. ტექნიკური პროგრესის შედეგად დაწყებულმა კრიზისმა სწრაფად მოიცვა აშშ-ს ეკონომიკის ყველა სფერო და მთელი მსოფლიოს ეკონომიკა, ვინაიდან სხვა ქვეყნებშიც ანალოგიური პროცესები განვითარდა.

კეინსის თეორიების მიხედვით აშშ-ს ხელისუფლების მიერ ეკონომიკაში აქტიურად ჩარევამ, მოსახლეობის სოციალური დახმარებებით მსყიდველობითი უნარიანობის ხელოვნურად გაზრდამ და დასაქმების სახელმწიფო პროგრამების ამოქმედებამ - მასიურმა დასაქმებამ, გამოიწვია მსყიდველობით უნარიანობის მკვეთრი ზრდა. გაიყიდა ჩაწოლილი საქონელი, საწარმოებს შემოსავლები გაუჩნდათ და ამუშავდნენ, კრიზისი დაიძლია. მალევე მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და მსოფლიო ახალ კრიზისში აღმოჩნდა, რომელიც მხოლოდ 60-იანი წლების ბოლოს დასრულდა და აქაც კეინზის ეკონომიკურმა მოდელმა წარმატებით იმუშავა. 60-იანი წლების ბოლოს კი ამ მოდელმა ამოწურა თავისი თავი. **რატომ?**

ჯონ მეინარდ კეინზმა ვერ გაითვალისწინა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, - ადამიანის თავისებურებები და მისი ფსიქოლოგია. **როგორც კი ადამიანი დაიკმაყოფილებს თავის პირველად მოთხოვნას იგი მკვეთრად ამცირებს ხარჯებს და იწყებს დაგროვებას.** პირველადი მოთხოვნიდან, მე ცალკე გამოვყოფ **„გადაუდებელ მოთხოვნას". „გადაუდებელი მოთხოვნა" არის ის სიკეთეები, რის გარეშეც ადამიანს არსებობა და სიცოცხლის გაგრძელება არ შეუძლია. ესენია წყალი, სურსათი, ტანსაცმელი, საცხოვრისი და გათბობის საშუალებები. გადაუდებელი მოთხოვნა ჯერადია, ანუ მას გააჩნია ზღვარი, რომლის შემდეგაც ადამიანი მათ აღარ ყიდულობს - მეტს აღარ მოიხმარს.** მაგალითად, ავიღოთ პური, დღეში ადამიანმა შეიძლება მოიხმაროს მაქსიმუმ 1 კილოგრამი პური, ანუ წელიწადში 360 კილოგრამი, ეს არის ის ზღვარი, რომლის იქეთაც პურზე მოთხოვნა ნულდება. ზუსტათ ასევე ხდება ნებისმიერ პროდუქტზე და სხვა გადაუდებელ მოთხოვნაზე. **როგორც კი ადამიანი გადაუდებელ მოთხოვნას დაიკმაყოფილებს ანუ დადგება ის ზღვარი რომლის იქეთაც ის აღარ იზრდება, ამ მომენტიდან ადამიანი იწყებს ინტენსიურ დაგროვებას. ანუ ფულადი რესურსების დიდი ნაწილი მიდის არა ხარჯებში-შეძენაზე, არამედ დაგროვებაზე.** დაგროვილი თანხებიდან ვილაცა კრედიტს იღებს და საქონელს ყიდულობს და ზრდის საქონლის რეალიზაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, **მნიშვნელობა აქვს დაგროვების ზრდას და დაგროვების ზრდის ტემპს. თუ ეს მაჩვენებლები მაღალია, ეს უკვე დიდი რაოდენობით არარეალიზებული „ჩაწოლილი" საქონელი და ეკონომიკური კრიზისია.** აი, აქამდეც კეინზის ეკონომიკურ მოდელს მივყევართ. გამოდის რომ **კეინზის ეკონომიკურ მოდელს ქვეყანა გამოყავს მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან და გარკვეული დროის შემდეგ კვლავ შეყავს მძიმე ეკონომიკურ კრიზისში.**

მიუხედავად იმისა, რომ კეინსი მთავარ აქცენტს მოსახლეობის მსყიდველობით უნარზე აკეთებდა, თუ ჩაუღრმავდებით კეინზის და მისი მიმდევრების ფილოსოფიას, დავინახავთ რომ კეინზი და მისი მიმდევრები ებრძვიან დეფლაციას, ანუ ფასების ვარდნას. დაბალ მსყიდველობით უნარიანი მოსახლეობის პირობებში წარმოებული საქონლის ჩაწოლა ხდება, რის გამოც ეცემა ფასები. ფასების ვარდნა და ჩაწოლილი საქონელი მკვეთრად ამცირებს მწარმოებლის შემოსავლებს, რაც მწარმოებელი სუბიექტების ზარალს და გაკოტრებას იწვევს. როცა, მსგავსი პროცესები მასიურად ხდება, ეკონომიკა არასტაბილურია და მძიმე ეკონომიკური კრიზისი დგება.

აღსანიშნავია, რომ ფასების ვარდნას, ანუ ფულის გამყარებას-დეფლაციას, საერთოდ, არ ექცევა ყურადღება. ეს მოვლენა საყოველთაოდ დადებითადაა შეფასებული. ამ დროს **დეფლაცია ეკონომიკაში ისეთივე საშიში და სახიფათო მოვლენაა, როგორც ინფლაცია. დეფლაცია ისევე იწვევს უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისებს, როგორც ინფლაცია.**

ზუსტად აქ ხდება ორი დიდი მეცნიერის და მათი მიმდევრების დაპირისპირება - კეინზს მიაჩნდა, რომ ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის, სოციალური პროგრამების გაზრდით უნდა ავამაღლოთ მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი. ამისთვის გვთავაზობს: ბიუჯეტის დეფიციტით დაფინანსებას და დეფიციტის ფულის ემისიით შევსებას. ამ გზას, როგორც აღმოჩნდა, კრიზისამდე მივყევართ. მეორე მეცნიერი - ფრიდმანი კი დიდი ოდენობის ფულის ემისიის კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

მილტონ ფრიდმანმა გაანალიზა აშშ-ს ფულად-საკრედიტო ისტორია და აღმოაჩინა, რომ იმ წლებში, როცა აშშ-ს ფულის მასა 3-5 პროცენტით იზრდება, ანუ ფულის ემისია 5 პროცენტს არ აღემატება, აშშ-ს ეკონომიკა სტაბილურად ვითარდება და იზრდება. ხოლო, იმ წლებში, როცა ფულის ემისია 5 პროცენტზე მეტია, ხდება ფასების ზრდა, ანუ ინფლაცია, ეკონომიკა არასტაბილურია და კრიზისი ვითარდება.

ფრიდმანის აზრით, ინფლაციას იწვევს ზედმეტი ფულის ემისია. ინმფლაცია განაპირობებს ეკონომიკის დესტაბილიზაციას და ეკონომიკურ კრიზისებს. აქედან გამომდინარე, ფრიდმანმა გააკეთა დასკვნა და ხელისუფლებას მისცა რეკომენდაცია, ეკონომიკის სტაბილურად განვითარებისათვის ყოველწლიურად ფულის მასა გაეზარდათ 3-5 პროცენტით და ემისირებული ფული თანაბრად გაენაწილებინათ მთელ წელიწადზე.

მეორე მნიშვნელოვანი, რაც ფრიდმანმა აშშ-ს ფულად-საკრედიტო ისტორიის შესწავლით აღმოაჩინა მდგომარეობდა იმაში, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები 1-1,5 წლის შემდეგ აისახება ეკონომიკაზე. ამან პოლიტიკოსები და ეკონომისტები შოკში ჩააგდო. ასეთ შემთხვევაში, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდებოდა პროგნოზირება და წინასწარ რამის დაგეგმვა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ფრიდმანის კვლევებზე და ხედვებზე შეიქმნა ეკონომიკური განვითარების ახალი მოდელი „ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი", რამაც ჩაანაცვლა ჯონ კეისის „ეფექტური მოთხოვნის ეკონომიკური განვითარების მოდელი". ამ მოდელის ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ უარი ითქვას ეკონომიკაში ჩაურევლობის პრინციპზე -ხელისუფლებები აქტიურად უნდა ჩაერიონ თავიანთი ქვეყნების ეკონომიკებში და გაატარონ ქმედით ღონისძიებებს ეკონომიკური კრიზისების დასაძლევად. იმ პერიოდში მსოფლიომ გადაუხვია ლიბერალურ ეკონომიკაზე - ეკონომიკური განვითარების კლასიკურ მოდელზე. კეინზის მოდელის, მონეტარული მოდელით ჩანაცვლებით პრაქტიკულად მოხდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის კლასიკური მოდელის დაბრუნება ბევრად უფრო მკაცრი პირობებით. ფრიდმანი და მონეტარული მოდელი მკაცრად მოითხოვს:

1. **თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში ხელისუფლების ჩაურევლობის პრინციპის მკაცრად დაცვას.**
2. **ფულის მასის ყოველწლიურად 3-5 პროცენტით გაზრდის პრინციპის უმკაცრესად დაცვას.**

ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი მთელ მსოფლიოში გავრცელდა. მის გავრცელებას აქტიურად უწყობდნენ ხელს აშშ-ს და ბევრი სხვა ქვეყნის მთავრობები, ლიბერალური იდეოლოგიის მიმდევრები, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები. ამ მოდელს ლიბერალები „ლიბერალურ ეკონომიკას" უწოდებენ. ეკონომიკის ლიბერალიზაცია სწორედ მონეტარული ეკონომიკის პრინციპებზე ეკონომიკის გადაყვანას და მათ მკაცრ დაცვას ნიშნავს.

სამწუხაროდ, ფრიდმანმა დიდი შეცდომები დაუშვა თავის დასკვნებში. მან თავისი დასკვნები გააკეთა ამერიკის ეკონომიკის ემპირიული კვლევის შედეგად და მათ არანაირი თეორიული ახსნა არ მისცა - არც თეორიები ჩამოაყალიბა და არც ფორმულები შექმნა. მოგვცა მარტო ფულის მასის დასათვლელი (ფულზე მოთხოვნის) ფორმულა, რომელიც იმდენად არაპრაქტიკული და მოუქნელია, რომ თვითონ ფრიდმანიც არაფერში იყენებდა. მან და მისმა მიმდევრებმა ფულის მასის დასათვლელად ფიშერის ფორმულა აიღეს, გადააკეთეს და ამ ფორმულის ახალი ვერსია მოგვცეს, რომელსაც მთელი მსოფლიო იყენებს და მასშიც უხეში შეცდომებია.

**მონეტარული მოდელიც ისევე, როგორც სხვა ეკონომიკური მოდელები კონკრეტულ პირობებში კარგად მუშაობს, სხვა შემთხვევებში კი თვითონ ქმნის დიდ პრობლემებს და ეკონომიკურ კრიზისებს.** მაგალითად, საქართველოს 90-იანი წლების ეკონომიკა ავიღოთ. როცა საქართველოში გიპერინფლაცია იყო და ყოველდღე ფასები იზრდებოდა, ფულის დიდი ოდენობით ემისიის გამო, მონეტარული მოდელის დანერგვამ და მკაცრმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ სწრაფად „მოთოკა" ინფლაცია, დაასტაბილურა ფასები და შექმნა სასტარტო პირობები ეკონომიკის განვითარებისათვის. მაგრამ მონეტარული მექანიზმები არ აღმოჩნდა საკმარისი ღრმა კრიზისიდან ქვეყნის გამოსაყვანად და თვითონ მონეტარული ეკონომიკური მოდელი გახდა ახალი დიდი კრიზისების მიზეზი. ასე ხდებოდა და ხდება არა მხოლოდ ჩვენ ქვეყანაში არამედ მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში.

**რა იწვევს ეკონომიკური განვითარების მონეტარულ მოდელში ეკონომიკურ კრიზის?**

როგორც ავღნიშნე, ეკონომიკაში მიმდინარე ურთულესი პროცესების გამო, თუ არ ხდება ამ პროცესების გონივრული მართვა, ინფლაცია ნებისმიერ შემთხვევაში განვითარდება. ამიტომაც ერთ ნიშნიან ინფლაციას ბუნებრივ ინფლაციას უწოდებენ და დასაშვებად მიიჩნევა. ასე ფიქრობენ თვითონ მონეტარისტები და ლიბერალი ეკონომისტები. როცა ფულის მასა 5%-ით იზრდება და ინფლაცია 9%-ია, რეალურად, ეკონომიკაში 4 %-იანი ვარდნაა ანუ რეალური პროდუქციის რაოდენობა მცირდება.

**ამრიგად, მონეტარისტების მტკიცება, რომ 3-5% ფულის მასის ზრდა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, მცდარია და მონეტარული მოდელის პირობებში ბუნებრივი ინფლაცია მთლიანად ანეიტრალებს მონეტარისტების მოსაზრებას. ორნიშნა ინფლაციის დროს ქვეყანა სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისშია.**

**თუ ფრიდმანს დაუჯერებთ, დავიჯერებთ იმას, რომ ფულის ემისია ახდენს ინფლაციას. 3-5 პროცენტით ფულის მასის ზრდის დროს ორ ნიშნა ინფლაცია არ უნდა იყოს.**

ეკონომიკის განვითარების მონეტარული მოდელი თვითონ ხდება ინფლაციის მთავარი მიზეზი. არ აძლევს რა ეკონომიკას განვითარების საშუალებას, პროდუქციის რეალური ოდენობები მცირდება, რაც იწვევს ინფლაციას. მუდმივად მზარდი ფასების გამო, მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი მცირდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა ვეღარ ყიდულობს იმ რაოდენობის პროდუქციას, რასაც ადრე ყიდულობდა. არარეალიზებული, ჩაწოლილი პროდუქციის მწარმოებლები კოტრდებიან და კიდევ უფრო მძიმე ეკონომიკური ვითარება იქმნება.

კიდევ ერთი „საოცრება", რაც მონეტარული მოდელის პირობებში ხდება, ყოველწლიურად იზრდება მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, მოსახლეობის კეთილდღეობაზე კი ეს არ აისახება, პირიქით მოსახლეობის ძირითადი მასის მდგომარეობა წლიდან წლამდე მძიმდება. ორნიშნა ინფლაციის დროს, ინფლაციის ხარჯზე მშპ ციფრებში იზრდება, შესაბამისად იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, ამ დროს რეალური მშპ (შექმნილი პროდუქციის რაოდენობა) მცირდება. რეალური მშპ უზრუნველყოფს მოსახლეობის კეთილდღეობას და არა ციფრებში გამოხატული მშპ და ამ ციფრებით მანიპულაციები ეკონომიკის ზრდაზე.

სინამდვილეში, რეალურად რა ხდებაბა? მონეტარიზმის პირობებში ინფლაციის (გაზრდილი ფასების) გამო მოსახლეობა მუდმივად ღარიბდება, ხოლო გაზრდილი ბიუჯეტი ან მთლიანათ ან დიდი ნაწილი ჩინოვნიკების ხელფასების გაზრდაზე მიდის. ჩინოვნიკები მუდმივად იზრდიან ხელფასებს, ანუ მონეტარისტული ეკონომიკის პირობებში ინფლაცია აღარიბებს მოსახლეობას და ამდიდრებს ჩინოვნიკებს.

**არასწორ დასკვნას აკეთებს ფრიდმანი იმაზე, რომ ინფლაციას იწვევს ზედმეტი ფულის ემისია. ინფლაციას იწვევს ბევრი სხვადასხვა ფაქტორი, მიზეზი და არამხოლოდ ფულის ემისია.**

**მცდარია ფრიდმანის დასკვნა, იმაზე რომ ფულის ემისია იწვევს ინფლაციას, ინფლაცია კი არასტაბილურობას და ეკონომიკურ კრიზისებს. ეკონომიკის სწორად მართვის და სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პირობებში, ფულის ემისია სწრაფი ტემპებით ანვითარებს ეკონომიკას**, თანაც ისე, რომ საჭირო არაა დიდი ოდენობით უცხოური ვალების აღება, უცხოელი ინვესტორების შემოყვანა და ქვეყნის აქტივების გადაცემა, სახელმწიფო ქონების და ბუნებრივი სიმდიდრეების გაყიდვა და ა.შ.

**მცდარია ფრიდმანის დასკვნა იმაზე, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები 1-1,5 წლის შემდეგ აისახება ეკონომიკაზე. ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების ეკონომიკაზე ასახვის პერიოდი დამოკიდებულია ფულის ბრუნვის სიჩქარეზე. რაც უფრო მაღალია ფულის ბრუნვის სიჩქარე ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები მით უფრო სწრაფად და მოკლე დროში აისახება ეკონომიკაზე.** როცა ფრიდმანი აშშ-ს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას სწავლობდა, მაშინ აშშ-ს ფულის ბრუნვის სიჩქარე ერთზე ნაკლები იყო და მომხდარი ცვლილებები შესაბამისად 1-1,5 წელში აისახებოდა ეკონომიკაზე. 90-იან წლების საქართველოში ფულის ბრუნვის სიჩქარე 28 ბრუნი იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იმ პერიოდში გარიგებები ძირითადად ნაღდ ფულზე ხდებოდა, ეს მაჩვენებელი ორჯერ მეტი მაინც იქნებოდა. ფულის მასის ასეთი სიჩქარის პირობებში, საქართველოს მთავრობა წინა დღეს რომ ფულის ემისიას მოახდენდა, მეორე დღის დილას უკვე ფასებზე ანუ ეკონომიკაზე იყო ასახული.

**მონეტარისტების კიდევ ერთი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ აშშ-ს ეკონომიკის და ფულად-საკრედიტო ისტორიის შესწავლით შედეგად შექმნილი ეკონომიკური მოდელი მთელი მსოფლიოს ქვეყნებს „მექანიკურად" მოარგეს, მაშინ, როცა თვითოეული ეს ქვეყანა სხვადასხვა განვითარების დონეზე იმყოფებოდა, მათ თავისი საკუთარი ეკონომიკის და ფულად-საკრედიტო ისტორიები გააჩნდათ. არ გაითვალისწინეს ამ ქვეყნების ისტორია, ეკონომიკური მდგომარეობა, ადათჩვევები, რელიგიური თავისებურებები, კლიმატური პირობები, გარემო, რომელშიც ეს ქვეყნები იყვნენ (მტრული იყო, თუ კეთილმოსურნე), რელიეფური პირობები, წიაღისეული და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეები, მოსახლეობის განათლების და პროფესიული დონე და ბევრი სხვა რამ. ამ ქვეყნისათვის ეს მოდელი აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა და კატასტროფული შედეგები დადგა.**

მონეტარულმა მოდელმა მთელი მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა უიმედო ვალებში გახვია (უიმედოა ვალი, რომლის გადახდის არანაირი შესაძლებლობა ქვეყანას არა აქვს). ამ ქვეყნებს ძირითადში სავალუტო ფონდის და სხვა საფინანსო ინსტიტუტების ვალები აქვთ, მათ კი თითქმის მთლიანად (80% მეტს) აშშ აფინანსებს, ანუ სინამდვილეში მთელი მსოფლიოს ქვეყნებს, რამდენიმე ქვეყნის გარდა აშშ-ს ვალები აქვთ. თუ ვალების რესტრუქტურიზაცია არ მოხდა და ახალი ვალი არ მიიღეს, ქვეყნების უმრავლესობას დეფოლტი და ღრმა ეკონომიკური კრიზისი ელოდებათ, ყველა თანმდევი მძიმე პროცესებით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოვალე ქვეყნების მდგომარეობა და „მომავალი", მთლიანადაა დამოკიდებული სავალუტო ფონდზე, უფრო ზუსტად - აშშ-ს მთავრობაზე და იძულებულები არიან შეასრულონ ყველა მისი მოთხოვნები და ახირებები. მონეტარული მოდელის საყოველთაო დანერგვის მიზანი შეიძლება ესეც იყო, სხვა ქვეყნების ეკონომიკების დანგრევა, მათი ვალებში ჩაგდება მერე მათი დამორჩილება და აშშ-ს ზეგავლენის ქვეშ მოქცევა.

**სავალუტო ფონდი აკონტროლებს და მართავს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ცენტრალურ ბანკებს. ცენტრალური ბანკი ანხორციელებს ქვეყნის ფულად--საკრედიტო პოლიტიკას. ცენტრალური ბანკები არ ემორჩილებიან თავიაანთი ქვეყნების მთავრობებს და ფორმალურად პარლამენტების დაქვემდებარებაში არიან, რეალურად კი ცენტრალური ბანკები სავალუტო**

**ფონდს (ანუ აშშ-ს) ემორჩილებიან და მის დავალებებს ასრულებენ. ვინც აკონტროლებს ქვეყნის ფულად-საკონტროლო პოლიტიკას, ის აკონტროლებს ამ ქვეყნის ეკონომიკას და მთელ ქვეყანას.**

საინტერესო „დამთხვევაა" ის, რომ რუსეთსა და აშშ-ს შორის მკვეთრი დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, როცა პრეზიდენტად პუტინის მოსვლის შემდეგ რამდენიმე წელში რუსეთმა 200 მილიარდიანი საგარეო ვალი გაისტუმრა. როცა საქართველოს მთავრობამ რამდენიმე წლის წინ უარი თქვა ჩვენთვის გამოყოფილი 70 მლნ. დოლარის ვალის აღებაზე, ამას, აშშ-ს, ევროკავშირის და აქაური მე-5 კოლონის მკვეთრი უარყოფითი რეაქცია მოყვა. როგორც ჩანს, ვალების მიცემა და უიმედო ვალების მდგომარეობაში ქვეყნების ჩაყენება აშშ-ს მთავრობისთვის სხვა ქვეყნებზე გავლენის მოპოვების და მართვის უმნიშვნელოვანესი ბერკეტია, რომელსაც მთელ მსოფლიოში აქტიურად იყენებს.

საინტერესო ფაქტია, ის რომ აშშ და ევროპა ვალებს გვაძლევს, მაგრამ მთელი მსოფლიო ამ ფულით ჩინურ პროდუქციას ყიდულობს. მაგალითისთვის, ავიღოთ საქართველო, ვალებს აშშ და ევროპა გვაძლევს, ამ ფულით კი რუსულ და ჩინურ პროდუქციას ვყიდულობთ. რა გამოდის, აშშ და ევროპა დაბეჭდილ, ბუტაფორული ფულის ბანკნოტებს გვაძლევს, რუსეთი და ჩინეთი კი ამ ფულს ამყარებს. ისინი კი მიღებული დოლარებით და ევროებით, მაგალითად, რუსეთი, გარკვეულ პროდუქციას ირანისგან ყიდულობს, ირანი მიღებული დოლარებით ჩინურ და ინდოურ პროდუქციას ყიდულობს, ინდოეთი რუსეთისგან ყიდულობს შეიარაღებას და ა.შ. კი მაგრამ სად არის აქ აშშ და ევროპა? ისინი თავში არიან ფულს ბეჭდავენ და მთელ მსოფლიოს ვალებში აძლევენ. აძლიერებენ ვალებში ჩავარდნილ ქვეყნებზე ზეწოლას, ითხოვენ უსიტყვო მორჩილებას, ხელში იგდებენ მართვის ძირითად ბერკეტებს, თავს ახვევენ მათთვის მიუღებელ იდეოლოგიას და ამ ყველაფერს აკეთებენ ხალხის და დემოკრატიის სახელით. **მსოფლიოში დღეს არსებული ყველა პრობლემის მიზეზი, მანკიერი და ყოვლად მახინჯი საერთაშორისო ფულად-საკრედიტო სისტემა და ქვეყნებ შორის ანგარისწორების დაუხვეწავი და დაუბალანსებელი ფორმებია. ამ ყველაფერს კი აკეთებენ „ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის" მეშვეობით. საინტერესო ფაქტია ის, რომ მთელ მსოფლიოში მონეტარული მოდელის დანერგვა, გასული საუკუნის 70-იანი წლებს დასაწყისში ზუსტათ მაშინ დაიწყო, როცა აშშ-მ უარი თქვა დოლარის ოქროთი გამყარებაზე.**

**რატომ იღებს ხელისუფლება უცოურ ვალებს?**

როდესაც ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ხელისუფლების ხელში არ არის და ის გარედან კონტროლდება, როდესაც მონეტარული მოდელის მიხედვით ხელისუფლებას მკაცრად ეკრძალება ეკონომიკაში ჩარევა, როდესაც მონეტარული მოდელი პირდაპირ ანგრევს ქვეყნის ეკონომიკას და სოციალურ გარემოს, ხელისუფალი არამხოლოდ უცხოეთიდან შემოთავაზებულ ვალებს იღებს, არამედ იძულებული ხდება უცხო ძალების მარიონეტი გახდეს და ვალების სანაცვლოთ შეასრულოს უცხოეთის ყველა მოთხოვნა. საქართველოში ყოველ ახალ ვალს თავისი მოთხოვნები მოყვებოდა. ასეთი მოთხოვნა იყო, ქვეყნიდან ჯართის და ხე-ტყის გატანაზე კანონების მიღება, მიწის უცხოელებზე გაყიდვის კანონი და ა.შ. როდესაც ვალები უიმედო ხდება, დასავლეთს ვალის მოცემა აღარ ჭირდება, პირდაპირ დიქტატზე გადადის. საქართველოსთან მიმართებაში დასავლეთმა შეცდომა დაუშვა, ჩვენ ჯერ კიდებ არ ვართ უიმედო ვალებში და ვალების მომსახურებას ვახერხებთ. რუსეთ-უკრაინის ომმა პროცესები დააჩქარა და დასავლეთმა გარკვეული კატეგორიული მოთხოვნები დააყენა საქართველოს მთავრობის წინაშე, რის შესრულებაზეც საქართველოს მთავრობამ უარი განაცხადა. საქართველოს უიმედო ვალი რომ ქონოდა, ეს შეუძლებელი იქნებოდა.

მონეტარისტების კიდევ ერთი მძიმე შეცდომა მდგომარეობს იმაში რომ ფულის მასის დასათვლელი ფიშერის ფორმულას სახე შეუცვალეს. ფიშერი სთვლიდა რომ ბრუნვაში ფულის მასა (ფმ) ტოლი უნდა იყოს გარიგებათა საერთო ჯამი (გსჯ) გაყოფილი ფულის ბრუნთა (ფბ) რაოდენობაზე-ფულის ბრუნვის სიჩქარეზე:

$$ფმ = \frac{გსჯ}{ფბ} \quad (1)$$

ფიშერის ფორმულაში მნიშვნელოვანი შეცდომებია. მიუხედავად ამისა, უფრო ზუსტათ გამოხატავს ბრუნვაში საჭირო ფულის მასას. მაგრამ, ფიშერის ფორმულა უფრო თეორიული ხასიათისაა და მისი ცხოვრებაში გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია. მაშინ კი არა, დღესაც თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების პირობებში ძალიან რთულია გარიგებათა საერთო ჯამის დადგენა, აქედან გამომდინარე, ასევე რთულია ფულის ბრუნვის სიჩქარის დადგენა. მონეტარისტებმა ფიშერის ფორმულა მნიშვნელოვნად გადააკეთეს გარიგებების საერთო ჯამი შეცვალეს მთლიანი შიდა პროდუქტით (მშპ):

$$ფმ = \frac{მშპ}{ფბ} \quad (2)$$

ამ ცვლილებით მონეტარისტებმა ფიშერის ფორმულა უფრო პრაქტიკული გახადეს. სწორედ აქ დაუშვეს მონეტარისტებმა ძალიან მძიმე წარმოუდგენელი შეცდომა. საქმე იმაშია, რომ გარიგებათა საერთო ჯამი არ უდრის მთლიან შიდა პროდუქტს ანუ ტოლობა:

$$მშპ = გსჯ \quad (3)$$

**მცდარია. 1 და 2 ფორმულა სრულიად სხვადასხვა რამაა და ყველა დათვლა, რაც მე-2 ფორმულით ხდება მცდარია.**

მონეტარისტებმა კიდევ ერთი უხეში შეცდომა დაუშვეს და ახალი სახის ფიშერის ფორმულა მშპ-ს დასათვლელად გამოიყენეს:

$$მშპ = ფმ \times ფბ \quad (4)$$

**როგორ ითვლიან მონეტარისტები მშპ-ს?**

ყველა ტრანზაქცია (ფულის გადარიცხვა) ცენტრალური ბანკის გავლით ხდება. ცენტრალურ ბანკში წლის განმავლობაში გავლილი (ან შესული, ან გასული) ფულის ოდენობით ადგენენ მშპ-ს ანუ წლის განმავლობაში ცენტრალურ ბანკში გავლილი ფულია სწორედ მშპ. მონეტარისტების მეცადინეობით, ამ მეთოდით დათვლილი მშპ გათანაბრებულია გარიგებათა ჯამთან და მე-2 ფორმულა 1-ის ანალოგია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე-3 ფორმულა სწორია ვინაიდან სხვა რამ არის გარიგებათა საერთო ჯამი და სხვაა მშპ.

**სად არის ამ შემთხვევაში დაშვებული უხეში შეცდომა?**

ნებისმიერ გარიგებაში მონაწილე საქონლის ფასი ორი კომპონენტისგან შედგება: -ადრე შექმნილი ღირებულებისგან, ესაა საქონლის ფასი, რომელიც ამ გარიგებამდე შეიქმნა (მოცემულ ეკონომიკურ სუბიექტამდე უკვე ქონდა) და დამატებული ღირებულებისგან, ესაა ფასი, რომელიც უშუალოდ ამ გარიგებს დაემატა. **მშპ წლის განმავლობაში დამატებულ ღირებულებათა საერთო ჯამია. მოცემულ შემთხვევაში, დამატებული ღირებულება ზრდის მშპ-ს, ტრანზაქციაში კი მთლიანი ღირებულებით მონაწილეობს, რაც ბევრად მეტია, ვიდრე დამატებული ღირებულება.** თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნებისმიერი საქონლის შექმნაში ასობით, ზოგ შემთხვევაში ათასობით ორგანიზაცია მონაწილეობს და ყოველი მადგანი საქონლის გაყიდვის დროს ტრანზაქციას ანხორციელებს, ვნახავთ, რომ **მონეტარისტების მეთოდით დათვლილ მშპ-სა და რეალურ მშპს შორის კატასტროფული სხვაობაა.**

მაგალითისათვის, ავიღოთ ისეთი მარტივი რაღაცის გაკეთება, როგორიც ასანთია. ასანთი რომ დამზადდეს, ტყეში ხეები უნდა მოიჭრას, შემდგომ საჭიროა მისი ტრანსპორტირება, გადამუშავება, მუყაოს შექმნა კოლოფისათვის, საჭიროა ფოსფორი, მისი მოპოვება, ქიმიურ მრეწველობაში გადამუშავება და გაწმენდა, ასანთის შექმნა, ტარანსპორტირება საბითუმო ქსელში და ბოლოს საცალო ქსელში მომხმარებელზე გაყიდვა. აქ მოვიყვანეთ მხოლოდ მცირე ჩამონათვალი იმ ასობით ორგანიზაციისა და ათასობით ადამიანის შრომისა, რაც ერთ პატარა ასანთის შექმნაში მონაწილეობს. ამ პროცესში ყოველი მათგანი ერთი სუბიექტიდან მეორე სუბიექტზე ნედლეულის და მასალების გადაცემის დროს ტრანზაქციებს ანხორციელებს. ვფიქრობ, მკითხველისთვის ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს სხვაობა მონეტარისტების მეთოდით დათვლილ და რეალურ მშპ-ს შორის.

თუ ციფრები სწორად არ ასახავს რეალობას, შეუძლებელია პროგნოზების გაკეთება და საერთოდ წარმოუდგენელია რაიმეს დაგეგმვა. ყალბი ციფრები ყოველთვის ყალბ შედეგებზე გაგვიყვანს. წარმოდგენისთვის ავიღოთ საქართველოს მაგალითი: საქართველოს მშპ-მა გასულ 2023 წელს 80 მილიარდ ლარს გადააჭარბა, რაც ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით თითქმის 23 000 ლარია. ხელისუფლების წარმომადგენლები თავს იწონებენ, რომ მშპ ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 8 000 დოლარს გადააჭარბა. მშპ დათვლილია ზემოთ მოყვანილი მონეტარისტების მეთოდით. სინამდვილეში კი ეს ციფრები ახლოსაც არაა რეალობასთან და ამას ახლავე დავამტკიცებთ. საქართველოში დაახლოვებით 1 მილიონი ოჯახი ცხოვრობს, თუ მშპ 80 მილიარდს შეადგენს, მაშინ თვითოეული ოჯახის წლიური შემოსავალი 80 000 ლარი მაინც უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში, ქვეყნის მოსახლეობა კარგად უნდა ცხოვრობდეს, მაგრამ ეს ასე არ არის. მოდით, დაშვებები გავაკეთოთ: დაუშვათ მშპ-ს არათანაბარი განაწილების, უცხოეთიდან ჩამოსული ტურისტების და სხვა მიზეზთა გამო, ერთი ოჯახის შემოსავალი 40 000 ლარია. მაშინ საქართველოს მოსახლეობა თავადურად თუ არა, შეძლებული გლეხის ოჯახის დონეზე მაინც უნდა ცხოვრობდეს, მაგრამ ესეც ასე არ არის. თუ ჩვენ მთავრობას და მონეტარისტების დათვლილ მშპ-ს დაუჯერებთ, ჩვენთან საამური და აყვავებული ცხოვრებაა, მაგრამ ქართველები ევროპაში შავ და ბინძურ სამუსაოზე მაინც მიდიან, იმიტომ რომ უფრო კარგი ცხოვრება უნდათ. ქვეყანის მშპ 80 მილიარდია და პენსიონერის პენსია 315 ლარია. როგორც ვხედავთ ვირტუალური ციფრები და რეალობა სრულიად განსხვავსება ერთმანეთისგან.

მონეტარისტების მეთოდით დათვლილი მშპ და რეალური მშპ ისე შორს არიან ერთმანეთისგან, როგორც კოსმოსში გალაქტიკები. ამიტომაც არის, რომ ციფრებით ყველაფერი კარგადაა და „სწრაფად“ ვითარდებით, რეალურად კი მოსახლეობაზე ეს არ აისახება. ეკონომიკური სტატისტიკა სწრაფი ტემპებით წინსვლას გვიჩვენებს, სოციალური სტატისტიკით კი სწრაფი ტემპებით რეგრესი გვაქვს: სიკვდილიანობამ შობადობას გადააჭარბა, მომაკვდავი ერების სიაში შეგვიყვანეს, ნახევარი მოსახლეობა უცხოეთშია გაქცეული საარსებო სახსრების საშოვნელად, მეორე ნახევარი კი ქუჩაშია გასული და ჯამრთელობისათვის უმძიმეს პირობებში ვაჭრობს საარსებოთ პურის ფული რომ იშოვონ. მოსახლეობის ერთი მცირე ნაწილი უზომოდ მდიდრდება დანარჩენი მოსახლეობის გაღარიბების ხარჯზე.

**მონეტარისტებმა კიდევ ერთი უხეში შეცდომა დაუშვეს. როგორც მონეტარისტები ამტკიცებენ, ფულის მასის 5 % ზრდის პირობებში თუ ეკონომიკა უფრო სწრაფად ვითარდება, მაშინ გაიზრდება ფულის ბრუნვის სიჩქარე და ფულის მასის შეზღუდვა ხელს არ შეუშლის ეკონომიკის ზრდას.**

ჯერ კიდევ ფიშერი მე-20 საუკუნის დასაწყისში აღნიშნავდა, რომ ფულის ბრუნვის სიჩქარე მოკლევადიან პერიოდში არ იცვლება. რატომ არ იცვლება ფულის ბრუნვის სიჩქარე მოკლე ვადაში? ფიშერს მიზეზები არ დაუდგენია. ფულის ბრუნვის სიჩქარეს ბაზრის სუბიექტების საწარმოო და ტექნოლოგიური ციკლები ქმნის. ამ ციკლების შეცვლა მარტივად არ ხდება და მთელ რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული.

ამრიგად, მოკლე და საშუალო ვადიან პერიოდში ფულის ბრუნვის სიჩქარე არ იცვლება ანუ მუდმივია. თუ ფულის ბრუნვა მუდმივია, მაშინ ერთმა ან რამდენიმე ბაზრის სუბიექტმა თუ შეძლო და გაზარდა საქონლის რაოდენობა და რეალიზაცია, სხვა სუბიექტებს უმცირ-

დებათ საქონლის ან მომსახურების რეალიზაცია და პრობლემები ექმნებათ. უფრო უარესი, თუ არსებული ფულის მასის პირობებში ფასები გაიზარდა (ეს სრულიად შესაძლებელია, მაგალითად, წიაღისეულის გაძვირებით) ანუ მოხდა ინფლაცია, ასეთ დროს რეალური პროდუქცია ანუ რეალური მშპ მცირდება. ამაში რომ დავრწმუნდეთ მე-2 ფორმულაში მშპ რეალურ პროდუქტში გამოვსახოთ:

$$\text{ფმ} = \frac{\text{მშპ}' \text{ X ესფ}}{\text{ფბ}} \quad (5)$$

სადაც:

**მშპ'** - წლის განმავლობაში შექმნილი პროდუქციის რაოდენობაა ნატურალურ გამოსახულებაში;

**ესფ** - პროდუქციის ერთეულის საშუალო ფასია.

მე-5 ფორმულიდან კარგად ჩანს, რომ თუ ფულის მასა და ფულის ბრუნვის სიჩქარე მუდმივია, ფასების (ესფ) ზრდა ამცირებს რეალურ მშპ' -ს. ეს კი, ერთის მხრივ, ფასების ზრდის გამო, ამძიმებს სოციალურ მდგომარეობას, მეორეს მხრივ, შემცირებული რეალური პროდუქტი ამცირებს მოსახლეობის შემოსავლებს, ანუ მონეტარიზმის პირობებში ასეთი მოვლენა უკიდურესად ამძიმებს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას.

რაც უფრო მეტადაა ეკონომიკა გაჯერებული ფულით მით უფრო სტაბილურად და სწრაფად ვითარდება ეკონომიკა. ასევე დამტკიცებულია, რომ ეკონომიკის ფულით გაჯერება 50 % ნაკლებია, ეკონომიკა ვერ ვითარდება, ხოლო ფულით გაჯერება თუ 30%-ზე ნაკლებია, ეკონომიკა ვარდნას განიცდის.

ეკონომიკის ფულით გაჯერება შემდეგი ფორმულით გამოიხატება:

$$\text{ეფგ} = \frac{\text{ფმ}}{\text{მშპ}} \quad (6)$$

სადაც: **ეფგ** - ეკონომიკის ფულით გაჯერების კოეფიციენტია.

მე-2 ფორმულა მათემათიკურად გარდავქმნათ შემდეგნაირად:

$$\text{ფბ} = \frac{\text{მშპ}}{\text{ფმ}} \quad (7)$$

მე-6 ფორმულა მათემათიკურად გარდავქმნათ შემდეგ ნაირად:

$$\frac{1}{\text{ეფგ}} = \frac{\text{მშპ}}{\text{ფმ}} \quad (8)$$

მე-7 და მე-8 ფორმულების მარჯვენა მხარე ერთნაირია, მაშინ ჭეშმარიტია ტოლობა:

$$\text{ფბ} = \frac{1}{\text{ეფგ}} \quad (9)$$

მე-9 ფორმულიდან კი გვექნება:

$$\text{ეფგ} = \frac{1}{\text{ფბ}} \quad (10)$$

თუ ეფგ პროცენტებში გამოვხატავთ, გვექნება:

$$\text{ეფგ} = \frac{100}{\text{ფბ}} \quad (11)$$

მე-11 ფორმულიდან ძალიან კარგად ჩანს, რომ ფულის ბრუნვის სიჩქარის ზრდის დროს ეკონომიკის ფულით გაჯერება მცირდება და ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება.

ამრიგად, მონეტარისტების მტკიცება იმაზე, რომ ფულის მასის მკაცრი შეზღუდვის პირობებში ეკონომიკის ზრდა შეიძლება ფულის ბრუნვის ზრდის ხარჯზე, მონეტარისტების უხეში შეცდომაა და რეალობაში სრულიად საწინააღმდეგო ხდება, ფულის ბრუნვის ზრდა მკვეთრად აუარესებს ეკონომიკურ მდგომარეობას. ასე იყო საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში. ყველაზე მძიმე მდგომარეობა მაშინ შეიქმნა როცა ფულის ბრუნვის სიჩქარე 28 ბრუნი იყო წელიწადში. სხვა ქვეყნების სტატისტიკა უჩვენებს, რომ ყველაზე სწრაფად იმ ქვეყნების ეკონომიკები ვითარდება სადაც ფულის ბრუნვის სიჩქარე ერთზე ნაკლებია, ანუ ეკონომიკის ფულით გაჯერება 100% -ზე მეტია. ეს იმას ნიშნავს, რომ ფული უფრო მეტია ვიდრე მშპ.

**რა იწვევს ინფლაციას?**

ფრიდმანის მტკიცებით, ინფლაციას იწვევს ფულის ემისია, რაც არასწორია. ინფლაციას იწვევს არასწორი, არასწორად გათვლილი ფულის ემისია. ამის გარდა ინფლაცია შეიძლება მოხდეს ბევრი სხვა მიზეზით:

**ინფლაცია ხდება ეკონომიკის ვარდნის დროს, მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების დროს.** მაგალითად, სსრკ-ში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა გამოიწვია ეკონომიკის ვარდნა - გაჩერდა მრავალი ფაბრიკა და ქარხანა და განვითარდა მძიმე ეკონომიკური კრიზისი. წარმოშობილმა საქონლის დეფიციტმა მრავალჯერ გაზარდა ფასები, რაც შემდგომ გიპერინფლაციაში გადაიზარდა. ამ შემთხვევაში ინფლაციას იწვევდა საქონლის დეფიციტი და არა ფულის მასის ზრდა.

**ინფლაცია ხდება ეროვნული ვალუტის მნიშვნელოვანი დევალვაციის დროს.** როცა საკუთარი წარმოება არ გაქვს და პროდუქცია უცხოეთიდან შემოგაქვს, ინფლაციას იწვევს ეროვნული ვალუტის დევალვაცია. ეროვნული ვალუტის დევალვაციას იწვევს ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის, ძირითადად დოლარის მიწოდება-მოთხოვნილების ბალანსი. თუ ეს ბალანსი უარყოფითია, ეროვნული ვალუტა დევალვაციას განიცდის და ვითარდება ინფლაციური პროცესები. აქედან გამოსავალია უცხოური პროდუქცია ჩავანაცვლოთ ადგილობრივით და გავზარდოთ ექსპორტი, ანუ უცხოური ვალუტის შემოტანა. შევამციროთ მთავრობის ის ხარჯები, რასაც უცხოური ვალუტა ჭირდება. ხელი შეუწყოთ ექსპორტის ზრდას და ადგილობრივი რეალური ეკონომიკის განვითარებას. შევამციროთ სახელმწიფოს ასიგნებები არარეალურ სექტორში. ასეთი ხარჯები მოხმარებას ზრდის და რეალურ პროდუქტს არ ქმნის და მძიმეთ უარყოფითად აწვება სავალუტო ბაზარს. პოლიტიკური და სხვა მეთოდების გამოყენებით ხელი

შეუწყოთ უცხოეთში სამუშაოდ გასულ ჩვენ თანამემამულეებს უფრო მაღალანაზღაურებად სამუშაოების შოვნაში, დავეხმაროთ მათ ხარჯების შემცირებაში. მაქსიმალურად შევზღუდოთ უცხოური ინვისტიციების მოზიდავა, რათა შევზღუდოთ მათ მიერ ქვეყნიდან მოგებით მიღებული ვალუტის გატანა. უნდა ვიმოქმედოთ პრინციპით, რაც ჩვენ შეგვიძლია, გავაკეთოთ ადგილზე. ეს უნდა გაკეთდეს მიუხედავად იმისა, უფრო ძვირია თუ უფრო იაფი ადგილობრივი პროდუქცია. უნდა შეჩერდეს სახელმწიფოს დანაშაულებრივი პოლიტიკა, როცა სახელმწიფო ტენდერებში უცხოელები იმარჯვებენ სიიაფის გამო. უცხოეთიდან შემოტანილი ყველაზე იაფი პროდუქცია სახელმწიფოს მრავალჯერ ძვირი უჯდება ვიდრე ყველაზე ძვირი ადგილობრივი პროდუქცია, ვინაიდან ჩვენ ქვეყანაში კი არა, უცხოეთში ვქმნით სამუსაო ადგილებს, ხელს ვუწყობთ ქვეყნიდან ვალუტის გადინებას, ეროვნული ვალუტის დევალვაციას, ინფლაციას და მოსახლეობის გაღარიბებას. ეს არის დანაშაულებრივი პოლიტიკა, რომელიც ყოველმხრივ ანგრევს ქვეყანას და ვინც ასეთ პოლიტიკას ატარებს, ეკონომიკის და ქვეყნის მართვის არაფერი გაეგება.

ეროვნული ვალუტის დევალვაციის დროს დროს, ანუ დოლარის გაძვირების დროს სწრაფად ხდება ფასების ზრდა. მაგრამ თუ ეროვნული ვალუტა გამყარდა და საწყის ნიშნულს დაუბრუნდა, ფასები აღარ იწევს და საწყის ნიშნულზე არ ბრუნდება, **რატომ? -** იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ ავღნიშნე, ნებისმიერი საქონლის შექმნაში უამრავი ფირმა და კომპანია მონაწილეობს. ყოველი მათგანისათვის ეროვნული ვალუტის მნიშვნელოვანი დევალვაცია ცალსახა ნიშანია იმის, რომ არ იზარალონ, ფასები უნდა გააძვირონ. ამიტომ დოლარის მნიშვნელოვან გაძვირებასთან ერთად, პრაქტიკულად ბაზრის ყველა სუბიექტი მყისიერად ზრდის ფასებს. ეროვნული ვალუტის გამყარებისას ყველამ მყისიერად, ერთდროულად უნდა დააკლოს ფასებს, რომ ფასები საწყის ნიშნულს დაუბრუნდეს. მაგრამ ასე არ ხდება. ვიღაცა მალევე აკლებს ფასს, ვიღაცა გარკვეული დროის შემდეგ, ვიღაცა კი საერთოდ აღარ აკლებს ფასს. აქედან გამომდინარე, ინფლაცია სწრაფად და მარტივად ხდება, დეფლაცია კი ურთულესი მძიმე პროცესია და ფასები გაზრდის შემდეგ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არასოდეს უბრუნდება საწყის ნიშნულს.

**ინფლაციას იწვევს ომები.** რატომ? ომის დროს ქვეყნის უამრავი რესურსი, იხარჯება შეიარაღებაზე და ესე ყველაფერი რამდენიმე დღეში ან შეიძლება საათებში ნადგურდება. ომის დროს მრავალჯერ იზრდება სახელმწიფოს ხარჯები, ყველა სახელმწიფო ამას ვერ უძლებს და ვითარდება სხვადასხვა სახის კრიზისები, რაც აუცილებლად ასახვას პოულობს ფასების ზრდაში.

**ინფლაციას იწვევს ტურიზმის სწრაფი ზრდა.** როცა პროდუქციის დიდი ნაწილი იმპორტულია, ფასები რომ არ გაიზარდოს, უნდა გაიზარდოს იმპორტი. იმპორტიორმა კომპანიებმა, იმპორტი რომ გაზარდოს, უნდა გაზარდოს საბრუნავი კაპიტალი. საბრუნავი კაპიტალის გაზრდა კი არასოდეს იოლი არ არის, მთელ რიგ პრობლემებს უკავშირდება და დიდ კომპანიებსაც კი უჭირთ ამის სწრაფად გაკეთება. ბაზარზე მკვეთრად გაზრდილი მოთხოვნა კი აძვირებს საქონელს. დიდი ოდენობით ტურისტი სხვა ბევრ პრობლემას ქმნის: ზიანდება გზები და სხვა ინფრასტრუქტურა, ისტორიული ძეგლები; საჭიროა ტურისტული ინფრასტრუქტურის, ტურიზმის ობიექტების მაღალ დონეზე შენარჩუნება, რაც დიდ ხარჯებს მოითხოვს; სერიოზულად მოქმედებს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, რაც მომაკვდავი ერების სიაში შეყვანილი ერისთვის კატასტროფის ტოლფასია; სერიოზულად ბინძურდება გარემო და ა.შ. თვითონ ის ფაქტი, რომ ქვეყანაში სამჯერ მეტი ტურისტი ჩამოდის ვიდრე ქვეყნის მოსახლეობაა ტრაგედიაა. ჩვენზე ბევრად უფრო დიდი და მძლავრი სახელმწიფოები ამას არ გააკეთებენ. თუ ასე გაგრძელდა, მალე მთელი მოსახლეობა, ვინც ქვეყანაშია დარჩენილი ტურისტების მომსახურებაზე გადავა. ასეთი მომავალი გვინდა, რომ მთელი მოსახლეობა სხვების მომსახურე პერსონალად ვაქციოთ? გარდა აღნიშნულისა, ტურიზმი არასაიმედო შემოსავლების წყაროა და ნებისმიერ დროს შეიძლება გაქრეს. ვილაცეების ავადმყოფ ტვინებში „მოიხარშა“ იდეა, რომ „ტურიზმით ქვეყანას ავაშენებთ“ ეს დიდი უაზრობაა და სხვა არაფერი. ტურიზმის ზედმეტად გაზრდით, ქვეყანას კი არ ავაშენებთ, დავღუპავთ! რაშია გამოსავალი. მკვეთრად უნდა შემცირდეს ტურისტების რაოდენობა. უნდა გამკაცრდეს სავიზო რეჟიმი. მოსახლეობას, ვინც ტურიზმით ირჩენს თავს, უნდა გაუჩინოთ შემოსავლის სხვა წყაროები.

**ინფლაციას იწვევს დაუმუშავებელი მიწები და გაჩერებული წარმოებები.** ყოველი ჰექტარი დაუმუშავებელი მიწა და გაჩერებული წარმოება აძლიერებს ინფლაციურ პროცესებს, ვინაიდან არ იქმნება პროდუქცია ეროვნული ვალუტის გასამყარებლად. მხოლოდ ეროვნული რეალური პროდუქტი ამყარებს ეროვნულ ვალუტას და სხვა არაფერი. ყველაფერი დანარჩენი ეროვნული ვალუტის გამყარების არასაიმედო წყაროებია და მათი იმედით მუდმივად პრობლემებში ვიქნებით. იმედი ნუ გვაქვს, რომ სავალუტო ფონდი დაგვეხმარება ეროვნული ვალუტის გამყარებაში და ეკონომიკის განვითარებაში. 33 წლის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ სავალუტო ფონდის „პატრონებს“ სულაც არ ადარდებს ჩვენი განვითარება და ჩვენს მიმართ სულსხვა მიზნები აქვთ. სახელმწიფო ყველაფერს უნდა აკეთებდეს და ხელს უნდა უწყობდეს საწარმოების ამუშავებას, ხელს უნდა უწყობდეს და აკონტროლებდეს მიწების დამუშავებას. უნდა ეძებდეს მცოდნე და გამოცდილ ადამიანებს, ვისაც რეალური პროდუქციის შექმნა შეუძლიათ, ასეთები ძალიან ცოტაა. მაქსიმალურად ხელი უნდა შეუწყოთ მათ ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, უნდა მოხდეს მათი დაფინანსება. ერთადერთი წინა პირობა უნდა იყოს პროდუქციის შექმნა. სახელმწიფო უნდა დაეხმაროს მათ პროდუქციის რეალიზაციაში. აუცილებლად უნდა გადანაწილდეს რისკები. დღეს ყველანაირ რისკს მეწარმე ეწევა. რეალური სექტორის მაღალი რისკების გამო, პრაქტიკულად, თითქმის ყოველთვის ამ სექტორში არსებული ფირმები და კომპანიები რისკების დადგომის თანავე კოტრდებიან. აუცილებლად რისკები უნდა გა-

დანაწილდეს მეწარმეს, სახელმწიფოს, დაზღვევას და ბანკებს შორის. არ შეიძლება ქვეყანაში ვიღაც გარანტირებული მოგებით მუშაობდეს და რეალურ სექტორში არსებული ბიზნესები მუდმივი რისკების ქვეშ იყვნენ.

**ინფლაციას ხელს უწყობს რესურსების არა ეფექტური გამოყენება.** მაგალითად, თუ მიწაზე მაღალი ხარისხის ვაშლის მოყვანა შეიძლება და ხორბალი მოგვყავს, ეს არის მიწის არაეფექტური გამოყენება. 1 ჰექტარ მიწაზე სულ ცოტა 15-18 ტონა ვაშლი მოდის. ვაშლი 20 თეთრადაც რომ გაიყიდოს 3000 ლარზე მეტი შემოსავალია. ხორბლის მოსავლიანობა 38-40 ცენტნერს არ აღემატება ანუ 4 ტონას. ტონა ხორბლის ფასი საერთასორისო ბაზარზე 150-180 დოლარს არ აღემატება ანუ ბევრად ნაკლებია, ვიდრე ვაშლის შემთხვევაში. თუ რესურს მეტის მოტანა შეუძლია და ამ შესაძლებლობას არ ვიყენებთ ინფლაციურ პროცესებს „ვახალისებთ".

**ინფლაციურ პროცესებზე მოქმედებს განათლების დონე.** რაც უფრო განათლებულია მოსახლეობა, მით უფრო ხარისხიან და მეტი რაოდენობის პროდუქციას უშვევს, მით მეტია ახალი იდეები და რაციონალური წინადადებები. გარდა აღნიშნულისა, განათლებული ადამიანი უკეთესად უვლის საკუთარ ქონებას და ახანგრძლივებს მათ არსებობას, ეს ყველაფერი ბოჭავს ინფლაციას და ხელს უწყობს ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას.

**ინფლაციას ხელს უწყობს ყოველი ადამიანი, ვინც ცოცხლობს, რესურსებს მოიხმარს და სანაცვლოდ არაფერს ქმნის.** როდესაც ადამიანები რესურსებს მოიხმარენ ეს ზრდის ბაზარზე მოთხოვნას, თუ ისინი ბაზარს არაფერს აწვდიან ასეთ შემთხვევაში ინფლაციის რისკი მატულობს. თუ უფრო განვაზოგადებთ, - უმუშევრობა ზრდის ინფლაციის რისკებს!

**ინფლაციის რისკებს ზრდის ჭარბწონიანი მოსახლეობა.** ჭარბი წონა ესაა ზედმეტი ენერგიის და რესურსების მოხმარება. ბაზარზე კი იზრდება პროდუქციაზე დამატებითი მოთხოვნა. როცა ქვეყანაში დიდი ოდენობის ჭარბ წონიანი მოსახლეობაა, ეს ბაზარზე სერიოზულად ზრდის მოთხოვნას და ინფლაციის რისკებს. გარდა აღნიშნულისა, ჭარბი წონის ადამიანს უუარესდება ჯამრთელობა და ამაზეც სერიოზული რესურსები იხარჯება, დაბალია ჭარბწონიანი მოსახლეობის შრომის ნაყოფიერება და ა.შ. ასე, რომ ჭარბი წონა არა მხოლოდ მედიცინის, ეკონომიკის და ქვეყნის სერიოზული პრობლემაა. გამოსავალი ჯამრთელი ცხოვრების აქტიური პროპაგანდაა.

**ინფლაციას იწვევს ბუნებრივი რესურსების გაძვირება.** ბუნებრივი რესურსები ილევა და სულ უფრო და უფრო ძნელ ადგილებში (უფრო მეტ სიღრმეებზე) მოსაპოვებელი ხდება, რაც მუდმივად აძვირებს ბუნებრივ რესურსებს, განსაკუთრებით წიაღისეულს. ეს პროცესი მუდმივად აძვირებს პროდუქციის ღირებულებას და აქტიურად მოქმედებს.

ამრიგად, ჩვენ უამრავი მიზეზი ვაჩვენეთ, თუ რამ შეიძლება გამოიწვიოს ინფაცია და დავინახეთ, რომ ფულის არასწორი ემისის გარდა, ეკონომიკაში მიმდინარე უამრავმა პროცესებმა შეიძლება გამოიწვიოს ინფლაცია. ასე, რომ მონეტარისტების მთავარი პრინციპი „მკაცრი მონეტარული პოლიტიკის" გატარება, იმისთვის რომ ინფლაცია არ მოხდეს, თავიდან ბოლომდე მცდარია. ინფლაცია მაინც ხდება ბევრი სხვა რამის გამო. მონეტარულმა მოდელმა მსოფლიოს ვერცერთ ქვეყანაში ვერ შეძლო ინფლაციის შეჩერება და ეკონომიკის განვითარება. მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მათ შორის, ჩვენი ქვეყანაც გააპარტახა, კოლოსალურ ვალებში ჩააგდო და დააქცია.

მე-20 საუკუნის დასაწყისში სავალურო ფონდმა და მონეტარისტებმა ახალ უაზრობას დაუდეს სათავე, რომელსაც „ინფლაციის თარგეტირება" უწოდეს. თუ წინათ ფულის ემისია 5%-ით იზღუდებოდა და მკაცრად იკრძალებოდა, რომ ინფლაცია არ მომხდარიყო, ახალ მონეტარულ მოდელში ინფლაცია მიზნად გაგვიხადეს. Target ინგლისურად მიზანს ნიშნავს. ახალ მოდელში მიზანი 5%-იანი ინფლაციაა. რამდენი ფულიც გინდა იმდენი შეიტანე ბრუნვაში, მთავარია ინფლაცია არ გაცდეს 5%-ს. მონეტარისტების მტკიცებით, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი თანდათან უნდა შემცირებულიყო და ბოლოს განულდეს. საქართველოში ეს მოდელი დაინერგა 2009 წელს, მაშინდელი ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა გვიმტკიცებდა, რომ 2020 წლიდან ინფლაცია საერთოდ აღარ იქნებოდა. პირიქით კი მოხდა. 2020 წლის შემდეგ მრავალჯერ გაძლიერდა ინფლაციური პროცესები. არც მაშინდელ და არც დღევანდელ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას, არც სავალუტო ფონდის წარმომადგენლებს არავინ ეკითხება, რატომ გვაქვს დღეს ინფლაცია. როდის დასრულდება ეს უაზრო ექსპერიმენტები და ქვეყნების ბედით თამაში? როგორც ჩანს, ქვეყნებმა თვითონ უნდა აიღონ ხელში თავიაანთი ქვეყნების მართვის ბერკეტები, სხვაგვარად მონეტარული მოდელის ამ ჯოჯოხეთური ლაბირინთიდან ვერ გამოვალთ.

**ინფლაციის არასწორი დათვლით გამოწვეული შეცდომები.** ინფლაციის დონეს ითვლიან სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით. აიღება გარკვეული რაოდენობის სხვადასხვა საქონლის ფასები, საქართველოში ოთხასი დასახელების საქონელია აღებული და მათი ჯამური ფასით ადგენენ წინა წელთან შედარებით ფასები გაზარდა თუ შემცირდა. სამწუხაროდ, აქაც უხეში შეცდომებია დაშვებული. ადამიანი, მწირი შემოსავლების პირობებში, ძირითადად მოიხმარს გადაუდებელი მოხმარების საქონელს. როდესაც სურსათის ფასი იზრდება, მოსახლეობის ხარჯები სურსათის შეძენაზე იზრდება, ამის გამო, მცირდება ფართო მოხმარების საქონლის რეალიზაცია. რეალიზაციის შემცირების გამო, ფართო მოხმარების საქონელს ფასები აკლდება. ასით ვითარებაში, ფასების მომატება-კლება ისე შეიძლებ დალაგდეს, რომ დეფლაციაც კი გამოვიდეს. პირობითად, დაუშვათ რომ ბაზარზე სულ ორი საქონელია: პური, რომელიც 1 ლარი ღირს და მობილური ტელეფონი, რომელიც 400 ლარი ღირს. პირობითად, დაუშვათ, რომ პური გაძვირდა და 10 ლარი გახდა. ამ შემთხვევაში, მოსახლეობის შემოსავლების დიდი ნაწილი პურის შეძენაზე წავა და ტელეფონების რეალიზაცია

მკვეთრად შემცირდება. დაუშვათ, რომ ტელეფონების მფლობელმა ფასი 30 ლარით დააკლო და 370 ლარად ყიდის. ასეთი ფასთა ცვლილების პირობებში ინფლაციას არსებული მეთოდოლოგიით თუ დავითვლით, 5 % დეფლაცია გვექნება. მაგრამ ადამიანისათვის გაცილებით ურო მნიშვნელოვანი და ტრაგიკულია სურსათზე, ამ შემთხვევაში, პურზე, ფასების ზრდა და თუ შიმშილის პრობლემა დაუდგა, მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს რამდენით გაიაფდება ან გაძვირდება მობილური. აი, ასე, არასწორი დათვლების შედეგად, სადაც არაა გათვალისწინებული რეალური ვითარება, ხდება ინფლაციის დათვლა და როცა საშუალო სტატისტიკურ ადამიანს წლიური ხარჯი 20-30 პროცენტით (ზოგჯერ კი 60-70 პროცენტით) ეზრდება, ანუ სახეზე 20-30 პროცენტიანი ინფლაციაა, ოფიციალური სტატისტიკით კი 2-3 პროცენტია.

თუ სწორად არ დავითვალეთ, ვერ მოვახდენთ სწორ ანალიზს, ვერც პროგნოზებს გავაკეთებთ და ვერც არსებული მძიმე მდგომარეობიდან გამოსავლის გზებს ვიპოვით.

თავი დავანებოთ მონეტარული მოდელის უაზრობებს და ქვეყნის კიდევ უარეს დღეში ჩაყენებას, ჩვენ თვითონ ვმართოთ ჩვენი ქვეყანა და ეკონომიკა. დავანებოთ თავი ხელგაწვდილ მათხოვრობას, თავის დამცირებას, „ვილაცეების კარებთან" დგომას. მივხედოთ ჩვენ რესურსებს რომლებიც ან საერთოდ მიგდებული გვაქვს, ან უკიდურესად არაეფექტურად ვიყენებთ. მივხედოთ ჩვენ ქვეყანას!

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. რევაზ კაკულია, გედევან ხელაია ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია;
2. დემურ გადელია, ფინანსური მენეჯმენტი;
3. Джеффри Д. Сакс, Фелипе Ларрен Б. Макроэкономика Глобальный подход, Москва, издательство " Дело", 1996;
4. Л. Харрис, Денежная теория, Москва, „прогрес" 1990;
5. Стенли Фишер, Рудигер Дорнбуш, Ричард Шмалези Экономика, „дело", Москва, 1995.

# ევროკავშირი და საქართველო: ერთად COVID-19 წინააღმდეგ

**ლარისა თაკალანძე**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
პროფესორი,
https://orcid.org/0000-0003-1126-6464
E-mail: speaker@sou.edu.ge

**აპოლონ არდაშელია**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო
პროგრამის სტუდენტი
E-mail: iardashelia@gmail.com

**DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.04.04**

**აბსტრაქტი**

პანდემიით გამოწვეულმა სიტუაციამ უკიდურესად გაამწვავა თანამედროვე საზოგადოებაში ისედაც არსებული მრავალი სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემა. შექმნილ ძნელად პროგნოზირებად ვითარებაში (ინფიცირებულთა სწრაფად მზარდი რაოდენობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება, სიკვდილიანობის მატება) პანდემია უდიდესი გამოწვევა აღმოჩნდა არა მარტო მსოფლიო ჯანდაცვის სისტემისთვის, არამედ მან დიდი ზარალი მიაყენა გლობალურ ეკონომიკას (ექსპერტების აზრით, მისმა ვარდნამ 4% შეადგინა). ცხადია, საქართველოც პირისპირ აღმოჩნდა უპრეცედენტო გამოწვევის წინაშე და იძულებული გახდა მთელი რიგი არატიპიური ამოცანა გადაეჭრა.

პანდემიით გამოწვეულ სირთულეებთან ბრძოლა მოითხოვდა მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს, რაც განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობის მქონე ქვეყნისთვის. კერძოდ, პანდემიის შედეგების შემსუბუქების მიზნით, აუცილებელი გახდა ვირუსის შემაკავებელი ღონისძიებების განხორციელება და დამატებითი სამედიცინო რესურსის მობილიზება, მოქალაქეების სოციალური მხარდაჭერა, ბიზნესის გადარჩენა და ეკონომიკის ხელშეწყობა. 2020 წელს პანდემიის მიერ მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნით, საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავდა ანტიკრიზისული გეგმა, ამასთან, ამ გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდა ცვლილებები. 2020 წლის ანტიკრიზისული ბიუჯეტით დაიგეგმა დამატებით 5.6 მლრდ ლარის მობილიზება, ხოლო უშუალოდ პანდემიასთან საბრძოლველად გასატარებელი ღონისძიებებისათვის განისაზღვრა 3.4 მლრდ ლარი. ნაშრომში განხილულია ევროკავშირის მიერ კორონავირუსის COVID-19 პანდემიის პერიოდში საქართველოსთვის გაწეული მხარდაჭერა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ევროკავშირი, კორონავირუსის (COVID-19) პანდემია, მხარდაჭერა

# EUROPEAN UNION AND GEORGIA: TOGETHER AGAINST COVID-19

**Larisa Takalandze,**
Sokhumi State University, Professor,
https://orcid.org/0000-0003-1126-6464
E-mail: speaker@sou.edu.ge

**Apolon Ardashelia,**
PhD Student at Sokhumi
State University
E-mail: iardashelia@gmail.com

**ABSTRACT**

The situation caused by the pandemic has greatly aggravated many social, economic and environmental problems already existing in modern society. In the difficult-to-predict situation created (rapidly increasing number of infected people, deterioration of population health, increase in mortality), the pandemic turned out to be a great challenge not only for the world health system, but also caused great damage to the global economy (according to experts, its decline amounted to 4%). Obviously, Georgia faced an unprecedented challenge and had to solve a number of atypical tasks.

Fighting the difficulties caused by the pandemic required significant financial resources, which was a special challenge for the country with the economic potential of Georgia. In particular, in order to mitigate the consequences of the pandemic, it was necessary to implement measures to contain the virus and mobilize additional medical resources, social support of citizens, save businesses and promote the economy. In order to alleviate the damage caused by the pandemic in 2020, the Georgian authorities developed an anti-crisis plan, and in order to finance the measures provided for in this plan, changes were made in the state budget. In the 2020 anti-crisis budget, an additional 5.6 billion GEL was planned to be mobilized, and 3.4 billion GEL was determined for measures to be taken directly to fight the pandemic. The paper discusses the support provided by the European Union to Georgia in the socio-economic field during the coronavirus COVID-19 pandemic.

**Key words:** Georgia, European Union, Coronavirus (COVID-19) Pandemic, Support.

## შესავალი

2014 წლის ივნისში ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას (AA), რომელიც ძალაში 2016 წლის 1 ივლისს შევიდა. ამ შეთანხმებამ, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან (DCFTA) ერთად, საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას.

დღეს ევროკავშირი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია. DCFTA აღრმავებს საქართველოს ეკონომიკურ კავშირებს ევროკავშირთან და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სახელმწიფო შესყიდვები, საერთო საბაჟო წესები, სურსათის ტექნიკური და სანიტარული სტანდარტები, ინტელექტუალური საკუთრების საკითხები და კონკურენციის წესები. ევროკავშირი ხელს უწყობს მთავრობას ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდასა და კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერაში ხარისხის მართვის სისტემების და ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემების ჩამოყალიბების გზით, რითაც სტანდარტებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.

ნაშრომის მიზანია ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გაწეული მხარდაჭერის გამოკვლევა უპრეცედენტო კრიზისის დროს - კორონავირუსის COVID-19 პანდემიის პერიოდში.

## ძირითადი ტექსტი

ევროკომისიამ კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შემსუბუქების მიზნით ევროკავშირის გაფართოების კანდიდატი და სამეზობლო ათი პარტნიორი ქვეყნის მხარდასაჭერად 3 მლრდ ევროს ოდენობის მაკროფინანსური დახმარების პაკეტი გამოყო. ამას დაემატა ევროპის გუნდის „Team Europe" მიერ შემუშავებული სტრატეგია, რომელიც კორონავირუსის პანდემიის დაძლევაში პარტნიორი ქვეყნების ძალისხმევის მხარდასაჭერად ევროკავშირის მიზნობრივ რეაგირებას წარმოადგენს. დაფინანსების საჭიროებების წინასწარი შეფასების შემდეგ, ევროკავშირმა მაკროფინანსური დახმარების თანხებიდან საქართველოსთვის 150 მლნ ევრო გამოყო.

საქართველოში ევროკავშირის მხარდაჭერა განხორციელდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში; **ჯანმრთელობის დაცვის** მიმართულებით მხარდაჭერა მოიცავდა სამედიცინო აღჭურვილობის დაახლოებით 2 მლნ ერთეულს, მათ შორის სასუნთქ აპარატებს, სამედიცინო პირბადეებს და სპეციალურ ტანსაცმელს საქართველოს ლაბორატორიებისა და სამედიცინო დაწესებულებებისთვის, აგრეთვე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან (ჯანმო) თანამშრომლობით სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისათვის ტრენინგების ჩატარებას და წვდომას COVID-19-ის შესახებ არსებულ რეგიონულ ინფორმაციაზე.

**საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის მეშვეობით** ევროკავშირი მჭიდროდ თანამშრომლობდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შესაბამის ფინანსურ ინსტიტუტებთან:

- დაახლოებით 70 მლნ ევრო გამოიყო გრანტების სახით, რათა ქართულ ბიზნესს და თვითდასაქმებულებს გაადვილებოდა ადგილობრივი ვალუტის საკრედიტო ხაზებსა და გრანტებზე წვდომა, კრიზისის შემდეგ თავიანთი ბიზნესის სტიმულირებისა და აღდგენის ხელშესაწყობად. თანხების მოწოდება მოხდა 2020 წლის განმავლობაში ფინანსური პარტნიორების მეშვეობით;
- 20 მლნ-დე ევრო მიზნობრივი საგრანტო დაფინანსება მიმართული იქნა ადგილობრივი ბიზნესის, ფერმერებისა და კერძო პირების დასახმარებლად;
- მიკროდონეზე, ევროკავშირის პროექტები იურიდიულ კონსულტაციას აწარმოებდნენ მცირე საწარმოებისთვის, რომლებიც ჩართული იყვნენ პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გარდა ამისა, ევროკავშირმა მიმდინარე პროცესში ჩართო მდგრადი განვითარების ევროპული ფონდი ((EFSD).

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი **COVAX** პლატფორმის ერთ–ერთი უდიდესი მხარდამჭერი იყო. COVAX უპრეცედენტო გლობალური კოლაბორაციაა, რომლის მიზანიც COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების შემუშავების და წარმოების ხელშეწყობა და მათზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა იყო. ევროკავშირის ევროპის გუნდი COVAX პლატფორმას 2.47 მლრდ ევროზე მეტით უჭერდა მხარს. ამ თანხიდან 1 მლრდ ევრო ევროკავშირის ბიუჯეტიდან იქნა გამოყოფილი. COVAX პლატფორმის ფარგლებში COVID-19-ის საწინააღმდეგო პირველი ვაქცინები საქართველომ - ისევე, როგორც აზერბაიჯანმა, მოლდოვამ, სომხეთმა და უკრაინამ - COVAX-ის სადისტრიბუციო პარტნიორის, გაეროს ბავშვთა ფონდის საშუალებით მიიღო.

2021 წლის თებერვლის შემდეგ ევროკავშირმა და ჯანმოს ევროპის რეგიონულმა ოფისმა უდიდესი ერთობლივი ძალისხმევა გასწიეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანაში COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების მიწოდების და ვაქცინაციის პროცესის მხარდასაჭერად. ეს იყო ევროკავშირის და ჯანმოს მიერ ევროპის რეგიონში განხორციელებული უდიდესი ერთობლივი აქცია. ვაქცინაციისთვის ქვეყნების მოსამზადებელი ამ ინიციატივის მთლიანმა ბიუჯეტმა სამი წლის განმავლობაში 40 მლნ ევრო შეადგინა. პროგრამის ფარგლებში ვაქცინაციის პროცესის ხელშესაწყობად ჩატარდა ტრენინგები, გაიცა რეკომენდაციები და ამოქმედდა ლოგისტიკური მხარდაჭერა. ამავე დახმარების ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს ვაქცინები COVAX-ისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ვაქცინების გაზიარების მექანიზმის საშუალებით მიეწოდათ.

**სოციალური სფერო.** COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები დამატებითი რისკების ქვეშ აღმოჩნდნენ. პანდემიის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ადამიანების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად გამოიცა არაერთი საერთაშორისო რეკომენდა-

ცია სხვადასხვა აქტორისთვის, მათ შორის ევროპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფორუმის (EDF) დოკუმენტი (ევროპის შშმ პირთა ფორუმის (EDF), დოკუმენტი იხ. https://bit.ly/2zq6W5m) [3].

კრიზისის დროს მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, შშმ პირების, აგრეთვე ოჯახური ძალადობის მსხვერპლების, ხანდაზმულების, ბავშვებისა და იძულებით გადაადგილებული პირების დასახმარებლად ევროკავშირმა საქართველოში რამდენიმე პროექტი განახორციელა. ასე, ევროკავშირის მხარდაჭერით, საქართველოში განხორციელდა სამი პროექტი, რომლითაც დახმარება გაეწია მოწყვლად ჯგუფებს COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის პერიოდში შექმნილი პრობლემების დაძლევაში. პროექტები, რომლებსაც განახორციელებენ ევროკავშირის პარტნიორი ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები „ქალთა საინფორმაციო ცენტრი", „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის" და იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა", დაეხმარა ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს, იძულებით გადაადგილებულ პირებსა და შშმ პირებს საქართველოს მასშტაბით.

**ეკონომიკის აღდგენა.** 2009 წლიდან, ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას EU4Business პროგრამის მეშვეობით. ქვეყანაში მოქმედებს 50-მდე სხვადასხვა პროექტი, რომელთა საერთო ბიუჯეტი 320 მლნ ევროს აღემატება. ამ ძალისხმევის შედეგებია ის, რომ მხოლოდ 2019 წელს, საქართველოში 36 000-ზე მეტი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა განხორციელდა, რის შედეგადაც 30 000 ახალი სამუშაო ადგილი და 400 მლნ ევრომდე დამატებითი შემოსავალი შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ EU4Business იყო ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი, რომელმაც ხელი შეუწყო COVID-19 პანდემიის კრიზისით დასუსტებული ეკონომიკის აღდგენას; სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური დახმარება, გამარტივდა შერჩევის კრიტერიუმები, გაიცა 200 მლნ ლარზე მეტი ბიზნესებისთვის სესხებზე წვდომის ხელშეწყობისა და კონსულტაციების უზრუნველყოფის მიზნით. სესხები ხელმისაწვდომი იქნა ადგილობრივი ბანკებიდან ისეთი პარტნიორების დახმარებით, როგორიცაა ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW); მობილიზებული იქნა 60 მლნ ლარზე მეტი ადგილობრივი მიზნობრივი გრანტი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე ევროკავშირის პროექტების მეშვეობით, ეკონომიკური აქტივობის სტიმულირების მიზნით ისეთ სფეროებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, სოფლად ბიზნესის განვითარება და პროფესიული განათლება.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით, განახორციელა პროექტი „საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში და მას შემდეგ COVID-19 თან დაკავშირებული ხარჯების და ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგი". საქართველოში პანდემიის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, ინიციატივის ფარგლებში განხორციელდა COVID-19-თან დაკავშირებული საჯარო ფინანსების, საჯარო შესყიდვების, მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის შესრულების, StopCov ფონდის ხარჯვისა და დონორთა დახმარების განაწილების მონიტორინგი. ეს დოკუმენტი წარმოადგენს პროექტის შემაჯამებელ ანგარიშს, რომელიც მიმოიხილავს, საქართველოს ხელისუფლების მიერ, პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში განხორციელებული ანტიკრიზისული ღონისძიებების, მათი დაფინანსების წყაროების და გაწეული ხარჯების მონიტორინგის შედეგებს, ძირითად მიგნებებსა და გაცემულ რეკომენდაციებს.

## დასკვნა

ამრიგად, ევროკავშირმა და ევროპის გუნდმა (Team Europe) COVID-19 პანდემიასთან ბრძოლაში საქართველოს დასახმარებლად უზრუნველყვეს დაახლოებით 1.5 მლრდ ლარის მობილიზება, ახალი სახსრების მოზიდვისა და არსებულის გადანაწილების გზით. ამ თანხის თითქმის 2/3 გრანტის სახითაა წარმოდგენილი, დანარჩენი კი შეღავათიანი სესხის სახით. ეს ევროკავშირის მიერ მსოფლიოს ნებისმიერი უცხო ქვეყნისთვის ერთ სულ მოსახლეზე გაწეული დახმარების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, რაც უპრეცედენტო კრიზისის დროს ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გამოხატულ მტკიცე სოლიდარობას ადასტურებს. თითქმის 1 მლრდ ლარის ოდენობის ევროკავშირის დახმარება განკუთვნილი იყო: საქართველოს მთავრობის მიერ COVID-19-ის კრიზისის დასაძლევად მიმართული ძალისხმევის გასაძლიერებლად და ასევე მოიცავდა ანტიკრიზისულ ეკონომიკურ გეგმას და რეგიონული/სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ახალ პროგრამებს ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ყოველივე ზემოთქმული COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული კრიზისის დროს ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის როგორც მატერიალურ-ფინანსურ, ასევე ექსპერტულ მხარდაჭერას ადასტურებს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

Larisa Takalandze, Corporate Social Responsibility in the European Union, Text-book, 2024 https://zenodo.org/records/10775964

**ვებ-გვერდები:**
https://myrights.gov.ge;
https://www.eeas.europa.eu;
https://eu4georgia.eu.

# სამორინე ინდუსტრიის აჭარის რეგიონის ეკონომიკაზე ზეგავლენის ანალიზი

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.04.05

**აბსტრაქტი**

საქართველოს საბაზრო ტრანზიციულ ეტაპზე ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად შესწავლილ სფეროს სათამაშო ბიზნესი წარმოადგენს, რომელსაც, როგორც თეორიული კვლევის, ისე პრაქტიკული ფუნქციონირების თვალსაზრისით, გააჩნია მრავალი წახნაგი – სამართლებრივი, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, რელიგიური და სხვა. ამ მხრივ გამონაკლისი არც ეკონომიკური ასპექტია. წინამდებარე კვლევა რეგიონულ ჭრილში განიხილავს ეკონომიკაზე სათამაშო ბიზნესის ყველაზე მსხვილი სეგმენტის, კერძოდ, სამორინე ინდუსტრიის ზეგავლენას უცხოური გამოცდილების განზოგადებისა და ქვეყანაში განხორციელებული რეგულაციური ცვლილებების ფონზე.

*შენიშვნა: აზარტული თამაშების ნეგატიური სოციალური ზეგავლენის შესწავლა სცილდება წინამდებარე სტატიის კვლევის საგანს.*

**საკვანძო სიტყვები:** სათამაშო ბიზნესი, სამორინე ინდუსტრია, აჭარის რეგიონი.



**ბესიკ ბოლქვაძე,**
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
https://orcid.org/0009-0009-5788-5878
E-mail: besik.bolkvadze78@gmail.com

# SAMORIN INDUSTRY ON THE ECONOMY OF THE AJARA REGION IMPACT ANALYSIS

**Besik Bolkvadze**
Shota Rustaveli State University
PhD, Associate Professor
https://orcid.org/0009-0009-5788-5878
E-mail: besik.bolkvadze78@gmail.com

**ABSTRACT**

On the transition market stage of Georgia one of the less studied industries represents gambling business which from economic research as well as practical functioning point of view has the following sides – legal, political, psychological, religious and so forth. In this regard no exception is an economic aspect. Presented study in regional perspective considers the most considerable segment's – casino industry's impact against the background of generalizing of foreign experience and regulating changes made in the country.

*Remark: Research of gambling social impact is out of the scope of the paper.*

**Key words:** Gambling business, casino industry, Adjara region.

## შესავალი

სათამაშო ინდუსტრია თანამედროვე ეტაპზე ითვლება მსოფლიოში მეტ-ნაკლებად მზარდ ბიზნესად. ყველა ქვეყანას გააჩნია სათამაშო ბიზნესის პოლიტიკისადმი განსხვავებული მიდგომები და რეგლამენტაციები. ამასთან, გამოკვეთილი პარადიგმა და ამბივალენტურობა მდგომარეობს შემდეგში: სახელმწიფოთა მთავრობები ცდილობენ, შექმნან ე.წ. პასუხისმგებლიანი გემბლინგ-სისტემები და იმავდროულად გააძლიერონ სათამაშო ინდუსტრიის როლი ეკონომიკაში [1], რაც თავის მხრივ მოიცავს: ტურიზმის ხელშეწყობას, სამუშაო ადგილების შექმნას, ფისკალურ კონტრიბუციას, ინვესტიციების წახალისებას, ურბანულ რევიტალიზაციას და მულტიპლიკაციურ ეფექტს. აქვე შევნიშნოთ, რომ აზარტული თამაშობები ტოტალურად (როგორც აზარტული /„მაგარი“/, ასევე მომგებიანი /„რბილი“/

თამაშები) აკრძალულია მსოფლიოს 20-მდე ქვეყანაში.

საქართველოში სათამაშო ბიზნესის ლეგალიზაცია განხორციელდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში. მიმდინარე ეტაპზე მისი რეგულირება ეყრდნობა 30-მდე ნორმატიულ აქტს, ხოლო მისი ეკონომიკური აქტივობის შესახებ ზოგად წარმოდგენას იძლევა შემდეგი მაჩვენებლები: აზარტული თამაშების საქმიანობებით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მოცულობამ, საქსტატის მონაცემების მიხედვით [2], შეადგინა: 2020 წელს – 32.1 მლრდ ლარი, 2021 წელს – 47.9 მლრდ ლარი, 2022 წელს – 52.6 მლრდ ლარი, პროდუქციის გამოშვების ანუ ერთობლივი სათამაშო შემოსავლების (GGR /Gross Gaming Revenue/) მაჩვენებელმა კი შესაბამისად შეადგინა: 2020 წელს – 1.4 მლრდ ლარი, 2021 წელს – 2.2 მლრდ ლარი, 2022 წელს – 2.5 მლრდ ლარი.

აღასანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში სათამაშო ბიზნესის სფეროში შემოღებულმა რეგულაციებმა მოიცვა შემდეგი მიმართულებები [5]: 2022 წელს ცვლილებები განხორციელდა ორ ეტაპად (1 იანვრიდან და 1 მარტიდან), კერძოდ, – შეიქმნა აკრძალულ პირთა სია და განისაზღვრა დამოკიდებულ პირთა სიის ფორმირების მექანიზმი; გაიზარდა მოთამაშეთა ასაკობრივი ზღვარი (25 წლამდე) საქართველოს მოქალაქეებისათვის; აიკრძალა აზარტული და მომგებიანი თამაშების რეკლამა, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა. ცვლილებები შეეხო ასევე სათამაშო სექტორს საგადასახადო დაბეგვრის ნაწილში, კერძოდ, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობები ანუ ონლაინ თამაშები (მხოლოდ სამორინეები და სლოტ-კლუბები) გადავიდნენ ერთობლივი სათამაშო შემოსავლების (ე.წ. GGR) დაბეგვრის მექანიზმზე. ამასთან, წყაროსთან დაბეგვრას დაექვემდებარა ონლაინ თამაშებში მონაწილე პირის მიერ სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა.

რაც შეეხება 2024 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებულ რეგულაციებს, ისინი ძირითადად ფისკალური ხასიათისაა და შეეხო შემდეგ კომპონენტებს: 1. გაიზარდა მოგების გადასახადის განაკვეთი, ონლაინ თამაშების (გარდა ტოტალიზატორებისა) ორგანიზატორებზე, ერთობლივი სათამაშო შემოსავლების 10%-დან 15%-მდე; 2. გაიზარდა ონლაინ თამაშებში მონაწილე პირების მიერ გატანილი თანხის დაბეგვრის განაკვეთი 2%-დან 5%-მდე; 3. შეიცვალა სტანდარტული („Land-based“) სლოტ-კლუბების დაბეგვრის მექანიზმიც, სახელდობრ: ა) „ესტონური“ მოდელის ნაცვლად ისინი დაიბეგრებიან ერთობლივ სათამაშო შემოსავლებზე 15%-იანი განაკვეთით; ბ) ასევე, წყაროსთან დააკავებენ მოთამაშეთა მოგების შემთხვევაში გატანილ თანხას 5%-იანი განაკვეთით.

## ძირითადი ტექსტი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი ეხება უშუალოდ აჭარის რეგიონის ეკონომიკაში სამორინეების მნიშვნელობას, გამომდინარე იქიდან, რომ ერთი მხრივ სათამაშო ბიზნესის „განფენილობის“ თვალსაზრისით სწორედ აჭარის რეგიონი წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ რეგიონს, მეორე მხრივ კი სამორინეები ასრულებენ სათამაშო ინდუსტრიის „მზიდი კონსტრუქციის“ როლს.

ხსენებული ინდუსტრიის სტრუქტურა 2024 წლის 1 იანვრისთვის წარმოგვიდგება შემდეგნაირად: რეგიონში ფუნქციონირებს სულ 45 სათამაშო ბიზნესოპერატორი, მ.შ. – 12 სამორინე (კაზინო), 28 სათამაშო აპარატების სალონი (სლოტ-კლუბი), 3 ბინგო და 2 ტოტალიზატორი [4]. შევნიშნოთ, რომ სამორინეების უმეტესი ნაწილი, კერძოდ 9 სამორინე განთავსებულია სასტუმროში, ამასთან, ყველა სამორინე მოიცავს სლოტ-კლუბის კომპონენტს. საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით, რეგიონის სათამაშო ინდუსტრიის მთავარ მოთამაშეებს წარმოადგენენ ე.წ. „მიწის“ (სახმელეთო) სამორინეები.

აჭარის რეგიონში სამორინე ინდუსტრიის განვითარებას, თავის მხრივ, განაპირობებს მთელი რიგი ფაქტორებისა, რომელთაგანაც მნიშვნელოვანია: ტურიზმის სექტორის განვითარების მზარდი დინამიკა, რეგიონის საზღვრისპირა მდებარეობა, ტერიტორიული ნიშნის მქონე სანებართვო შეღავათების არსებობა, ეკონომიკური აქტივობის შედარებით მაღალი დონე, ლოგისტიკური ხელმისაწვდომობა, მზარდი ურბანიზაცია.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა ეკონომიკური ბენეფიტები აქვს სამორინე ინდუსტრიას რეგიონულ კონტექსტში, კერძოდ კი აჭარის რეგიონის, როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის სიდიდით ქვეყნის რიგით მეორე ტერიტორიული ერთეულის, ეკონომიკისათვის?

უპირველესად დაკვირვებას საჭიროებს რეგიონში მოქმედი სამორინეების[1] მიერ სხვადასხვა დონის ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები და მოსაკრებლები. კერძოდ, 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში სამორინეებიდან აკუმულირებული იქნა 57.5 მლნ ლარი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზებული საშემოსავლო გადასახადის თანხამ შეადგინა 20.9 მლნ ლარი, რაც რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების 4.7%-ია; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადახდილი იქნა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 35.2 მლნ ლარი (ჯამურად სათამაშო ინდუსტრიის მიერ გადახდილი მოსაკრებლის 85%), რაც შეადგენს ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების 13.2%-ს. ამასთან, იმავე წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჩარიცხულმა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელმა შეადგინა 2.4 მლნ ლარი [6; 7; 8] (იხ. ცხრილი 1).

გარდა ფისკალური კონტრიბუციისა, ასევე ანალიტიკურად მნიშვნელოვან მაჩვენებელს აჭარის რეგიონის სამორინე ინდუსტრიის მიერ გაწეული ხარჯები წარმოადგენს (ე.წ. მულტიპლიკაციური ეფექტის ჭრილში), რაც მზარდია და მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს

**1 აქ და ქვემოთ მოცემულია რეგიონის მხოლოდ 10 სამორინის ჯამური მაჩვენებლები.**

ცხრილი 1

**სამორინეების ფისკალური კონტრიბუცია აჭარის ა.რ. რესპუბლიკურ ბიუჯეტსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში (ფაქტი/მლნ ლარი)**

| | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|---|---|
| აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები | 285.1 | 288.8 | 307.8 | 278.7 | 307.4 | 442.0 |
| სამორინეების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი აჭარის ა.რ. რესპუბლიკურ ბიუჯეტში | 7.7 | 9.7 | 13.5 | 4.9 | 8.7 | 20.9 |
| სამორინეების ფისკალური წვლილი აჭარის ა.რ. რესპუბლიკურ ბიუჯეტში | 2.7% | 3.4% | 4.4% | 1.8% | 2.8% | 4.7% |
| ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები | 168.6 | 167.0 | 177.2 | 142.1 | 197.2 | 266.1 |
| სათამაშო ინდუსტრიის მიერ გადახდილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლები ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში | 30.6 | 36.2 | 32.0 | 17.2 | 23.4 | 41.4 |
| სამორინეების მიერ გადახდილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლები ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში | 24.1 | 27.0 | 24.2 | 0.4 | 19.2 | 35.2 |
| სამორინეების ფისკალური წვლილი ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში | 14.3% | 16.2% | 13.7% | 0.3% | 9.7% | 13.2% |

**წყარო:** აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. ქ. ბათუმის მერია.

შენიშვნა: ცხრილში მოცემული მონაცემები არ მოიცავს სამორინეების მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი საერთო-სახელმწიფო გადასახადებისა და სანებართვო მოსაკრებლების და ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადახდილი ადგილობრივი გადასახადის თანხებს.

– მოთამაშე ვიზიტორების განთავსებას, ტრანსპორტირებას და კვებას. კერძოდ, 2022 წელს რეგიონში მოქმედი სამორინეების მიერ ზემოხსენებული სამი სახეობის მომსახურების შეძენაზე გაწეული იქნა ჯამურად 82.3 მლნ ლარი, მათ შორის: 1) სასტუმრო მომსახურების შეძენაზე – 31.5 მლნ ლარი; 2) სატრანსპორტო მომსახურების შეძენაზე – 17.8 მლნ ლარი; 3) კვებით და სასმელებით მომსახურების შეძენაზე – 33.0 მლნ ლარი [8]. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმავე წლისათვის რეგიონში განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების (სასტუმროებისა და რესტორნების) ბრუნვის მოცულობამ შეადგინა 408.4 მლნ ლარი [2], რომლის 15.8% მოდის სწორედ სამორინეების მიერ განხორციელებულ შესყიდვების კომპონენტზე.

სამორინე ინდუსტრიის მიერ 2022 წელს აჭარის რეგიონში მოქმედ სამორინეებში დასაქმებული იყო 3588 კაცი, რაც ქვეყნის მასშტაბით სათამაშო ინდუსტრიაში დასაქმებულთა $^{1}/_{3}$-ზე მეტია. სამორინე ინდუსტრიის საშუალო ხელფასმა კი შეადგინა 2392 ლარი, რაც აღემატება შესაბამისი პერიოდის აჭარის რეგიონის ყველა სხვა სექტორის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს, გარდა ენერგეტიკის და კომუნიკაციის სექტორებისა. ამასთან, სამორინეთა ჯამურმა სახელფასო ფონდმა იმავე წელს შეადგინა 80.8 მლნ ლარი. აქვე შევნიშნოთ, რომ სამორინე ინდუსტრიაზე მოდის ბათუმში ოპერირებად ბიზნეს სექტორში (ყველა ბიზნესსუბიექტში) დასაქმებულთა 5.8%, ხოლო გაწეული შრომითი ხარჯების – 8.6% [2; 8].

ხაზგასასმელია, რომ იმავე პერიოდისათვის აჭარის რეგიონში (ბიზნეს სექტორის ნაწილში) სამორინე ინდუსტრიამ გაწია უფრო მეტი შრომითი ხარჯები, ვიდრე ერთად აღებული უძრავ ქონებასთან დაკავშირებულმა მომსახურებებმა, კომუნალურმა მომსახურებებმა და პროფესიულმა, ტექნიკურმა და სამეცნიერო საქმიანობებმა. ასევე, განახორციელა საქონლისა და მომსახურების ყიდვები, რომელიც აღემატებოდა ერთად აღებული სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, ინფორმაცია-კომუნიკაციის და განათლების სექტორებს [2; 8] (იხ. ცხრილი 2).

საინტერესოა აჭარაში მოქმედი სამორინეების მიერ მოზიდული ვიზიტორების „გეოგრაფიაც“. ყველაზე მეტი უცხოელი მოთამაშე მოდის შემდეგ ქვეყნებზე: თურქეთი, ისრაელი, არაბული ქვეყნები, დანარჩენი ქვეყნები. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების დინამიკაში სამორინეების მიერ მოზიდული მოთამაშე ვიზიტორების დაახლოებით 90% მოდის არარეზიდენტ, ხოლო 10% –

**ცხრილი 2**
**აჭარის რეგიონში მოქმედი სამორინეების ეკონომიკური მახასიათებლები**

| | გადახდილი გადასახადები და მოსაკრებლები /მლნ ლარი/ | დასაქმებულთა რაოდენობა /კაცი/ | სახელფასო ფონდი /მლნ ლარი/ | საშუალო ხელფასი /ლარი/ | შეძენილი სასტუმრო მომსახურების ღირებულება /მლნ ლარი/ | შეძენილი სატრანსპორტო მომსახურების ღირებულება /მლნ ლარი/ | შეძენილი კვებითი მომსახურების ღირებულება /მლნ ლარი/ | მოთამაშე ვიზიტორთა რაოდენობა (არაუნიკალური) /კაცი/ | სათამაშო მაგიდების და სათამაშო აპარატების რაოდენობა /ცალი/ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2022 | 92.7 | 3588 | 80.8 | 2392 | 31.5 | 17.8 | 33.0 | 1126086 | 196 / 1273 |

**წყარო:** შემოსავლების სამსახური. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. აჭარის სამორინეთა ასოციაცია.

რეზიდენტ მოთამაშეებზე [8], რაც ერთი მხრივ მოქმედი რეგულაციებით, ხოლო მეორე მხრივ რეგიონული ფაქტორით არის განპირობებული. უცხოური სათამაშო ნაკადების მოდინებას აჭარის რეგიონში ძირითადად ხელს უწყობს ე.წ. „საზღვრისპირა გემბლინგი" თურქეთთან მიმართებით და სამორინე ბიზნესის აკრძალვა ფართო-რეგიონულ კონტექსტში (ისრაელი, გაერთიანებული არაბული საამიროები, ერაყი, ირანი და სხვა), რასაც ემატება ტურისტული მიზნით სხვა ქვეყნებიდან შემოსულ მოთამაშეთა სეგმენტი. აღსანიშნავია, რომ სათამაშო ნაკადების მოზიდვის თვალსაზრისით აჭარის რეგიონის სამორინე ინდუსტრიისათვის მნიშვნელოვან კონკურენტებს წარმოადგენენ ბულგარეთი, რუმინეთი, კვიპროსი, სლოვენია და სხვა სუბრეგიონული სათამაშო ინდუსტრიები [1], სადაც განვითარებულია ინტეგრირებული სამორინე-საკურორტო კონცეფცია, რაც გულისხმობს ტურიზმისა და სამორინე ინდუსტრიის კომპლექსური განვითარების მხარდამჭერ მიდგომებს.

აქვე შევნიშნოთ, რომ ზოგადად, გლობალურად სათამაშო ინდუსტრია და ტურიზმის ინდუსტრია ითვლება ურთიერთშემავსებელ სეგმენტებად. აჭარის რეგიონისთვის, როგორც ზემოთ მოტანილი მონაცემების ანალიზი აჩვენებს, სამორინე ინდუსტრია ტურიზმის მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ფაქტორია. კერძოდ, სამორინეები უზრუნველყოფენ თავიანთი მუდმივი კლიენტების განთავსებას სასტუმროებში, რაც ხელს უწყობს ამ უკანასკნელთა (როგორც მაღალი, ასევე საშუალო კლასის სასტუმროების მნიშვნელოვანი ნაწილის) დატვირთვას არა მხოლოდ სეზონურად, არამედ მთელი წლის განმავლობაში, რაც რეგიონში ტურიზმის „სეზონურობის" დაძლევის ერთ-ერთი ინსტრუმენტია და გარკვეულწილად ნიველირებას უკეთესებს რეგიონის ტურისტული სექტორის შედარებით დაბალ კონკურენტულ უპირატესობას. ამასთან, სავაჭრო ქსელებში კვების პროდუქტებისა და სასმელების შეძენაზე თანხების დახარჯვით სამორინეები ასტიმულირებენ ადგილობრივ ეკონომიკას, ასევე „ჯაჭვურად" ხელს უწყობენ სატრანსპორტო მომსახურების, კვების ობიექტების, უძრავი ქონების სექტორის, საკურორტო სერვისების და სხვა მიმართულებების განვითარებას.

სათამაშო ბიზნესის ზეგავლენის შეფასების კონტექსტში მიზანშეწონილია ე.წ. „მიწის" თამაშებისა და ონლაინ თამაშების რელატიური ანალიზი, რამდენადაც მნიშვნელოვნად განსხვავებულია მათი ოპერირების სპეციფიკა სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენის კუთხით. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ მიმდინარე წლის დასაწყისიდან ქვეყანაში ამოქმედებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ფაქტობრივად გაათანაბრა მათი საგადასახადო განაკვეთები (მოგების გადასახადის და მოთამაშეთა მონაგებ თანხაზე წყაროსთან დაბეგვრის ნაწილში), რაც ხსენებული ინდუსტრიების ფუნქციონირების თავისებურებების გააზრებას და საუკეთესო უცხოური პრაქტიკების გათვალისწინებას მოითხოვს. საქმე ისაა, რომ თანამედროვე ეტაპზე გლობალური ციფრული ტრანსფორმაცია ბუნებრივად იწვევს ონლაინ თამაშების ლეგალიზებას და გააქტიურებას, რომლებიც ახდენენ „მიწის" თამაშების კანიბალიზაციას. ამასთან, ონლაინ თამაშებს ამ უკანასკნელთან შედარებით ახასიათებს: 1. წვდომის სიმარტივე და მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის მაღალი ალბათობა; 2. თამაშდამოკიდებულების მაღალი დონე; 3. კონტროლის სირთულე და ე.წ. „შავი ხვრელების" არსებობა. უცხოური ქვეყნების სათამაშო ბიზნესის რეგულირების სისტემები ცდილობენ, ასახონ აღნიშნული სპეციფიკა მათი საგადასახადო დაბეგვრის პრაქტიკაში და, შესაბამისად, „მიწის" სათამაშო ოპერატორებთან შედარებით ამაღლებული საგადასახადო განაკვეთებით დაბეგრონ ონლაინ თამაშები (მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, ფინეთი, ესპანეთი, უნგრეთი და სხვა) [1].

ამასთან, „მიწის" თამაშების საგადასახადო ტვირთის

აწევა ონლაინ თამაშების დონეზე და მათი გათანაბრება შეიცავს სტანდარტულ სამორინეთა საქმიანობის რესტრიქციის რისკებს თანამდევი ნეგატიური ეკონომიკური ზეგავლენით, რადგან განსხვავებულია მათი ბიზნესმოდელების სპეციფიკა, კერძოდ: „მიწის" ბიზნესოპერატორებს ახასიათებთ ონლაინოპერატორებთან შედარებით უფრო მეტი ბმა ტურიზმის სექტორთან; შესაბამისი ხარჯების გაწევით მოაქვთ მრავალმხრივი კროსსექტორული ბენეფიტები; ონლაინსეგმენტთან შედარებით ითვლებიან ტერიტორიული განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებად; აქვთ შედარებით მაღალი საინვესტიციო კომპონენტი; ონლაინ თამაშებთან შედარებით იბეგრებიან სახეობრივად უფრო მეტი გადასახადითა და მოსაკრებლით და ა.შ.

## დასკვნა

ამრიგად, რამდენადაც, როგორც ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, სამორინე ინდუსტრიას აჭარის რეგიონის ეკონომიკაზე აქვს განსაზღვრული ეკონომიკური ზეგავლენა, სათამაშო ბიზნესის პოლიტიკის გატარებისას, ერთი მხრივ, სათამაშო ტურიზმის ხელშემწყობი მიდგომების გააქტიურება, ხოლო მეორე მხრივ, ოპტიმალური საგადასახადო ზღვრების ძიება უნდა იყოს პოლიტიკის გამტარებელთათვის უპირველესი ამოცანა, რათა არ მოხდეს ზიანის მიყენება საშუალო და გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკურად მზარდი რეგიონის განვითარებისათვის.

## გამოყენებული წყაროები:

1. ბოლქვაძე ბ. სათამაშო ბიზნესი და ეკონომიკა: გლობალური გამოცდილება და საქართველო. თბ., „საარი", 2021;
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – https://www.geostat.ge/;
3. სახელმწიფო ხაზინა – https://treasury.ge/;
4. შემოსავლების სამსახური – https://rs.ge/;
5. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე – https://www.matsne.gov.ge/;
6. აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო – http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=5;
7. ქ. ბათუმის მერია – https://batumi.gov.ge/;
8. აჭარის სამორინეთა ასოციაციიდან გამოთხოვილი მონაცემები.

# დანახარჯების როლი ფირმის სტრატეგიული მდგომარეობის შეფასებისას

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.04.06

### რეზიუმე

სტატიაში „დანახარჯების როლი ფირმის სტრატეგიული მდგომარეობის შეფასებისას“ დაყენებულია განხილულია სიმცირის მიხედვით კონკურენტულ ბაზარზე ლიდერობის მიღწევის საკითხი.

რადგან მომხმარებლები მეტად მგრძნობიარენი არიან საქონლის ფასის მიმართ, ფასის სიდიდეს კი საქონლის წარმოება-რეალიზაციაზე გაწეული ხარჯები განსაზღვრავენ, კომპანიები სისტემატურად უნდა ცდილობდნენ მის შემცირებას.

სტატიაში ერთ-ერთ ასეთ გზად მიჩნეულია კომპანიის ფასეულობათა ჯაჭვის სრულყოფა, მისი გაწმენდა ხარჯტევადი რგოლებისაგან, იაფი ნედლეულით ძვირადღირებული ნედლეულის ჩანაცვლება და მრავალი სხვა.

**საკვანძო სიტყვები:** დაბალი დანახარჯები, ფირმის ფასეულობათა ჯაჭვი, „წარმოების მასშტაბი“, სიმძლავრეთა დატვირთვის ხარისხი, „სწავლება-გამოცდილების“ მრუდი.



**რუსუდან პაპასკირი**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ტექნიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
E-mail: rusiko-p@mail.ru

# THE ROLE OF COSTS IN THE ASSESSMENT OF THE FIRM'S STRATEGIC SITUATION

### SUMMARY

In article of Rusudan Papaskiri "The role of costs in assessing the strategic position of the firm" is set up by for lack of expense on the specific market to reach the issue of leadership.

Because users are very sensitive to the price of the goods, production-realization incurred expenses qualify size of price; hence companies systematically should be trying to reduce it.

In an article one of the main ways are values of companies of improvement of the chain, its cleaning from overheads group, to replace expensive raw materials with cheap raw materials and many others.

**Key words:** Low turnover, firm's value chain, "scale of production", degree of capacity utilization, "learning-experience" curve.

### შესავალი

კომპანიის კონკურენტულ უპირატესობებში სხვა მრავალ მაჩვენებელთა შორის ერთ-ერთ უპირატესობად დაბალი დანახარჯები ითვლება. დაბალი დანახარჯები ამაღლებს კომპანიის მოგებას საშუალო საბაზრო მოგებასთან შედარებით და ამყარებს მის ფინანსურ მდგომარეობას. მყარი ფინანსური მდგომარეობა კი ის ძალაა, რომლის მეშვეობით კომპანიას აქვს უნარი, დაიცვას საკუთარი პოზიცია დარგში მამოძრავებელი ძალების, კონკურენტული ზემოქმედებისა და კონკურენტების შესაძლო მოქმედებებისაგან.

ზემონათქვამიდან ის დასკვნა კეთდება, რომ რაც უფრო მაღალია კომპანიის დანახარჯები მისი უშუალო კონკურენტების დანახარჯებთან შედარებით, მით უფრო დაუცველია ამ კომპანიის პოზიცია ბაზარზე. ჩვენ ვსწავლობთ დანახარჯების როლს ფირმის სტრატეგიული მდგომარეობის განსაზღვრისას.

### ძირითადი ტექსტი

იმისათვის, რომ კომპანია იყოს კონკურენტუნარიანი, მისი დანახარჯები ნაწილობრივად მაინც უნდა შეესაბამებოდეს კონკურენტების დანახარჯებს. კონკურენტუნარიანი დანახარჯები (და აქედან გამომდინარე – ფასებიც) კომპანიის სტრატეგიული მდგომარეობის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაჩვენებელია. დაბალი დანახარჯები ფასების შემცირების საფუძველია, რაც რა თქმა უნდა, ზრდის კომპანიის კონკურენტულ უპირატესობას ბაზარზე. ამის მისაღწევად კი კომპანია ორი პრობლემის წინაშე დგება:

1. მან უნდა გაიგოს, თუ როგორია კონკურენტების დანახარჯები. ეს საკითხი უკავშირდება კონკურენტების კონფიდენციალურ ინფორმაციას, რის გამოც არა თუ საქართველოში, არამედ მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი, პირდაპირი კონკურენტებისგან ამ ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია და ისინი ამას ახერხებენ სხვადასხვა ასოციაციების, საბჭოების და კონსალტინგური ფირმების (მაგალითად, აშშ-ში ასეთებია: Andersen con sulting, A.T. Kearney, tower Parrin და სხვები) მეშვეობით, რომლებიც ატარებენ კვლევებს და აქვეყნებენ დარგში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას.

2. კომპანიამ უნდა შეძლოს დანახარჯების შემცირების კუთხით შიგა რეზერვების გამოვლენა, რისთვისაც მან უნდა გააანალიზოს არა მხოლოდ ფირმის ფასეულობათა მთელი ჯაჭვი, არამედ დარგის ფასეულობათა ჯაჭვი, რომელშიც, გარდა მოცემული კომპანიისა, შედის მომწოდებლის ფასეულობათა ჯაჭვი, გასაღების არხების ფასეულობათა ჯაჭვი და კომპანია-გაყიდვების ფასეულობათა ჯაჭვი.

ორივე ეს პროცესი ერთად დანახარჯების შედარებითი ანალიზისთვის (შეფასებისთვის) არის მოწოდებული და ქართველმა მენეჯერებმა უნდა იცოდნენ, რომ ჟურნალ „ფორტუნა“-ში წარმოდგენილი 500 კომპანიიდან 80%, მეტ-ნაკლებად ამა თუ იმ ხარისხით, დღეისათვის იყენებს დანახარჯების შედარებით ანალიზს. ცხადია, ეს სამუშაო, რომელიც მეტად რთულია, გართობისთვის არ კეთდება, და მას დიდი სტრუქტურული მიზანი აქვს. ეს მიზანი არის კონკურენციაში გამარჯვება და ბაზარზე ლიდერობა ან მისი შენარჩუნება.

ამ სამუშაოს შესრულების ტექნიკას უნდა დაეუფლონ საქართველოს კომპანიებიც (განსაკუთრებით, მსხვილი კომპანიები და ისინი, ვინც საერთაშორისო ბაზრებზე არიან გასულნი), და, როგორს ზემოთ აღვნიშნეთ, ამ სფეროში არსებული სირთულეების მიუხედავად, რასაც საქართველოში ემატება არასრულყოფილი კანონი „სტატისტიკის შესახებ“, კვალიფიციური საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების, საინფორმაციო საბჭოების და ასოციაციების არარსებობა, სუბიექტივიზმი, ბიუროკრატიულობა, პირადი ამბიციები და მრავალი სხვა, მათ მაინც, დღეს თუ არა ხვალ, მოუწევთ დანახარჯების შემცირების მიმართულებით აქტიური მუშაობა.

როდესაც ბაზარზე მომხმარებელთა დიდი ნაწილი განსაკუთრებულად მგრძნობიარეა ფასების მიმართ, მაშინ დაბალი დანახარჯების მიხედვით ლიდერობა მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს. მაგრამ დაბალი დანახარჯების სტრატეგიით ხელმძღვანელობისას, კომპანია მაქსიმალურად ფრთხილად უნდა იყოს, რათა არ დადგეს იაფფასიანი საქონლის შექმნის საფრთხის წინაშე,რაც მომხმარებლის უნდობლობას გამოიწვევს. ფრთხილად უნდა იყოს და დააკვირდეს იმასაც, ხომ არ დაიწყო კონკურენტმა აგრესიული პოლიტიკა ფასდაკლებასთან მიმართებაში. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ კომპანიამ აქტიურად უნდა გააგრძელოს მუშაობა ხარჯების შესამცირებლად, რადგან დანახარჯების მიხედვით უპირატესობა მხოლოდ მანამდეა მომგებიანი, ვიდრე კონკურენტი ამ სვლებს გააკეთებს.

დანახარჯების მიხედვით უპირატესობის მოპოვების მიზნით, კომპანიაში ფასეულობათა ჯაჭვის მიხედვით წარმოების საერთო დანახარჯები გაცილებით ნაკლები უნდა იყოს კონკურენტებთან შედარებით. ამის მისაღწევად ორი გზა არსებობს:

1. კონკურენტებთან მიმართებაში შიდა ფასეულობათა ჯაჭვის მართვის ეფექტიანობა დამის ცალკეულ რგოლებში დანახარჯების შემცირების რეზერვების გამოყენება;

2. კომპანიის ფასეულობათა ჯაჭვის სრულყოფა, მაღალი დანახარჯების მქონე რგოლების გამორიცხვა.

მაშასადამე, კომპანიის მენეჯერს, რომელიც გადაწყვეტს დანახარჯების მიხედვით ლიდერობას ბაზარზე, ევალება გამოავლინოს დანახარჯების შემცირების რეზერვები და, ამის გარდა, სრულყოს კომპანიის ფასეულობათა ჯაჭვი მისგან ხარჯიანი რგოლების გამორიცხვით.

კომპანიაში დანახარჯების დონე ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ასეთებია: „წარმოების მასშტაბი“ ე. წ. „მასშტაბის ეფექტი“, „სწავლება-გამოცდილების“ მრუდის ეფექტი, რესურსების შეძენის ხარჯები, სიმძლავრეთა დატვირთვის ხარისხი, სტრატეგიული არჩევანი და საწარმოო გადაწყვეტილებები, ვერტიკალური ინტეგრაციის გამოყენება და სხვა.

„მასშტაბის ეფექტი“ შეიძლება მიღებული იქნეს კომპანიის ფასეულობათა ჯაჭვის ნებისმიერ რგოლში – წარმოებაში, გაყიდვებში და ა. შ. წარმოებაში იგი მიიღწევა უცვლელი სიდიდის ხარჯების გადანაწილებით დიდი მოცულობით წარმოებულ პროდუქციაზე, რის გამოც შემცირდება ერთეული პროდუქციის ხარჯტევადობა. იგივე ხდება გაყიდვებშიც.

„სწავლება-გამოცდილების“ მრუდის ეფექტი არის წარმოების პროცესის დაჩქარება, კონკურენტთა პროდუქციის ნიმუშების მოპოვება და მათი ტექნოლოგიის მიგნება, ინფორმაციის მიღება კონკურენტი ფირმების ყოფილი თანამშრომლებისგან და ა. შ.

რესურსების შეძენის ხარჯები სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა სიდიდისაა. ამიტომ კომპანიამ მისი შესყიდვის დროს უნდა აირჩიოს ის რეგიონი და ის მომწოდებელი, სადაც რესურსები იაფია. მეტიც, თუ კომპანიამ აღმოაჩინა ისეთი რეგიონი, სადაც მისთვის საჭირო რესურსების (ნედლეული, სამუშაო ძალა და ა. შ.) ძირითადი მასა ყველაზე იაფია, მიზანშეწონილი იქნება წარმოების იქ გადატანა.

სიმძლავრეების დატვირთვაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაც დანახარჯების მიხედვით უპირატესობის მიღწევის სერიოზული რესურსია. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქვთ სასოფლო-სამეურნეო ფირმებს და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოებს. მათ საწარმოო ფართობები და ტექნიკა მხოლოდ სეზონზე აქვთ დატვირთული. დანარჩენ დროს ისინი მოცდენილია.

ასეთი სპეციალიზაციის საწარმოთა მენეჯერებს არ ვურჩევთ, რომ მათ საკუთრებაში იქონიონ ტექნიკა. უფრო უპრიანია, მათ საჭირო ტექნიკა ერთი სეზონის ვადით აიღონ ოპერატიული ლიზინგით და ვადის გასვლის შემდეგ უკან დაუბრუნონ ლიზინგგამცემებს. ამ გზით ისინი დაზოგავენ ამორტიზაციის ხარჯებს და ტექნიკის შენახვა-მოვლის ხარჯებს.

დანახარჯების შემცირება და დანახარჯების მაჩვენებ-

ლით ლიდერობის მოპოვება შეიძლება განხორციელდეს ფასეულობათა ჯაჭვის სრულყოფითაც. იგი მიიღწევა უფრო მოქნილ ტექნოლოგიებზე გადასვლით, ძვირადღირებული ნედლეულის ჩანაცვლებით ადგილობრივი იაფი ნედლეულით, წარმოებული საქონლის დიზაინის გამარტივებით, ელექტრონულ ტექნოლოგიებზე გადასვლით და ა. შ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელ მრეწველობაში ფასეულობათა ჯაჭვის სრულყოფა განსაკუთრებით სჭირდება ხორცის და ხორცპროდუქტების წარმოებას. ეს საქმე სულ თავიდან არის ასაწყობი. მართალია, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, შეიქმნა პირუტყვის დაკვლის ერთიანი პუნქტები (სასაკლაოები), მაგრამ იქიდან დაკლული დაუნაწევრებელი ხორცი პირდაპირ ბაზრებში, მაღაზიებში, და რესტორნებში ხვდება. ჩვენი აზრით, საჭიროა შეიქმნას ხორცის დამნაწევრებელ-დამფასოებელი საწარმოები, რომლებიც დაჭრილ-აწონილ და ფასდადებულ ხორცს მიაწოდებენ ბაზარს (ამჟამად ასეთი საწარმოები არ არსებობს. ამიტომ კონკურენციაც არ არის და სწორედ ამიტომ ხორცზე მონოპოლიური ფასებია დაწესებული). ეს პრაქტიკა საზღვარგარეთ დიდი ხანია, რაც არსებობს. მეტიც, ვინც ხორცის დაფასოებას წამოიწყებს, იგი ლიდერი იქნება ამ საქმეში. ამას ისიც ემატება, რომ უცხოელებისგან განსხვავებით, ჩვენ ხორცის დაჭრის განსხვავებული ტრადიცია გვაქვს. ტრადიციულად, საქართველოში ხორცი იჭრებოდა არა ზოგადად – დიდ და მცირე ნაჭრებად, არამედ მოსამზადებელი კერძის შესაბამისად, საწარმოო, რომელიც ამ საქმეს ჩაუდგება სათავეში და ასეააწყობს თავის ფასეულობათა ჯაჭვს, არ გაუჭირდება ქართულ კულინარიაში დაწერილი ადრინდელი წიგნების „ამოქექვა“ და ქართული კერძების შესაბამისად ხორცის დაჭრა, პლასტიკატის ჭურჭელში დაფასოება და საცალო ქსელში გასაყიდად გაგზავნა. ქართველ მეწარმეებს შევახსენებთ, რომ ბაზრის ეს ნიშა ცარიელია, ქართველი დიასახლისი კი ელოდება ასე დაჭრილ-დაფასოებული ხორცის საცალო მაღაზიებში გამოჩენას! ხორცის დამუშავების ტექნოლოგია, ვაჭრობის ორგანიზაციული ფორმა და ახლანდელთან შედარებით დაბალი ფასები იქნება ასეთი საწარმოს ლიდერობის გარანტი.

დაახლოებით იგივე გვინდა ვთქვათ ფასეულობათა ჯაჭვში ელექტრონული ტექნოლოგიების ჩართვაზე. საზღვარგარეთ ელექტრონული ვაჭრობა არავის უკვირს. მყიდველი და გამყიდველი ინტერნეტით ხვდებიან ერთმანეთს და გარიგებებს ახორციელებენ. საქართველოშიც შემოვიდა ეს სიახლე და უკვე კარგად მოიკიდა ფეხი ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, მსუბუქი ავტომანქანებით და კოსმეტიკით ვაჭრობაში. მაგრამ კვლავაც ცარიელია ამ თვალსაზრისით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის ნიშა. საქმე ის არის, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები გლეხებს მოჰყავთ, არიან აგროფერმებიც, მაგრამ აგროფერმებშიც ელექტრონული კომერციის კულტურა გლეხების კულტურის დონეზეა. არც ერთმა და არც მეორემ არ იციან, თუ როგორ გამოიყენონ იგი. არადა, საქართველო ეკოლოგიური სისუფთავით ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა.გლეხებს და აგროფერმებს რომ შეეძლოთ ინტერნეტის გამოყენება და რომ სათანადოდ ფლობდნენ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, ისინი ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციით მრავალ უცხოელ ქვეყანას გაუწევდნენ საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციას. ასეთ დროს ქართველ გლეხს მოყვანილი პროდუქტი უფუჭდება – ვერც შიდა ბაზარზე ყიდის (მოსახლეობის უკიდურესად დაბალი მსყიდველუნარიანობის გამო) და ვერც გარე ბაზარზე გადის. მან არც პროდუქტის ხანგრძლივად შენახვის ტექნოლოგია იცის.

ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარე, საჭიროა სოფლის მოსახლეობაში მოეწყოს მასიური კომპიუტერული სწავლება; ძველად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებები მოსახლეობას წერა-კითხვას ასწავლიდნენ. ამჟამინდელი ეპოქა უკვე მოითხოვს კომპიუტერის მასიურ სწავლებას და, როგორც მაშინ იყო აუცილებელი წერის და კითხვის ცოდნა, ზუსტად ისე არის ამჟამად საჭირო კომპიუტერის ცოდნა. ამის გარეშე, ვერც ქართველი გლეხი და ვერც, საერთოდ, ვერავინ მსოფლიოს მასშტაბის დიალოგში ვერ ჩაერთვება. ეს ვინმეს ახირება კი არ არის, არამედ ეპოქის მოთხოვნილებაა, რომელმაც სრულიად ახალი ცივილიზაცია – ინფორმაციული ტექნოლოგიები წარმოშვა.

სტრატეგიული უპირატესობის მიღწევა ფასეულობათა ჯაჭვის სრულყოფით არ უნდა იყოს ქართული კომპანიებისთვის ისე რთული, რადგანაც ჯერჯერობით მათი საქმიანობა არ არის იმ დონით დივერსიფიცირებული, როგორც ეს საზღვარგარეთ კომპანიებშია (მაგალითად, კომპანია ქსეროქსი ფასეულობათა ჯაჭვში ძირითადი საქმიანობის 67 სახეზე აკეთებს დანახარჯების შედარებით შეფასებას). ქართული კომპანიები არც მსხვილმასშტაბიანი არიან და არც მრავალსახოვანნი. ამიტომ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მონდომების შემთხვევაში მათ ადვილად შეუძლიათ, უკეთესი ორგანიზება გაუკეთონ ფასეულობათა ჯაჭვის თითოეული ელემენტის ფუნქციონირებას კონკურენტებთან შედარებით.მათ უნდა იცოდნენ, რომ ხარჯების სტრუქტურაში ნებისმიერი ცვლილება მყისიერად ცვლის ფირმის პოზიციას კონკურენტულ ბრძოლაში.

## დასკვნა

ამდენად, დანახარჯების როლი ფირმის ფინანსური მდგომარეობის გასამყარებლად განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია და მუდმივად აუცილებელია მათი შემცირების გზების ძიება.

დანახარჯების მიხედვით უპირატესობის მოსაპოვებლად, კომპანიაში ფასეულობათა ჯაჭვის მიხედვით საერთო დანახარჯები ნაკლები უნდა იყოს კონკურენტთან შედარებით. ამისთვის ფინანსურმა მენეჯერმა უნდა გამოავლინოს დანახარჯების შემცირების რეზერვები და სრულყოს კომპანიის ფასეულობათა ჯაჭვი, მისგან ხარჯიანი რგოლების გამორიცხვით.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ზ. ლიპარტია. „სტრატეგიული მენეჯმენტი“, თბილისი, 2022, 501 გვერდი.
2. Porter M., competitive Advantage, 1985, p.97.
3. არტურ ა. ტომსონი უმცროსი, ა.ჯ. სტრიკლენდი III, სტრატეგიული მენეჯმენტი, საქართველო, 2010. გვ. 228.

# ევროკავშირთან თანამშრომლობა, როგორც ეკონომიკური ზრდის საფუძველი

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.04.07

**აბსტრაქტი**

სტატიაში განხილულია საქართველოს ეკონომიკური ზრდის ფაქტორები და მისი ევროკავშირთან თანამშრომლობის როლი. სტატია ფოკუსირებულია იმაზე, თუ როგორ მოქმედებს ევროკავშირის სტანდარტებთან ინტეგრაცია და ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს ბიზნეს ლანდშაფტზე. კვლევის შედეგად გამოკვეთილია მცირე და საშუალო საწარმოების როლი, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ასევე, განხილულია „შუა დერეფნის“ ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ტრანსპორტული და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. სტატია ასევე იკვლევს 2020 წლის პანდემიის გავლენას ეკონომიკაზე და იმ აუცილებელ რეფორმებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყნის ბიზნეს გარემოს განვითარებას. დასკვნაში, ავტორი ხაზს უსვამს ევროკავშირის მხარდაჭერის მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაციაში და რეკომენდაციებს სთავაზობს ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური ზრდა, ბიზნეს გარემო, შუა დერეფანი, ევროკავშირთან თანამშრომლობა.



**ბესიკ კვაჭანტირაძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი
https://orcid.org/0000-0003-2833-1007
E-mail: b.kvatchantiradze@gmail.com

# COOPERATION WITH THE EUROPEAN UNION AS A BASIS FOR ECONOMIC GROWTH

**Besik Kvatchantiradze**
Doctoral student of Shota Rustaveli University of Batumi
https://orcid.org/0000-0003-2833-1007
E-mail: b.kvatchantiradze@gmail.com

**ABSTRACT**

The article discusses the factors of Georgia's economic growth and the role of its cooperation with the European Union. The article focuses on how the integration with EU standards and the association agreement affect the business landscape of Georgia. As a result of the research, the role of small and medium-sized enterprises, which make a significant contribution to the economic development of the country, has been highlighted. Also, the "Middle Corridor" initiative, which aims to improve the transport and logistics infrastructure of Georgia, was discussed. The article also explores the impact of the 2020 pandemic on the economy and the necessary reforms that will help develop the country's business environment. In the conclusion, the author emphasizes the importance of EU support in the modernization of Georgia's economy and offers recommendations to ensure economic growth.

**Key words:** economic growth, business environment, middle corridor, cooperation with the European Union.

## შესავალი

თანამედროვე სამყაროში ეკონომიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანთა ყოველდღიურ საქმიანობაში, სწორედ ამიტომაა საჭირო ბიზნესის განვითარების არსებული ტემპის გაუმჯობესება და სიახლეების მუდმივი ძიება.

საქართველოში ბიზნეს სექტორმა განვითარების გრძელი და კომპლექსური გზა განვლო და მისი სრულყოფა მეტად მნიშვნელოვანი ხდება ქვეყნის კეთილდღეობისთვის, ის არა მხოლოდ გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკაზე, არამედ დიდ როლს თამაშობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანას ბიზნესის განვითარების დიდი ისტორია არ აქვს, თუმცა იგი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პარალელურად აქტიურად ჩაერთო გლობალურ ეკონომიკურ ტენდენციებში და საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაში. ჩვენი ქვეყანა ერთ-ერთი მსხვილი საინვესტიციო რეგიონია და შესაძლებლობა აქვს ტურიზმის, სასტუმრო/სარესტორნო ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის კუთხით ბევრი ინვესტორი დააინტერესოს, რაც გაზრდის ეკონომიკურ კეთილდღეობას ქვეყანაში.

## თემის აქტუალობა

ჩვენი საკვლევი თემა საინტერესოა იმ კუთხით, რომ საქართველო ჯერ ისევ განვითარებადი ქვეყანაა და მისი ბიზნეს გარემო მუდმივ ცვლილებებს განიცდის და ადაპტირდება სიახლეებთან. ევროკავშირი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე და მოქმედებს როგორც მთავარი პარტნიორი ეკონომიკური ზრდის, სტაბილურობისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობაში. სხვადასხვა ინიციატივებით, შეთანხმებებითა და თანამშრომლობით, ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ვაჭრობა, ინვესტიციები, ინფრასტრუქტურის განვითარება და ინსტიტუციური რეფორმები.

## ევროკავშირთან თანამშრომლობა

2017-2020 წლებში, მას შემდეგ, რაც საქართველო-ევროკავშირის განახლებული ასოცირების დღის წესრიგის ფორმალური ინიცირება მოხდა, საქართველო ინტეგრირდა ევროკავშირის სტანდარტებთან. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს ბიზნეს ლანდშაფტზეც. ამ შეთანხმების მეშვეობით საქართველომ მოიპოვა ევროკავშირის შიდა ბაზარზე შესვლის შესაძლებლობა, რამაც ხელი შეუწყო როგორც საქონლის, ისე სერვისების ვაჭრობის ლიბერალიზაციას.

საქართველოში სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემებით სულ რეგისტრირებულია 362 740 საწარმო, საიდანაც 2023 წლის მონაცემებით მოქმედი იყო 77 243 საწარმო. ევროკავშირში, მიუხედავად იმისა, რომ საწარმოების რაოდენობის პროცენტული წილი თითქმის იგივეა, რაც საქართველოში, მნიშვნელოვნად განსხვავდება მცირე და საშუალო საწარმოების როლი ეკონომიკაში.

**დიაგრამა 1**




**წყარო:** Annual report on European SMEs 2022/2023

**დიაგრამა 2**




**წყარო:** Annual report on European SMEs 2022/2023

როგორც დიაგრამებიდან ჩანს, მცირე და საშუალო საწარმოები ჯამში ქმნიან ევროკავშირის მთლიანი ბრუნვის ნახევარზე მეტს და მათში ჯამურად დასაქმებულია დასაქმებულთა სრული რაოდენობის თითქმის 2/3 ნაწილი. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ეფექტური ბიზნეს გარემოს ევროპული მოდელი გადმოტანა საქართველოში, რომელიც მათ მისცემს საშუალებას იქცნენ საქართველოს ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალად.

დღეისთვის საქართველოში დასაქმების ზრდის ძირითად წყაროს კერძო სექტორი წარმოდგენს. შესაბამისად, ჩვენი აზრით, დასაქმების შემდგომი ზრდისთვის მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს კერძო სექტორის აქტივობა და უზრუნველყოფილი იქნას მაღალი ეკონომიკური ზრდა. ამ თვალსაზრისით, ბოლო წლების ეკონომიკური ზრდის ანალიზისას, გამოვყოფდით 2010 წელს, როგორც საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის

მნიშვნელოვან წელს. სწორედ აქიდან დაიწყო ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში, რომლის უდიდეს ნაწილს - 70%-ზე მეტს - კერძო ინვესტიციები შეადგენდა.

ამასთან, 2017 წლის დასაწყისიდან საგარეო მოთხოვნის გაუმჯობესებისა და ნეგატიური ფაქტორების შერბილების შედეგად, გაუმჯობესდა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და გაიზარდა კერძო სექტორის აქტივობა, რამაც დადებითად იმოქმედა დასაქმების მაჩვენებელზე 2017 წლის განმავლობაში. 2022-2023 წელს კი დიდი მოცულობით ფულადი ნაკადების შემოდინებამ ქვეყანაში გაამყარა ლარი და შეაკავა ინფლაცია, რამაც დადებითად იმოქმედა ვალის დონეზე და შეამცირა იგი.

**დიაგრამა 3**




**წყარო:** Forbes Georgia

ბოლო წლების მონაცემებით, 2023 წლის პირველ და მეორე კვარტალში ინვესტიციების შესამჩნევი ზრდა შეინიშნება წინა წლების შესაბამის პერიოდებთან შედარებით. კერძოდ, 2023 წლის პირველ კვარტალში სააქციო კაპიტალი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 17.0%-ით გაიზარდა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 60.5%-ს შეადგენს. უფრო მეტიც, 2023 წლის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება 2020 და 2021 წლების მონაცემებს. ჩვენ ამ ტენდენციას მივაწერთ COVID-19 პანდემიას, რამაც გამოიწვია იმ წლების განმავლობაში ინვესტიციების მაჩვენებლების კლება.

**დიაგრამა 4**




წყარო:https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

აღსანიშნავია, რომ DCFTA-მ დიდად შეუწყო ხელი საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის ზრდას ტარიფების შემცირებით, სავაჭრო დაბრკოლებების აღმოფხვრით და რეგულაციების სტანდარტიზაციით. შესაბამისად, ქართულმა პროდუქტებმა მოიპოვეს ევროკავშირის ბაზარზე წვდომა, რამაც ხელი შეუწყო ბიზნესს სექტორში ბრუნვის ზრდას, რაც ქვემოთ დიაგრამაზეა ნაჩვენები.

**დიაგრამა 5**




**წყარო:** სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აქვე უნდა აღინიშნოს პროექტი „შუა დერეფანი“, რომელიც მიზნად ისახავს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კავშირის გაძლიერებას უფრო ეფექტური და საიმედო გზით. შუა დერეფნის ინიციატივა მრავალმხრივ მიზანს ემსახურება. არსებითად, იგი ფოკუსირდება ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის შექმნაზე გადაზიდვებისთვის და ტრანზიტის ჭრილში მთელ დერეფანში და მონაწილე სახელმწიფოებს შორის მაღალხარისხიანი კოორდინაციის დამყარებაზე. იგი უნდა იყო მორგებული თანამედროვე სტანდარტებზე და მან უნდა შეძლოს მიმდინარე არაპროგნოზირებად გლობალურ ლანდშაფტში, შეამსუბუქოს ეს გაურკვევლობა და შეასრულოს კომპენსატორული როლი.

„შუა დერეფნის“ პერსპექტივის წინსვლა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რუსეთის, უაღრესად კონკურენტუნარიანი ჩრდილოეთ მარშრუტის მთავარი მონაწილის, გლობალური ეკონომიკური ლანდშაფტიდან გასვლით, როცა მან უკრაინაში შეჭრა განახორციელა. სანქციების უარყოფითმა ზემოქმედებამ კიდევ უფრო გაართულა გამოწვევები სამხრეთ მარშრუტისთვის. გარდა ამისა, შეფერხებულ სამხრეთ მარშრუტს შეექმნა დამატებითი სირთულეები, რომლებიც გამოწვეული იყო თალიბების მიერ ავღანეთში ფეხის მოკიდებით. შესაბამისად, ამ ყოველივემ წარმოადგინა დაბრკოლება სამხრეთის მარშრუტით ევროპაში დიდი მოცულობის ტრანსპორტირებისთვის, რამაც საბოლოოდ დამატებითი უპირატესობა მიანიჭა „შუა დერეფანს“ (იხ. დიაგრამა 6).

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოცულობის შესამჩნევი კლება დაფიქსირდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 616.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 52.9%-ით შემცირდა. ეკონომიკური აქტივო-

**დიაგრამა 6**




**წყარო:** შსს ანალიტიკური დეპარტამენტი

ბის შენელებამ და შემდგომმა ეკონომიკურმა ვარდნამ პირდაპირი უარყოფითი გავლენა მოახდინა დასაქმების მაჩვენებლებზე, განსაკუთრებით დასაქმებული ქალების წილზე, რომელიც მნიშვნელოვნად შემცირდა. COVID-19-ის პანდემიამ უდავოდ იმოქმედა ქვეყნის ეკონომიკაზე, რაც ხაზს უსვამს მთავრობის ჩარევისა და სწრაფი ეკონომიკური აღდგენის აუცილებლობას. შესაბამისად, 2021 წელს, პანდემიის დაწყებიდან მეორე წელს, უფრო მეტი ადამიანი აღმოჩნდა უმუშევარი, უმუშევრობის დონე წინა წელთან შედარებით 11%-ით გაიზარდა, რის შედეგადაც მოსახლეობის 20,6% დარჩა უმუშევარი. მიმდინარე წლისთვის კი ის კვლავ შემცირდა და ბოლოს 6 წლის მინიმუმზეა.

**დიაგრამა 7**




**წყარო:** სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დაჩქარებული ეკონომიკური განვითარებისკენ სწრაფვის მიუხედავად, საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა, შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე გამოწვევების წინაშე დგას. იმისათვის, რომ მეტად ეფექტური გახდეს ინოვაციის წახალისების პროცესი, ქვეყანაში უნდა გატარდეს ისეთი რეფორმები, როგორიცაა ბიზნეს კანონმდებლობისა და რეგულაციების დახვეწა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, მეწარმეობის ტრენინგის შეთავაზება და სამეწარმეო ცოდნის ამაღლება მთელს საზოგადოებაში. გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ უნდა არსებობდეს ინიციატივები ბიზნესის წახალისების მიზნით, რათა ისინი ჩაერთონ თავიანთი საქონლის უცხოურ ბაზრებზე ექსპორტში, რითაც გააძლიერებენ ექსპორტის წილს ეკონომიკაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მიაღწია წინსვლას ამ სფეროებში, რჩება გამოწვევები გადასაჭრელი, განსაკუთრებით ადამიანურ კაპიტალთან, კვლევასთან და ტექნოლოგიურ წინსვლასთან დაკავშირებით.

## დასკვნები და წინადადებები

1. საქართველოში, როგორც განვითარებად ქვეყანაში, დგას საკითხი იმისა, თუ როგორ გამოიყენოს ქვეყანამ ევროკავშირთან თანამშრომლობის უპირატესობები და, ამავდროულად, მინიმუმამდე დაიყვანოს დანაკარგები და რისკები ეფექტური ბიზნესგარემოს შექმნის პროცესში.

2. საქართველოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის სტაბილური ზრდა, სოციალური განვითარების არც თუ ისე სწრაფი ტემპის ფონზე, რასაც ერთვის სხვა სირთულეები, როგორიცაა უმუშევრობა და მასთან დაკავშირებული სიღარიბის და სოციალური უთანასწორობის პრობლემა;

3. ევროკავშირთან თანამშრომლობის ფონზე ჩვენმა ქვეყანამ ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისათვის საჭიროა ისეთი მოქმედებები განახორციელოს როგორიცაა: ქვეყნის გეოგრაფიული და რესურსული პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, რამდენადაც ისინი წამოადგენენ ეროვნული ეკონომიკის განვითარების ფუნდამენტს.

4. საქართველოს ხელსაყრელი სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა მას სტრატეგიულ სატრანზიტო ფუნქციას ანიჭებს. აუცილებელია ამ ფუნქციის სათანადო გამოყენება, საგზაო ინფრასტრუქტურისა და ღრმაწყლოვანი საზღვაო პორტის აშენება. „შუა დერეფნის" პროექტი მეშვეობით გაიზარდება ტვირთბრუნვა და გაორმაგდება საქართველოს რკინიგზის გამტარუნარიანობა.

5. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებამ ქართულ ბიზნესს მისცა თავისი პროდუქციის ექსპორტზე გატანის საშუალება. თუმცა, ამ ეტაპისთვის ბიზნესს უჭირს იაფი ლოჯისტიკური ჯაჭვის პოვნა, რომელიც დაეხმარებოდა მას თავისი პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გასატანად. გადამზიდი კომპანიებს, რომლებიც საქართველოდან ექსპორტს ახორციელებენ, უმეტესად წარმოადგენენ საერთაშორისო კომპანიები, რომლებიც საკმაოდ მაღალ ფასად ახდენენ საქონლის ექსპორტს. ამის ერთერთი მიზეზი ჩვენი აზრით არის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკლებობა. კერძოდ, პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის სიმცირე საქართველოსა და ევროპას შორის. აღნიშნული საკითხის დარეგულირება სახელმწიფოს მმართველობითი უფლებამოსილებაა და შესაბამისად, უნდა მოხდეს მაქსიმალურად მეტი ავიაკომპანიის შემოყვანა საქართველოში, ასევე არსებული ავიაკომპანიების მხრიდან სხვადასხვა მიმართულებების დამატებაზე სამთავრობო მოლაპარაკებები.

6. ევროკავშირის სახელმწიფოებმა მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება მოახდინეს ბიზნესისთვის ცოდნის მიწოდებით. სახელმწიფომ, გარდა შეღავათიანი კრედიტებისა, უნდა მოახდინოს სასწავლო პროგრამების მიწოდება მეწარმეებისთვის. მრავლადაა შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო გრანტის მიმღებმა მეწარმემ ვერ მოახდინა ბიზნესის განვითარება არასრული დარგობრივი ცოდნის გამო.

7. საქართველო ახდენს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების საფუძველზე კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან. აღნიშნული პროცესი დინამიურია და წლების განმავლობაში გაგრძელდება. იგი დადებით გავლენას მოახდენს მცირე და საშუალო მეწარმეობაზე, მათ შორის სამეწარმეო და საბაჟო კანონმდებლობაზე. აღნიშნულის დანერგვისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ევროპული მცირე ბიზნესის აქტის პრინციპი - „უპირველესად იფიქრე მცირეზე", რათა ახალი კანონმდებლობით შემოღებული რეგულაციები მძიმე ტვირთად არ დააწვეს მცირე და საშუალო საწარმოებს და არ გახდეს მათი შეფერხების გამომწვევი მიზეზი.

8. ქვეყანაში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის ეფექტური მექანიზმის დანერგვა, რაც გულისხმობს ადრეულ ეტაპზე პოლიტიკის შემუშავებაში ბიზნესის ჩართულობას. ამჟამად საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგი ტარდება ბიზნეს-ომბუდსმენის და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ. კერძოდ, არსებობს სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭო და DCFTA საკონსულტაციო ჯგუფი. თუმცა, უნდა მოხდეს აღნიშნული პლატფორმების განვითარება, უფრო მეტი მეწარმის ჩართულობა, რადგან მათ გამართულ ფუნქციონირებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნეს-გარემოს შექმნაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გობეჯიშვილი ე., „საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის მიმართულებები" თბილისი, 1996 ;
2. თორაძე ს., ახალაია ლ., ბარამიძე გ, „სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში - საქართველოში ბიზნესისა და ინვესტიციების პირობები კარგია, საქართველო გამორჩეულია რეგიონში", მოძიებულია 20 ოქტომბერი, 2023;
3. მესხი ი.,, „უცხოური ინვესტიციები და შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია საქართველოში", სადოქტორო დისერტაცია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი 2017;
4. ნოზაძე გ., „საქართველოსთვის პირველი ინვესტორი ქვეყანა ნიდერლანდებია", მოძიებულია 20 ოქტომბერი, 2023;
5. პაპალაშვილი ს., (სექტემბერი 2023) საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები, მოძიებულია 20 ოქტომბერი, 2023;
6. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია - კვლევები ეკონომიკაში, „დასაქმების პროგრამები საქართველოში", თბილისი, 2008;
7. შამუგია ე., „საქართველო ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საგადასახადო ტვირთის მქონე ქვეყანა", თბილისი, 2017;
8. ტალახაძე მ., „ საგადასახადო პოლიტიკა საქართველოში", თბილისი, 2021;
9. შქმარდინა ანასტასია „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობა", თბილისი, 2021;
10. ჭანია მ., „მეწარმეობა - „მეწარმეობა, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ამოსავალი", თბილისი 2016;
11. ჭითანავა ნ., „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობა", თბილისი, 2006;
12. Kelmuria R.,, „Tax Reform in Georgia", Tbilisi, 2011.

## ინტერნერ რესურსები:

1. https://www.geostat.ge/ka;
2. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, https://rb.gy/j2y8nr;
3. შრომით ურთიერთობების შესაბამისობა კანონმდებლობასთან და მისი მნიშვნელობა, https://rb.gy/z1ucpm;
4. შრომის რეფორმა https://rb.gy/qnkrib;
5. პარლამენტში საქართველოს ეროვნული ბანკის 2021 წლის ანგარიში, https://rb.gy/243h79;
6. მონეტარული-პოლიტიკის-განაკვეთი https://nbg.gov.ge/page;
7. https://rb.gy/ndi2sw;
8. https://www.economy.ge/?page=news&nw=2424;
9. 2022 წლის ანგარიში https://www.economy.ge/?page=news&nw=2424;
10. მსოფლიო ბანკი https://data.worldbank.org;
11. https://conferenceconomics.tsu;
12. რამ განაპირობა საქართველოს ეკონომიკის ზრდა 2023 წლის პირველ ნახევარში? • Forbes Georgia;
13. https://forbes.ge/saqarthvelos-umskhvilesi-savatchro-partniori-qveqhnebi/;
14. https://idfi.ge/ge/georgia_in_the_global_innovation_index_2022;
15. https://forbes.ge/blogs/saqarthvelo-phreizeris-ekonomikuri-thavisuphlebis-reitingshi-25-e-adgilzea/;
16. https://openscience.ge/bitstream/1/1649/1/Irakli%20Chelidze%20Samagistro.pdf;
17. https://geoeconomics.ge/?p=12805;
18. https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/410/Innovative%20policy%20in%20Georgia.pdf?sequence=1&isAllowed=y;
19. https://www.gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf;
20. https://bm.ge/news/transportirebis-maghali-tarifebi-shemaferkhebelia-yazmunaigazis-tsarmomadgeneli-shua-derefnis-potentsialze;
21. https://www.geocase.ge/ka/publications/919/shua-derefnis-mnishvneloba-sheufasebloba-daushvebelia-gadafaseba-sheudzlebeli-pirveli-natsili;
22. https://bm.ge/news/shromis-standartebi-rogor-davuakhlovdet-evropas;
23. https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=596&info_id=86925;
24. https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%97%E1%83%94;
25. https://www.radiotavisupleba.ge/a/mtsire-biznesi/28135161.html;
26. https://www.amerikiskhma.com/a/7330250.html.

# PROMOTION OF GEORGIA'S STARTUP ECOSYSTEM: IN ASPECTS OF THE GROWTH OF GREEN INNOVATIONS, THE COMPETITIVENESS OF BUSINESS MODELS, AND IMPLEMENTATION OF GREEN TECHNOLOGIES

**DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.04.08**



**Levani Kikilashvili**
PhD student, Direction of Management,
Faculty of Business and Social Sciences,
Sokhumi State University
https://orcid.org/0009-0001-1032-7707
E-mail: l.kikilashvili@sou.edu.ge

**ABSTRACT**

This article examines the dynamics of fostering Georgia's startup ecosystem, focusing on the dissemination of green innovations, the competitiveness of business models, and the widespread adoption of green technologies. It investigates how innovative business models can enhance the competitive advantage of green technologies within Georgia's business ecosystem.

By analyzing current trends, policies, and directions, this study identifies the key factors that facilitate the successful integration and scaling of green innovations in Georgia's entrepreneurial landscape. Supportive government policies, access to funding, and establishing collaborative networks are crucial for developing a robust startup ecosystem. Additionally, the research underscores the collaboration between educational institutions and industry sectors in promoting sustainable business practices and technological advancement.

Through the exploration of the interplay between entrepreneurship, sustainability, and technology, this paper aims to provide a comprehensive understanding of the mechanisms underpinning the growth of green innovations in Georgia. The analysis emphasizes the economic and environmental benefits of adopting green technologies and integrating them into competitive business models to achieve higher levels of advantages, both economically and environmentally. Ultimately, the research offers strategic recommendations for policymakers, entrepreneurs, and stakeholders to enhance the competitiveness and sustainability of Georgia's startup ecosystem.

This paper contributes to the broader discourse on sustainable development and green entrepreneurship, providing valuable insights into how emerging economies can leverage green innovations to achieve economic growth and environmental sustainability.

**Keywords:** Green Innovations; Startup ecosystems; Competitive Business Models; Green Technologies; Sustainable Development.

# საქართველოს სტარტაპ ეკოსისტემის ხელშეწყობა: მწვანე ინოვაციების ზრდის, ბიზნესმოდელების კონკურენტუნარიანობის და მწვანე ტექნოლოგიების დანერგვის ასპექტებში

**ლევანი კიკილაშვილი**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მენეჯმენტის მიმართულების დოქტორანტი,
https://orcid.org/0009-0001-1032-7707
E-mail: l.kikilashvili@sou.edu.ge

**აბსტრაქტი**

სტატიაში მიმოხილულია საქართველოს სტარტაპ ეკოსისტემის ხელშეწყობის დინამიკა, მწვანე ინოვაციების გავრცელება, ბიზნეს მოდელების კონკურენტუნარიანობა და მწვანე ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა. გამოკვლეულია თუ როგორ შეუძლია ინოვაციურ ბიზნეს მოდელებს გაზარდონ მწვანე ტექნოლოგიების კონკურენტული უპირატესობა საქართველოს ბიზნეს ეკოსისტემაში.

მიმდინარე ტენდენციების, პოლიტიკისა და მიმართულებების შესწავლით, ეს ნაშრომი განსაზღვრავს ძირითად ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ მწვანე ინოვაციების წარმატებულ ინტეგრაციას და მასშტაბირებას საქართველოს სამეწარმეო ლანდშაფტში. მხარდამჭერი მთავრობის პოლიტიკა, დაფინანსების ხელმისაწვდომობა

და თანამშრომლობით-პარტნიორული ქსელების ჩამოყალიბება გადამწყვეტია ძლიერი სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებისთვის. გარდა ამისა, კვლევა ხაზს უსვამს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დარგობრივი ინდუსტრიის თანამშრომლობას ბიზნესებთან, მდგრადი ბიზნეს პრაქტიკის მართვისა და ტექნოლოგიური წინსვლის ხელშეწყობისთვის.

მეწარმეობის, მდგრადობისა და ტექნოლოგიებს შორის ურთიერთქმედების შესწავლით, ეს ნაშრომი ასახავს იმ მექანიზმების სწორ გაგებას, რომლებიც საფუძვლად უდევს მწვანე ინოვაციების ზრდას საქართველოში. ანალიზის მეშვეობით ხაზს ვუსვამთ მწვანე ტექნოლოგიების მიღებას და კონკურენტუნარიან ბიზნეს მოდელებში მათ ინტეგრაციას ეკონომიკურ და გარემოსდაცვით უპირატესობების კიდევ უფრო მაღალ დონეზე წარმოსაჩენად. საბოლოო ჯამში, კვლევა საშუალებას იძლევა, რომ სტრატეგიულ რეკომენდაციები შესთავაზოს პოლიტიკის შემქმნელებს, მეწარმეებს და დაინტერესებულ მხარეებს, რათა გაზარდონ საქართველოს სტარტაპ ეკოსისტემის კონკურენტუნარიანობა და მდგრადობა.

ეს ნაშრომი ხელს უწყობს უფრო ფართო დისკურსს მდგრადი განვითარებისა და მწვანე მეწარმეობის ირგვლივ, სთავაზობს ღირებულ შეხედულებებს იმ გზების შესახებ, რომლითაც განვითარებადი ეკონომიკის ჭრილში შეუძლიათ გამოიყენონ მწვანე ინოვაციების მიმდევარმა ბიზნესებმა, ეკონომიკური ზრდისა და გარემოს მდგრადობის მისაღწევად.

**საკვანძო სიტყვები:** მწვანე ინოვაციები; სტარტაპ ეკოსისტემა; კონკურენტული ბიზნეს მოდელები; მწვანე ტექნოლოგიები; მდგრადი განვითარება.

## INTRODUCTION

Green innovation and the growth of the startup ecosystem in Georgia represent a multifaceted and diverse spectrum. From renewable energy and waste management to sustainable agriculture and ecotourism, Georgian startups are pioneering new solutions to age-old challenges, leveraging technology at the grassroots level to promote sustainable development. This extensive article will delve into the current state, trends, success factors, challenges, and future perspectives of green innovations in Georgia's startup ecosystem.

## THE CURRENT STATE OF GREEN INNOVATION IN GEORGIA RENEWABLE ENERGY

Developing renewable energy sources such as solar, wind, and biomass is a primary trend in Georgia. Companies like "Solarium Energy" are revolutionizing the energy sector with innovative solar solutions. Georgia's geographical and climatic conditions are favorable for the expansion of solar and wind energy projects. The government and private sector have been increasingly investing in these areas, recognizing the long-term benefits of sustainable energy sources.

Circular economy models are becoming increasingly prevalent, emphasizing the importance of resource optimization and waste reduction. Companies like "AMP Robotics," which utilize artificial intelligence and automation to simplify recycling processes, have shown significant results in waste management. This approach not only reduces environmental impact but also creates economic opportunities through the recycling and repurposing of materials. Scaling up circular economy practices, such as product-as-a-service models and closed-loop recycling systems, will reduce resource consumption and waste —collaborative efforts. (Nugroho Soebandrija, 2018)

The circular economy model focuses on reducing waste and maximizing the use of resources. Initiatives like composting organic waste, upcycling materials, and creating products designed for longer life cycles are gaining traction in Georgia.

**Sustainable Agriculture and Food Systems**

Precision agriculture and smart farming techniques are transforming Georgia's agricultural sector. Technologies such as IoT, drones, and AI are being employed to enhance crop yields and reduce resource usage. Vertical farming and greenhouses are also gaining popularity, allowing for year-round production with minimal environmental impact. (Evans et al. 2017).

## INTERNET OF THINGS (IOT) AND SMART SOLUTIONS

The Internet of Things (IoT) revolutionizes various sectors, including energy, agriculture, and waste management. IoT-enabled devices and systems provide real-time data and analytics, improving efficiency and sustainability. For instance, IoT can monitor and manage energy consumption, optimize irrigation systems, and streamline waste collection processes.

IoT-enabled smart grids improve the efficiency and reliability of electricity distribution. They allow real-time monitoring and management of energy flow, reducing losses and integrating renewable energy sources more effectively.

**Biotechnology**

Biotechnology is playing a crucial role in developing sustainable solutions. Startups like „Materiom" are pioneering the development of biodegradable materials derived from natural sources. These innovations help reduce reliance on petroleum-based plastics and other non-renewable resources, contributing to a more sustainable future.

**Renewable Energy Storage**

Advancements in energy storage technologies are critical for the widespread adoption of renewable energy. Efficient and cost-effective storage solutions enable the integration of renewable energy sources into the grid, ensuring a reliable and stable energy supply. This is particularly important for

intermittent sources like solar and wind energy.

**Blockchain Technology**

Blockchain technology is being explored for its potential to enhance transparency and traceability in supply chains. By providing a decentralized and immutable ledger, blockchain can ensure the integrity and authenticity of products, from farm to table or from manufacturer to consumer. This is especially valuable for organic and fair-trade products.

**Success Factors for Green Startups in Georgia, Access to Funding**

Access to funding is a critical factor for the success of green startups. Initiatives like the "Green Growth Fund" provide financial support and technical assistance to green startups, helping them scale operations and increase impact. Additionally, international grants and investment from venture capitalists focused on sustainability play a significant role.

**Regulatory Support**

Government policies and regulations play a pivotal role in fostering a conducive environment for green innovation. Supportive regulations, tax incentives, and subsidies for renewable energy projects, waste management initiatives, and sustainable practices encourage startups to invest in green technologies.

Government incentives and subsidies for renewable energy projects, waste management initiatives, and sustainable practices are crucial for supporting green innovation. These policies reduce the financial burden on startups and encourage investment. (Ciasullo et al. 2020)

**Collaboration and Partnerships**

Collaboration between government agencies, industry associations, academic institutions, and civil society organizations is essential for overcoming challenges and driving green innovation. Joint efforts in policy development, research, and capacity building help create a robust ecosystem for sustainable entrepreneurship. Collaboration with academic institutions and research organizations is vital for advancing green technologies. These partnerships can provide access to cutting-edge research, technical expertise, and testing facilities. (Foss & Saebi, 2017)

**Challenges Facing Green Startups, Financial Barriers**

Despite the availability of some funding sources, financial barriers remain a significant challenge. Green startups often require substantial initial capital for research and development, technology acquisition, and market entry. Access to affordable financing options and investment is crucial for their growth and sustainability.

**Regulatory Hurdles**

Regulatory barriers can impede the progress of green startups. Complex and inconsistent regulations, bureaucratic red tape, and lack of clarity in policy implementation can create hurdles for startups. Streamlining regulatory processes and providing clear guidelines are essential to supporting green innovation.

Complex and inconsistent regulations can create significant barriers for green startups. Navigating regulatory requirements can be time-consuming and costly, particularly for small companies with limited resources.

**Market Acceptance**

Market acceptance is another challenge. Consumers and businesses may be hesitant to adopt new and unfamiliar green technologies. Education and awareness campaigns highlighting the benefits of green products and services are necessary to drive demand and foster acceptance.

Consumer awareness and acceptance of green products and technologies are crucial for market success. Education and awareness campaigns highlighting the benefits of green solutions can drive demand and foster acceptance.

**Future Perspectives, Technological Advancements**

The future of green innovation in Georgia is promising, with rapid advancements in technology paving the way for new opportunities. Continued investment in research and development, coupled with technological advancements, will drive the creation of innovative solutions to environmental challenges.

**International Collaboration**

International collaboration and partnerships are crucial for scaling green innovations and transferring knowledge. Collaboration with international organizations, research institutions, and green tech companies can accelerate the adoption of best practices and innovative technologies in Georgia.

**Education and Skill Development**

Education and skill development are essential for building a workforce capable of driving green innovation. Integrating sustainability into educational curricula and providing training programs in green technologies will equip the next generation of entrepreneurs and professionals with the necessary skills and knowledge.

**Renewable Energy, Solar Energy:**

Georgia's geographical and climatic conditions are ideal for the expansion of solar energy projects. Companies like "Solarium Energy" are innovating within the energy sector by developing advanced solar technologies that can be integrated into both urban and rural settings. The government has been supportive, providing subsidies and incentives to encourage investment in solar energy.

**Wind Energy:**

Wind energy is another promising area. Several wind farms have been established, particularly in the mountainous regions, where wind speeds are optimal. These projects are part of Georgia's strategy to diversify its energy sources and reduce dependency on imported fossil fuels.

**Hydropower:**

Georgia has a long history of hydropower development, which continues to be a significant part of its renewable energy mix. New small-scale hydroelectric projects are being developed to provide clean energy to remote areas.

**Biomass Energy:**

Biomass energy is emerging as a sustainable alternative, particularly in rural areas where agricultural waste can be converted into energy. This not only provides a renewable

energy source but also helps manage waste more effectively.

**Recycling Innovations:**

Startups like "AMP Robotics" are using artificial intelligence to improve recycling processes, making them more efficient and effective. These technologies help sort and process recyclables faster and with higher accuracy, contributing to a more effective circular economy.

**Government Initiatives:**

The Georgian government has introduced policies to promote waste reduction and recycling. Programs aimed at educating the public about the benefits of recycling and providing infrastructure for waste separation are crucial to these efforts.

**Precision Agriculture:**

Precision agriculture technologies, such as IoT devices and drones, are transforming the agricultural landscape in Georgia. These technologies enable farmers to monitor crop health, optimize irrigation, and reduce pesticide use, leading to more sustainable farming practices.

**Vertical Farming:**

Vertical farming is gaining popularity as a means to produce food in urban areas with limited space. These systems use less water and land than traditional farming methods and can produce food year-round.

**Organic Farming:**

There is a growing movement towards organic farming in Georgia, driven by consumer demand for healthier and more sustainable food options. Organic farms avoid synthetic pesticides and fertilizers, which help protect the environment and improve soil health.

**Agroecology:**

Agroecology combines traditional farming practices with modern science to create sustainable and resilient food systems. This approach emphasizes biodiversity, soil health, and the integration of crops and livestock.

**Ecotourism and Sustainable Hospitality, Eco-Friendly Lodging:**

Ecotourism initiatives in Georgia promote eco-friendly lodging options that minimize environmental impact. These lodges often use renewable energy sources, recycle waste, and source food locally. Ecotourism and sustainable hospitality are integral components of Georgia's green innovation growth. Sustainable tourism practices include eco-friendly lodging, waste reduction programs, and conservation initiatives. These practices not only attract environmentally conscious tourists but also help preserve Georgia's rich natural and cultural heritage.

**Conservation Efforts:**

Ecotourism also supports conservation efforts by raising awareness about environmental issues and generating funds for protected areas. Initiatives such as guided nature tours and wildlife conservation programs are integral to these efforts. (Boons and Lüdeke-Freund 2013)

**Community-Based Tourism:**

Community-based tourism initiatives involve local communities in the tourism industry, providing them with economic benefits while preserving their cultural heritage and environment. This approach helps ensure that tourism development is sustainable and inclusive.

**Key Trends in Green Technologies**

**Smart Agriculture:**

IoT devices in agriculture provide real-time data on soil moisture, weather conditions, and crop health. This information helps farmers make informed decisions, optimize resource use, and increase yields.

**Smart Waste Management:**

IoT solutions in waste management include smart bins that signal when they need to be emptied and sensors that monitor waste levels in real-time. These technologies improve waste collection efficiency and reduce costs.

**Biotechnology Biodegradable Materials:**

Startups like "Materiom" are developing biodegradable materials from natural sources, which can replace conventional plastics. These materials decompose naturally, reducing pollution and the environmental impact of plastic waste.

**Bioenergy:**

Biotechnology is also being used to produce bioenergy from organic waste. Processes such as anaerobic digestion convert waste into biogas, which can be used for heating, electricity, or as a vehicle fuel.

**Sustainable Agriculture:**

Biotechnology in agriculture includes the development of drought-resistant crops, biofertilizers, and biopesticides. These innovations help reduce the environmental impact of farming and increase food security.

**Battery Technologies:**

Advancements in battery technology are crucial for storing renewable energy and ensuring a stable supply. Lithium-ion batteries are commonly used, but research is ongoing into alternatives such as solid-state batteries and flow batteries.

**Grid Integration:**

Energy storage systems are essential for integrating renewable energy sources into the grid. They help balance supply and demand, store excess energy for later use, and provide backup power during outages.

**Microgrids:**

Microgrids are localized energy grids that can operate independently from the main grid. They are particularly useful in remote areas and can integrate various renewable energy sources, enhancing energy security and resilience.

**Energy Trading:**

Blockchain can facilitate peer-to-peer energy trading, allowing individuals and businesses to buy and sell renewable energy directly. This decentralizes the energy market and empowers consumers to participate in the energy transition.

**Carbon Credits:**

Blockchain technology can streamline the management and trading of carbon credits, making it easier to track emissions reductions and ensure the credibility of carbon offset projects.

Success Factors for Green Startups in Georgia, Access to Funding, Green Growth Fund:

Initiatives like the "Green Growth Fund" provide financial and technical assistance to green startups, helping them scale operations and increase impact. This funding is essential for startups to develop and commercialize innovative technologies.

**Venture Capital:**

Venture capital firms focused on sustainability are increasingly investing in green startups. These investors not only provide capital but also bring expertise and networks that can help startups grow.

**Crowdfunding:**

Crowdfunding platforms are another source of funding for green startups. They allow startups to raise small amounts of money from a large number of people, often attracting early adopters and advocates for sustainability.

**Clear Regulations:**

Clear and consistent regulations are essential for providing a stable and predictable environment for green startups. Governments need to streamline regulatory processes and eliminate bureaucratic red tape that can hinder innovation.

**Public-Private Partnerships:**

Public-private partnerships can leverage the strengths of both sectors to drive green innovation. Governments can provide funding and regulatory support, while private companies bring expertise and market knowledge.

**Industry Associations:**

Industry associations can facilitate collaboration between startups, established companies, and other stakeholders. They can also advocate for favorable policies and provide networking opportunities.

**Civil Society Organizations:**

Civil society organizations play a crucial role in promoting green innovation by raising awareness, advocating for sustainable policies, and supporting grassroots initiatives.

**Challenges Facing Green Startups**

**Financial Barriers and High Initial Costs:**

Green startups often face high initial costs for research and development, technology acquisition, and market entry. These costs can be a significant barrier, particularly for small and early-stage companies.

**Access to Affordable Financing:**

Access to affordable financing is a major challenge for green startups. Traditional financing options, such as bank loans, may not be available or suitable for startups with unproven technologies and business models.

**Long Payback Periods:**

Green technologies often have long payback periods, which can deter investors looking for quick returns. Startups need to demonstrate the long-term value and impact of their solutions to attract investment.

**Bureaucratic Red Tape:**

Bureaucratic red tape can delay the approval and implementation of green projects. Streamlining regulatory processes and providing clear guidelines are essential to supporting green innovation.

**Lack of Policy Clarity:**

Lack of clarity in policy implementation can create uncertainty for startups. Governments need to provide clear and consistent policies that support green innovation and provide a stable environment for investment.

**Supply Chain Integration**

Integrating green products into existing supply chains can be challenging due to compatibility issues and logistical complexities. Collaboration with supply chain partners and demonstrating the value of sustainability throughout the supply chain can help overcome these challenges.

**Competitive Pricing**

Competing with established, non-green alternatives on price can be difficult for green startups. Innovating to reduce production costs, leveraging economies of scale, and accessing subsidies or incentives can help make green products more competitive in the market.

**Future Perspectives Technological Advancements Advanced Materials**

Continued advancements in materials science, such as biodegradable polymers and nanomaterials, will enable the development of more sustainable products. These materials offer enhanced performance while minimizing environmental impact.

**Artificial Intelligence and Machine Learning**

AI and machine learning technologies will play a larger role in optimizing resource use, predicting environmental impacts, and enhancing the efficiency of green technologies. These technologies can enable more precise decision-making and automation in various sectors.

**Next-Generation Energy Storage**

Research into next-generation energy storage technologies, such as solid-state batteries and hydrogen storage systems, will improve the reliability and scalability of renewable energy sources. These advancements are critical for transitioning to a renewable energy-based economy.

Across industries and sectors is essential for achieving circularity on a larger scale.

**Policy and Regulatory Frameworks Global Standards**

Developing global standards and frameworks for sustainable development and green technologies will facilitate international cooperation and trade. Harmonizing regulations and aligning incentives globally can accelerate the adoption of green innovations.

**Climate Resilience Adapting to Climate Change**

Increasing resilience to climate change impacts through innovative technologies and adaptive strategies will be crucial. Solutions such as climate-smart agriculture, resilient infrastructure, and disaster preparedness measures will help communities and ecosystems adapt to a changing climate (Nugroho Soebandrija 2018).

**Education and Awareness of sustainable practices**

Integrating sustainability into education curricula and raising awareness among consumers, businesses, and policymakers about the benefits of sustainable practices will

drive demand for green innovations. Building a culture of sustainability from an early age is essential for long-term behavioral change.

## CONCLUSION

The promotion of green innovations in Georgia's startup ecosystem plays a crucial role in enhancing the competitiveness of business models and encouraging the adoption of green technologies. By leveraging the country's natural resources, cultural heritage, and entrepreneurial spirit, Georgia can pave the way for a more sustainable, equitable, and economically prosperous future. Georgia's burgeoning green innovation ecosystem exemplifies a commitment to sustainable development and environmental stewardship. From renewable energy advancements to circular economy initiatives and technological innovations, green startups play a pivotal role in addressing global challenges while fostering economic growth and social well-being. Overcoming financial barriers, navigating regulatory complexities, and enhancing market acceptance are critical for unlocking the full potential of green technologies and achieving a sustainable future for generations to come.

## BIBLIOGRAPHY

1. Boons, Frank, and Florian Lüdeke-Freund. 2013. „Business Models for Sustainable Innovation: State-of-the-Art and Steps Towards a Research Agenda". Journal of Cleaner Production 45:9–19. https://doi.org/10.1016/j.jclepro.2012.07.007;
2. Ciasullo, Maria Vincenza, Orlando Troisi, Mara Grimaldi, and Daniele Leone. 2020. „Multi-Level Governance for Sustainable Innovation in Smart Communities: An Ecosystems Approach". International Entrepreneurship and Management Journal 16 (4): 1167–95. https://doi.org/10.1007/s11365-020-00641-6;
3. Evans, Steve, Doroteya Vladimirova, Maria Holgado, Kirsten Van Fossen, Miying Yang, Elisabete A. Silva, and Claire Y. Barlow. 2017. „Business Model Innovation for Sustainability: Towards a Unified Perspective for Creation of Sustainable Business Models". Business Strategy and the Environment 26 (5): 597–608. https://doi.org/10.1002/bse.1939.
4. Foss, Nicolai J., and Tina Saebi. 2017. "Fifteen Years of Research on Business Model Innovation: How Far Have We Come, and Where Should We Go?" Journal of Management 43 (1): 200–227. https://doi.org/10.1177/0149206316675927;
5. Nugroho Soebandrija, Khristian Edi. 2018. „Green Innovation and Sustainable Industrial Systems within Sustainability and Company Improvement Perspective". In IOP Conference Series: Earth and Environmental Science. Vol. 109. Institute of Physics Publishing. https://doi.org/10.1088/1755-1315/109/1/012003.

# გაბრიელ ქიქოძისა და დიმიტრი უზნაძის ზოგადპედაგოგიური კონცეფცია

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.04.09

**აბსტრაქტი**

ყოველ ერს პიროვნული ღირებულებებისა და ქცევითი მოდელების მაფორმირებელი მისეული ყალიბი გააჩნია. შესაბამისად, რამდენადმე სპეციფიკურია მათი საგანმანათლებლო პროცესის, როგორც წყობითი ენერგეტიკული ველი, ისე ფსიქოლოგიური კონტექსტი. თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცისთვის ნიშანდობლივი უსასრულო-უსამანო რეფორმების ეფექტიანობა აუცილებლად საჭიროებს საკუთარ მსოფლმხედველობრივ წიაღში ჩაღრმავებას. პედაგოგიური აზროვნების ქართული ტრადიციის მნიშვნელოვან არეს წარმოადგენს ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძისა და დიმიტრი უზნაძის ზოგადპედაგოგიური კონცეფცია, რომელთა საყრდენია, როგორც მეცნიერული (ემპირიული, ცდისეული მოცემულობა), ისე მეტაფიზიკური (შემეცნებისთვის მიუწვდომელი, ინტუიტურით მოსაპოვებელი მოცემულობა) მეთოდოლოგია.

ცხადია, სხვადასხვა ეპოქაში განვითარებისა და აღზრდის რაციონალური და ეთიკური პრინციპები სხვადასხვა ინტენსივობითა და მიმართულებით განიცდის ცვალებადობას, მაგრამ მათი ძირითადი საფუძველი და არსობრივი ნიშანსვეტი - ადამიანის ფიზიკურ-მშვინვიერ- სულიერი არსების სვლა ქვემოდან ზემოთ - უცვლელია. ამ უკანასკნელთან მიმართებაში, ეპისკოპოს გ. ქიქოძისა და დ. უზნაძის პოზიცია გულისხმობს ადამიანის უნიკალურობის აღიარებას და აღმზრდელობით საქმიანობაში ჯეროვანი შედეგის (ყოველი კონკრეტული აღსაზრდელის შემთხვევაში მხოლოდ მისი შესატყვისი იდეალის ჩამოყალიბება) მისაღწევად ინდივიდუალური მიდგომის საუკეთესოდ მიჩნევას. მათი პედაგოგიური ნააზრევი საგანმანათლებლო პროცესის იმგვარად მოწყობის მცდელობაა, რომ ბავშვის უნიკალური სულიერი სამყარო და საზოგადოებრივი ღირებულებები გარკვეულ ურთიერთშესაბამისობაში მოვიდეს და სამომავლო ცხოვრებისთვის მომზადებას მსხვერპლად კი არ შეეწიროს მოზარდის „ამწუთიერი“ სურვილები და მისწრაფებები, არამედ მეტ-ნაკლები ჰარმონიულობით, ინდივიდუალური და ასაკობრივი მახასიათებლების ფონზე წარიმართოს.



**ნანა ბოკუჩავა**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
დოქტორანტი
https://orcid.org/0009-0005-4561-0421
E-mail: nana.bokuchava69@gmail.com

**საკვანძო სიტყვები:** პედაგოგიკა, აღსაზრდელი, ქცევა, განვითარება, ოჯახი, ზნეობა, კანონზომიერება, ინდივიდუალიზმი, სწავლა, მოთხოვნილება.

# GABRIEL KIKODZE AND DIMITRI UZNADZE'S GENERAL PEDAGOGICAL CONCEPT

**Nana Bokuchava**
Technical University of Georgia, Ph.D
https://orcid.org/0009-0005-4561-0421
E-mail:nana.bokuchava69@gmail.com

**ABSTRACT**

Every nation has a "mould" that forms its characteristic personal values and behavioral models. Accordingly, both the structural energy field and the psychological context of their educational process are somewhat specific. The effectiveness of the endless reforms characteristic of the modern educational space necessarily requires deepening one's own worldview. An important aspect of the Georgian tradition of pedagogical thinking is the general pedagogical concept of Bishop Gabriel Kikodze and Dimitri Uznadze. They are based on both scientific (empirical, experimental statement) and metaphysical (inaccessible to cognition, obtained by intuition) methodology. Obviously, in different eras, the rational and ethical principles of development and education undergo changes in different intensities and directions, but their main basis and essence - the movement of a person's physical-spiritual being from the bottom up - are unchanged. In relation

to the latter, Bishop G. Kikodze and D. Uznadze's position implies recognition of human uniqueness. According to their position the individual approach is the best one to achieve appropriate results in educational activities. According to their pedagogical thinking it should be an attempt to organize the educational process in such a way that ensures a certain compatibility between the child's unique spiritual world and societal values. Preparation for the future life must not sacrifice the teenagers' "momentary" desires and aspirations. On the contrary, it should be more or less harmonious, against the background of individual and age characteristics.

**Key words:** pedagogy, education, behavior, development, family, morality, regularity, individualism, learning, need.

## შესავალი

ერთი მოგონების თანახმად, ფილოსოფოს შალვა ნუცუბიძეს, რომელმაც კომუნისტური რეჟიმის გამო შეწყვიტა მუშაობა ნაშრომზე „ალეთოლოგიური რეალიზმი“, დიმიტრი უზნაძემ უთხრა: - შალვა, მენანება შენი თეორია, იქნებ როგორმე მიუბრუნდეო. ნუცუბიძემ უპასუხა: - მივუბრუნდებოდი, მაგრამ მეშინია „ზემდგომმა მეგობრებმა“ არ დამიწუნონო. უზნაძემ ურჩია: - შენ მაინც გააგრძელე და ქვევრში ჩადე, შემდეგში მომავალი თაობები ნახავენ და იამაყებენო. ნუცუბიძემ მიუგო: - ეჰ, ქვევრშიც რომ ჩავდო, КГБ იქაც იპოვის და მერე რა ვქნაო. ეს მოგონება ნათლად ასახავს იმ პერიოდის რეჟიმის სისატიკეს, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა დიმიტრი უზნაძეს (1886-1950). ამ თვალსაზრისით, გამორჩეული არც ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის (1825-1896) დროითი სივრცე ყოფილა. როგორც მკვლევრები მიუთითებენ, მან „ფიზიოლოგიზმის“ აგრესიული შემოტევების ხანაში დაიცვა სულისა და სულიერი ცხოვრების დამოუკიდებლობა. გაბრიელ ქიქოძისა და დიმიტრი უზნაძის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგოგიურ-რელიგიურ-პედაგოგიური შრომების კითხვისას, შეუძლებელია, არ დაგრჩეს შთაბეჭდილება, რომ მათი ნაღვაწის გულისგული - მომავალი თაობებისთვის გასანდობი არსობრივი ცოდნა - სწორედ „ქვევრშია“ მოთავსებული და კვლავაც ელის ახალი, წნეხისაგან თავისუფალი ცნობიერებით გააზრება-გაანალიზებას, გადაფასებასა და ადგილმიჩენას.

პედაგოგიური აზროვნების ქართული ტრადიციის სრულყოფილი შესწავლა შეუძლებელია იმ მნიშვნელოვანი წვლილის გაუთვალისწინებლად, რომელიც გ. ქიქოძესა და დ. უზნაძეს მიუძღვის ამ მიმართულებით. ისინი იყვნენ თავისი დროის გამოჩენილი მოაზროვნენი, ნოვატორი პედაგოგ-თეორიტიკოსები და პედაგოგ-პრაქტიკოსები; თეორიულ დებულებებს მუდამ მჭიდროდ აკავშირებდნენ პრაქტიკასთან; თითქმის ყოველი თეორიულად განპირობებული პრინციპი პრაქტიკული სახელმძღვანელო ხდებოდა (უზნაძისა ქალთა სკოლა „სინათლეში“, ქიქოძისა კი თბილისის სასულიერო სემინარიასა და კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში) და შესაბამისად, იყო რეალურად აპრობირებული და დაზუსტებული. მათი ზოგადპედაგოგიური კონცეფციის ვერიფიკაციის დასტური მათივე აქტუალობაა თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში.

უნდა აღინიშნოს, რომ გ. ქიქოძის და დ. უზნაძის პედაგოგიური ნააზრევის კონცეპტუალური ჩარჩო საოცრად ჰგავს ერთმანეთს. მათ არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, დაამუშავეს და წარმოადგინეს აღზრდის ახალი ტიპის პარადიგმა, რომლის საფუძველსაც წარმოადგენდა აღსაზრდელის ინდივიდუალური მახასიათებლების, ფსიქო-ფიზიკური და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება. მათი აზრით, პედაგოგიკის საზრუნავი არ შეიძლება იყოს მხოლოდ კონკრეტული მასალის დამახსოვრება-ათვისებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა. მოსწავლე უნდა აღიზარდოს პიროვნული სუვერენიტეტით, რათა შეძლოს თავისუფალი და შემოქმედებითი აქტივობების საშუალებით განახორციელოს თვითგამორკვევა-თვითრეალიზაციის უწყვეტი პროცესი არა მხოლოდ პროფესიულ საქმიანობაში, არამედ ღირებულებათა ორიენტაციის სფეროშიც, რაც მიღწევადი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასწავლებელი წვრთნის, დრესურის და პიროვნული ნიველირების კი არა, ყოველმხრივი განვითარების კერად იქცევა.

## ძირითადი ნაწილი

მიუხედავად მრავალმხრივი და ნაყოფიერი ეროვნულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობისა, გ. ქიქოძისა და დ. უზნაძის საყვარელი და ძირითადი საქმიანობა პედაგოგობა იყო. სწორედ უშუალო პედაგოგიური მოღვაწეობა წარმოადგენდა მათი პედაგოგიური კონცეფციის ძირითად საყრდენს. საგულისხმოა, რომ 1954 წელს გ. ქიქოძემ თხოვნით მიმართა საქართველოს ეგზარქოსს ისიდორეს, რათა განთავისუფლებულიყო თბილისის სასულიერო სემნარიის ინსპექტორისა და რექტორის თანაშემწის პოზიციიდან ფიზიკა-მათემატიკის პროფესორის თანამდებობის შენარჩუნებით და ამასთან, დანიშნულიყო „თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის“ საღმრთო სჯულის მასწავლებლად. მიიღო რა თანხმობა, იგი მთლიანად ჩაეფლო პედაგოგიურ საქმიანობაში. 1909 წლის 29 აგვისტოს ქ. ქუთაისის გაზეთ „დროების“ 192-ე ნომერში დაიბეჭდა შემდეგი ცნობა: „ქუთაისის ქართულმა გიმნაზიამ ნაცვლად პ. იოსელიანისა, რომელიც ტფილისის ქართულ გიმნაზიაში გადავიდა, ისტორიის მასწავლებლად მოიწვია ფილოსოფიის დოქტორი დ. უზნაძე“. 1915 წელს კი დ. უზნაძემ ქ. ქუთაისში, საზოგადოება „სინათლის“ დავალებით, ჩამოაყალიბა ქალთა სასწავლებელი, რომელსაც მართავდა 1919 წლამდე. მან თავისი პედაგოგიური სისტემა მოხსენების სახით წარუდგინა საზოგადოება „სინათლის“ სხდომას „ანგარიშის“ სახელწოდებით. გადაუჭარბებლად მიუთითებს უზნაძის ბიოგრაფიის მკვლევარი ნ. ბერულავა, რომ უზნაძის პედაგოგიური სისტემის სახით ქართულმა პედაგოგიურმა

აზროვნებამ საკუთარი ახალი სიტყვა თქვა. უზნაძის პედაგოგიური კონცეფცია დაახლოებით 1910-1916 წლებში ჩამოყალიბდა: 1910 წ. გამოქვეყნდა მისი პირველი ნაშრომი პედაგოგიკაში - „აღზრდის მიზნები“, 1911წ. - „ნაწყვეტები ექსპერიმენტული პედაგოგიკიდან“, 1912წ. ცალკე წიგნად დაიბეჭდა - ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი“, რომლითაც იწყება საქართველოში ექსპერიმენტული პედაგოგიკის ისტორია. 1915წ. დაიწერა „პედაგოგიური წერილები“. უზნაძემ კრიტიკულად გაიაზრა თავისი დროის ყველა მნიშვნელოვანი და ღირებული პედაგოგიური იდეა და ფსიქოლოგიური მონაპოვარი და საკუთარი კონცეფციის საფუძველზე შექმნა ახალი პედაგოგიური სისტემა.

გ. ქიქოძის სასწავლო-სააღმზრდელო შეხედულებებსა და იდეებზე უმდიდრეს მასალას შეიცავს მისი „ქადაგებანი“ და „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომელთა მთავარი აქცენტი პიროვნული ფორმირების, ზნეობრივი აღზრდისა და სწავლა-განათლების, ადამიანის მიერ საკუთარი ღვთიური ბუნების გაცნობიერების და „ღვთის ხატად და მსგავსად“ ქცევისკენ სწრაფვის აქტუალიზირებას წარმოადგენს. „ამიერითგან უმჯობესობა“, სულის ამაღლება და განსპეტაკება, დიდსულოვნება და მიმტევებლობა, უანგარო და უპირობო სიყვარული ღვთისა და მოყვასისა - აი, რა უნდა იყოს ყოველწუთიერი ადამიანური საფიქრალი, გულწრფელი მოწოდება საკუთარ თავთან ჭიდილისა და საკუთარ არსებაში ჩაბუდებული ბოროტი მოცემულობის დათრგუნვისა. ამ გზაზე შედგომა, შინაგანი კეთილშობილების, კეთილსინდისიერებისა და თავმდაბლობის აღზრდა ბალღობიდანვე უნდა დაიწყოს, - აღნიშნავს გ. ქიქოძე, რადგანაც იმთავითვე გამოკვეთილად ჩანს საითკენაა მიმართული ბავშვის პიროვნული წყობა: „ნუ გგონია, რომელ ცოდვა და მადლი, კეთილი ან ბოროტი ზნეობა, კარგნი ან ავნი მიდრეკილებანი ადამიანის გულში გაჩნდებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი არის მოსული ჰასაკსა შინა. არა, თითქმის იმ ჟამითგანვე, ოდეს შვილი შენი არის ჩჩვილი, შეიტყობ მას, რომელ მის გულში არის ნერგი ყოველთა მომავალთა თვისებათა; მაშასადამე, იქითგანვე უნდა იწყო მისი სწავლა და გამოზრდა, იქითგანვე უნდა მიაჩვიო ყოველსა კეთილსა და გადააჩვიო ყოველსა ბოროტისაგან“ (11: 363). გ. ქიქოძის აზრით, ადამიანის გულის დამამძიმებელი მანკიერებანი და ცუდი ყოფაქცევა, უპირველესად, არასწორი აღზრდის შედეგია: „ყოველთა მათ ცოდვათა და უწესობათა, რომელთა აწ, საუბედუროდ, ვხედავთ მცხოვრებთა შორის ამა ქვეყნისათა, მე თითქმის იმას ვაბრალებ და იმით ვხსნი, რომელ იგინი სიყრმიდგანვე იყვნენ მოკლებულნი კეთილ-გონიერსა ყურადღებასა და გამოზრდასა“. (11: 363).

როგორც იაკობ გოგებაშვილის მოგონებებიდან ირკვევა, გ. ქიქოძემ იმ პერიოდის სემინარიის სწავლა აღზრდის სისტემაში ერთ-ერთმა პირველმა შეიტანა აქტიურობის, გააზრება-გაანალიზების, თვალსაჩინოებათა გამოყენების, თამაშით სწავლებისა და ფიზიკური აღზრდის პრინციპები. მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელმაც აშკარად გაუსწრო თანადროულობას, „მიზნად ისახავდა მნიშვნელოვანსა და არსებითს, არ ხურდავდებოდა წვრილმანებად, უაღრესად ნაყოფიერი იყო და ღრმა კვალი დატოვა სემინარიაში“ (1: 43). ქიქოძემ „გააუქმა დისციპლინის ყველა წვრილანი წესი; უფრო ნათლად, მკვეთრად და კატეგორიულად განსაზღვრა კეთილგონივრული ყოფაქცევის მნიშვნელობა და არსებითი წესები, რომელთა შესრულებას მთელი გზნებარებით მოითხოვდა“ (1: 41). ფორმალური სწავლების სისტემა გ. ქიქოძემ ჩაანაცვლა სწავლის აღზრდასთან დაკავშირებით, გონებრივი და ფიზიკური შრომის დაახლოება-შერწყმით, რაც აღნიშნული პერიოდის თბილისის სასულიერო სემინარიაში სქოლასტიკურ-დოგმატური ბურუსით მოცული სფეროს გარღვევას გულისხმობდა. მისი ზრუნვის საგანს შეადგენდა აღსაზრდელთა ზოგადი განათლებაც, რაც იაკობ გოგებაშვილის თქმით, დოგმატური აზროვნების ტყვეობიდან თავდაღწევის, ნიჭისა და უნარის გამოხსნის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა. ქიქოძემ რუსეთიდან გამოიწერა თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთი და უახლესი ლიტერატურა, რითაც მოახდინა ახალგაზრდობაში მეცნიერული აზრის გაღვიძება და მისდამი ლტოლვის გაძლიერება. მან სემინარიის ცხოვრებაში დაამკვიდრა დავისა და კამათის კულტურა; „ყოველ საღამოს სემინარიის აივანი წარმოადგენდა გაცხოველებული დავისა და კამათის ასპარეზს“ (1: 40).

გ. ქიქოძის თაოსნობით სემინარიაში შეიქმნა საუცხოოდ მოწყობილი ფიზიკის კაბინეტი (ერთადერთი მთელ საქართველოში). აქ, თეორიულად მიმდინარე ფიზიკა-მათემატიკა-ასტრონომიის სწავლებას თან ერთვოდა პრაქტიკული მეცადინეონები და ექსპერიმენტები, რაც იმ პერიოდის პედაგოგიკისთვის თვისებრივი სიახლე იყო. სწავლა-სწავლებაში გაბატონებული ზეპირობა-ზუთხვისა და გაკვეთილების შინაარსის მექანიკურად გაზეპირების მეთოდის აღმოსაფხვრელად გ. ქიქოძემ შემდეგ რადიკალურ ზომას მიმართა: აკრძალა მის საგანში სახელმძღვანელოების შეძენა და კლასში ჩანაწერების გაკეთება. მოსწავლეებს ყურადღებით უნდა მოესმინათ პედაგოგის ახსნა-განმარტება და გააზრება-გაანალიზების საფუძველზე, ცნობიერად შეეთვისებინათ მასალა. „გაბრიელი გაკვეთილებს ხსნიდა მთელი სიმარტივით, ზედმეტი სიტყვებისა და გამოთქმების გარეშე. გაიმეორებდა მას რამდენიმეჯერ და შემდეგ კი იმასვე გაამეორებინებდა მოსწავლეებს, კლასში მასალის სრულ შეთვისებამდე. ამიტომ ისინი სმენად იქცეოდნენ კლასში და ეჩვეოდნენ დაძაბული ყურადღებით ყოფილიყვნენ მთელი გაკვეთილის განმავლობაში“ (1: 43). ამ მეთოდს გოგებაშვილი „ცოცხალი სწავლების ხერხს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ იგი სხვა პედაგოგებმაც გადაიღეს, რითაც სემინარიაში დასრულდა „მკვდარი ზუთხვის ეპოქა“ (1: 41).

გ. ქიქოძის პედაგოგიკის კიდევ ერთი რაციონალური მომენტი და დანერგილი თვისობრივი სიახლეა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა თამაშის მეშვეობით, რომელსაც იგი მიიჩნევდა ერთობ სასარგებლო და აუცილებელ მეცადინეობად არა მხოლოდ სხეულისთვის, არამედ სულისთვისაც. „თამაშობები“ სასწავლო პრო-

ცესის აუცილებელი კომპონენტი იყო და იმართებოდა სემინარიის ეზოში ყოველდღიურად, სადილის შემდეგ რამდენიმე საათის განმავლობაში და ყველასთვი ცნობილ განსაზღვრულ დროს წყდებოდა. ამ დროს სემინარიის ეზო წარმოადგენდა ფრიად მრავალფეროვან, მაგრამ სავსებით წესიერ „თამაშობათა ასპარეზს". „თამაშობებს" მკაცრიად განსაზღვრული მიზანი ჰქონდა; კერძოდ, აღმოფხვრილიყო „ბავშვთა საიდუმლო ბიწიერებანი" რომელიც ასე გავრცელებული იყო დახურულ სასწავლებლებში. საგულისხმოა, რომ გ. ქიქოძე საგანმანათლებლო სისტემაში ჰუმანიტარულ-ზნეობრივი მიმართულების ჩამომყალიბებლად გვევლინება. „განათლება მხოლოდ მაშინ არის კარგი და მხოლოდ იმისთანა განათლება არის კარგი, რომელიც აღამაღლებს და გააკეთილშობილებს კაცს ყოვლის მხრით და არა მხოლოდ ერთსა, თუ გინდ უმაღლესსა მის ბუნების მხარესა. თვითონ სწავლა არის ორპიროვანი იარაღი: შეიძლება ის კაცმა მოიხმაროს კეთილ საქმეზედაც და ბოროტზედაც, სასარგებლოდ და საზარალოდ თავისა თვისისა და სხვათა. საქმე უმაღლესია სიტყვაზე. ცხოვრება უძვირფასესია სწავლაზე. სწავლამ განათლებამ უნდა გააუმჯობესოს ყოველნი საქმენი ჩვენნი, მთელი ჩვენი ცხოვრება. რა სასარგებლოა, როდესაც კაცის გონება სავსეა მრავალგვარი ცოდნითა, ხოლო მისი საქმე და ცხოვრება სრულებით არ განსხვავდება უსწავლელ კაცთა საქმისა და ცხოვრებისგან" (12: 402).

გ. ქიქოძემ განავითარა პედაგოგიკაში არსებული მოსაზრება ჰარმონიული აღზრდა-განვითარების შესახებ და მის 5 ძირითად შემადგენელ ნაწილს (გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური, შრომითი) დაუმატა მეექვსე - რელიგიური. საგულისხმოა, რომ თავის „აღზრდის მიზნებში", რომელიც 1910 წელს დაიბეჭდა გაზეთ დროებაში, აღზრდის 6 მიზანზე საუბრობს დ. უზნაძეც და ეხება რელიგიურ აღზრდას. გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის არსსა და მნიშვნელობას ორივე მოაზროვნე დიდწილად იდენტურად განიხილავს. დამატებით, უზნაძეს აუცილებლობად მიაჩნია ადამიანური ბუნების მრავალმხრივობისა და სირთულის გათვალიწინება და იმის წარმოჩენა, რომ თითოეულს, თავის ფრიად დიდ ღირებულებასთან ერთად, მრავალი უმნიშვნელო და მავნე მხარეც აქვს. კერძოდ, არ შეიძლება იმის უგულვებელყოფა, რომ

- რადიკალური ინტელექტუალიზმი მხოლოდ ზიანის მომტანია, აჩლუნგებს ადამიანის ნებელობითი და ქმედითი ცხოვრების ესოდენ მნიშვნელოვან მხარეებს - გრძნობას და ფანტაზიას; ასტიმულირებს გადაუწყვეტელობასა და პასიურობას;

- მორალური განვითარების კულტი, ახშობს რა ადამიანური ბუნების გრძნობით მხარეს, უინიციატივობას და შესაბამისად, უმოქმედობას უწყობს ხელს. უზნაძე ცალმხრივად განვითარებულ მორალს სენად მოიხსენიებს და მიუთითებს ამგვარი სენით შეპყრობილი ადამიანის ყოფით უძლურებაზე.

- ესთეტიკით უკიდურესად გატაცება, ესთეტიკური განათლების კულტი, რასაც უზნაძე ესთეტიციზმს უწოდებს, ფრიად საშიში მოვლენაა, რადგან ხელს უშლის აღზრდის სხვა მიზნებისკენ სწრაფვას.

- მხოლოდ ფიზიკურ აღზრდაზე ორიენტირება ხელს უშლის ადამიანის, როგორც სამწევროვანი არსების ჰარმონიულ განვითარებას და გაძლიერების ნაცვლად აფერხებს იმ ფსიქიკურ მოვლენებს, რომლებიც მისი დახმარებით უნდა რეალიზდეს.

შრომითი აღზრდა, რომელიც უმნიშვნელოვანესად მიაჩნდა გ. ქიქოძეს, არა მხოლოდ ცალკეული ადამიანისთვის, არამედ საზოგადოებისთვის, დ. უზნაძესთან განვრცობილი სახით არის წარმოდგენილი და მოიაზრებს ზოგადად მოქალაქეობრივ აღზრდას. მისი აზრით, განათლების სისტემა მოვალეა იზრუნოს არა მხოლოდ პიროვნებათა, არამედ მოქალაქეთა ჩამოყალიბებაზეც, რომლებსაც უნარი ექნებათ გაერკვნენ პოლიტიკურ-სოციალურ სფეროში, შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფო ცხოვრების განვითარების პროცესში და თავიანთი შრომა, ფიზიკურიც და გონებრივიც, სისტემურად და მიზნობრივად მოახმარონ აღმშენებლობით პროცესს.

საყოველთაოდ ცხადი და გასაგებია ეპისკოპოს გ. ქიქოძის საკრალური დამოკიდებულება რელიგიური აღზრდის მნიშვნელოვნებისადმი. მისთვის „განვითარებული ადამიანია ის, ვინც ფლობს უდიდესი რაოდენობის სწორ მსჯელობას მრავალ საგანზე და პირიქით, ადამიანი, რომელიც ფლობს შეზღუდული რაოდენობის მსჯელობებს ზოგიერთ საგანზე, ხოლო მრავალ სხვაზე არაფერი გაუგია, იწოდება უმეცარ ადამიანად" (13: 88). უმაღლესი და ყველაზე აუცილებელი ცნება, რომელიც არსებობს ადამიანის სულში, არის ცნება უზენაესი სუბსტანციის, მთელი სამყაროს შემოქმედის, ყველა მოვლენის საბოლოო მიზეზის, ღმერთის შესახებ. მისი გაჩენა იმდენად აუცილებელი, თავისთავადი, ბუნებრივი და გარდაუვალია, რომ თანდაყოლილობის შთაბეჭდილებას ტოვებს. უნდა დაზუსტდეს, რომ ის თანდაყოლილია, როგორც სულის ლტოლვა, შეიმეცნოს თავისი შემოქმედი და მთელი სამყაროს მიზეზი, ხოლო ის კონკრეტული სახე, რომელსაც იღებს ცალკეულ ადამიანთა გონებაში, საზრდოობს მსჯელობათა და დასკვნათა რიგისგან. მაშასადამე, ღმერთის იდეა თანშობილია, მაგრამ საჭიროებს განვითარებას ანუ სათანადო რელიგიურ აღზრდას (13: 92). მსგავსად ეპისკოპოს გაბრიელისა, დ. უზნაძე რელიგიას განიხილავს, როგორც „აუცილებელ, დამოუკიდებელ ღირებულებას ადამიანის ბუნებისა", ხოლო რელიგიურ მოთხოვნილებას, როგორც „ნიშანდობლივ თვისებას ადამიანის ფსიქიკისა; პირველყოფილ, ძირითად და აღმოუფხვრელ მოთხოვნილებას". შესაბამისად, აღმზრდელობითი პროცესის ერთ-ერთ ძირითად მხარედ და მნიშვნელოვან მიზნად იგი მიიჩნევს რელიგიურ აღზრდას, აღსაზრდელის ფსიქიკის აღნიშნული მიმართულებით მიზნობრივ და გეგმაზომიერ ფუნქციობას. არ არსებობს ადამიანი რელიგიისა და რელიგიური ლტოლვის გარეშე; შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, თუ როგორი მიმართულებით განვითარდა ამა თუ იმ ადამიანის რელიგიოზურობა - მიუთითებს დ. უზნაძე და სავალდებულოდ თვლის აღმზრდელის მიერ აღსაზრდელის რელიგიურ მოთხოვნილებათა

ისეთივე რუდუნებითა და გონივრულად ფორმირებას, როგორც სხვა დანარჩენისა. მისი აზრით, რელიგიური აღზრდის სფეროში შეცდომა განსაკუთრებით მძიმედ აისახება ადამიანის პიროვნული წყობისა და ქცევითი მექანიზმების ჩამოყალიბებაზე. სწორედ ამიტომ, სააღმზრდელო პროცესის ჯეროვნად წარმართვისათვის, საჭიროდ მიაჩნია აღმზრდელმა გაიაზროს რელიგიის ის მხარეებიც, რომლებიც „ფრიად სასურველად ხდიან“ რელიგიურ განვითარებას და ისინიც, რომლებიც „მის ბნელ მხარეებად“ შეიძლება ჩაითვალონ (3: 137).

დ. უზნაძის პედაგოგიკურმა მრწამსმა, რომლის მიხედვითაც პედაგოგიკის თეორიული და პრაქტიკული ამოცანების პროდუქტიულად გადაწყვეტა მხოლოდ ფსიქოლოგიურ ცოდნაზე დაყრდნობით არის შესაძლებელი, ახალი ჟღერადობა და დასაბუთება შეიძინა მას შემდეგ, რაც მან განწყობის თეორიის სახით ჩამოაყალიბა საკუთარი ზოგადფსიქოლოგიური კონცეფცია. „ადამიანში არსებობს რაღაც, რაც თვითონ ცნობიერების შინაარსი არაა, მაგრამ მასზე გარკვეულ გავლენას ახდენს - განსაზღვრავს, გარკვეული მიმართულებით წარმართავს მას. ამას განწყობა შეიძლება ვუწოდოთ, განწყობა, რომელიც ყოველ ცოცხალ არსებაში, მის სინამდვილესთან ურთიერთობაში ვლინდება“ (7: 45). იგი უნივერსალური მახასიათებელია და გასაგებს ხდის სულიერი ცხოვრების ყველა მხარეს. ადამიანი მოქმედებს, როგორც ორგანიზებული მთლიანობა მასში ფორმირებული განწყობის შესატყვისად. განწყობის სახით ქცევას წინ უსწრებს სუბიექტის მთლიანპიროვნული მდგომარეობა, რომელშიც ამ ქცევის საერთო ხასიათი, მისი ძირითადი რაგვარობა, მისი ობიექტური ვითარების შესატყვისობა, წინასწარაა განსაზღვრული - აღნიშნავს უზნაძე. ცხადია, ასეთი ხედვის მქონე მკვლევარი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კავშირს სრულიად ახალი რაკურსით განიხილავს და ასაბუთებს. უზნაძის თანახმად, პედაგოგიკამ ქმედითი დახმარებისთვის უნდა მიმართოს არა უსუბიექტო, განყენებული ფუნქციების ფსიქოლოგიას, არამედ განწყობის, ანუ სუბიექტის, მოქმედი პიროვნების ფსიქოლოგიას. ფსიქიკის შინაარსი არ ამოიწურება ცნობიერი პროცესებით. არსებობს ისეთი პროცესებიც, რომლებიც ცნობიერების გარეშე მიმდინარეობენ და არსებითად განსაზღვრავენ მთელ მის აქტივობას.

ბავშვისა და განათლების ფსიქოლოგიის თანამედროვე ტენდენციებმა წარმოაჩინა და კიდევ უფრო ცხადი გახადა დ. უზნაძის პოზიციისა და კონცეფციის მნიშვნელოვნება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესისთვის. მასწავლებელსაც და მოსწავლესაც ყოველ ახალ აქტივობაში ჩართვისთვის სჭირდება სპეციალური მზაობა - განწყობა, რომელიც მიზანმიმართულად აამოქმედებს სათანადო ძალებსა და უნარ-ჩვევებს. სასწავლო პროცესი იმგვარად უნდა იყოს სტრუქტურირებული, რომ შესაძლებელი გახდეს მოსწავლეს გაუჩნდეს სწავლის მოთხოვნილება და მისი შესაბამისი განწყობა, რაც ქცევაში რეალიზდება. ამასთანავე, მასწავლებელს შეუძლია გეგმაზომიერად და მიზანმიმართულად იმოქმედოს მოსწავლეში განწყობათა ფორმირებაზე: მოახდინოს მასში სასურველი განწყობის ფიქსაცია და პირიქით, არასასურველი განწყობის ლიკვადაცია. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულთან მიმართებაში თავს იჩენს ინდივიდუალური განსხვავებულობა; განწყობის, როგორც რაოდენობრივი, ისე რომელობითი თვალსაზრისით შემუშავება სხვადასხვა სისწრაფით და სიძლიერით ხდება კონკრეტული მოსწავლის შინაგანი მდგომარეობიდან გამომდინარე. განწყობა საფუძვლად უდევს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ეფექტურად წარმართვას. სასწავლო პროცესისადმი დადებითი განწყობის შექმნა, ანუ ის არაცნობიერი მთლიანპიროვნული მზაობა, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის ჩართვას სასწავლო აქტივობებში, უზრუნველყოფს სასურველ შედეგს: მოსწავლეთა კრეატიულობის, ლიდერობის, გუნდური მუშაობის ინოვაციებზე ორიენტირებულობის უნარსა და მაღალ აკადემიურ მაჩვენებელს.

დ. უზნაძე საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ თვითონ განწყობის ცნებას აქვს განსაკუთრებული პედაგოგიური ღირებულება, რამეთუ „ადამიანის აღზრდის პროცესი არ შეიძლება განსაკუთრებით ინტიმურ კავშირში არ იმყოფებოდეს მის განწყობასთან“ (9: 348). ამ აზრის საილუსტრაციოდ იგი აანალიზებს წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის მაგალითებს და აღნიშნავს, რომ ხშირ შემთხვევებში პედაგოგს არც კი აქვს გააზრებული რა არის მის მიერ მიღწეული წარმატების ფსიქოლოგიური საფუძველი, მაგრამ ინტუიტურად მას მიგნებული აქვს ის გზა, რომლითაც ხერხდება სწორედ პიროვნებაზე, მის განწყობაზე ზემოქმედება და მისი მთლიანობითი წარმართვა საჭირო მიმართულებით. „ამ შემთხვევაში პედაგოგი არასოდეს ისეთ ზომებს არ მიმართავს, რომ პირველ რიგში თვითონ მოზარდის პიროვნება არ ჰქონდეს მხედველობაში. პედაგოგიური ტაქტი ნებას არ აძლევს, პიროვნება, როგორც მთლიანობა, განზე დატოვოს და უშუალოდ მის ფსიქიკაზე აწარმოოს ზემოქმედება“ (9: 350).

დ. უზნაძის კონცეფცია ეწინააღმდეგება გავრცელებულ შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, რომ სწავლა გონებრივი შრომის ერთ-ერთი სახეა. სწავლა არის ქცევის სპეციფიკური ფორმა, რომელიც შეიცავს, როგორც ინტროგენური (ქცევა რომელიც იმპულსს იღებს შიგნიდან), ისე ექსტროგენური (ქცევა რომელიც იმპულსს იღებს გარედან) ქცევის ელემენტებს, მაგრამ ამასთანავე განსხვავდება კიდეც მათგან, ამიტომაც ცალ-ცალკე არც ერთს წარმოადგენს და არც მეორეს. სწავლა უფრო გარდამავალი ფორმაა ქცევის ორ ძირითად, ინტროგენურ და ექსტროგენურ კატეგორიას შორის, წერს უზნაძე და აღნიშნულის ნათელსაყოფად განიხილავს თამაშის (ქცევის წმინდა ინტროგენური ფორმა) და შრომის (ქცევის წმინდა ექსტროგენური ფორმა) სწავლასთან მსგავსება-განსხვავების საკითხს და ასკვნის რომ სწავლა არის ქცევის სრულიად სპეციფიკური ფორმა და არ შეიძლება გაიგივდეს თამაშთან, შრომასთან თუ ქცევის რომელიმე სხვა ფორმასთან. მას საშუალო ადგილი უჭირავს თამაშსა და შრომას შუა. იგი ის საფეხურია, რომელიც თამაშის შემდეგ უნდა განვლოს ადამიანმა, რათა შრომის უნარით აღჭურვილი

არსის დონემდე ამაღლდეს.

სწავლა ასაკობრივი განვითარების ყოველი საფეხურისთვის ნიშანდობლივი მახასიათებელია, მაგრამ სასკოლო საფეხურზე უბრალოდ დასწავლა კი არ არის, არამედ, დასწავლის გამზრახვით განხორციელებული, მიზანმიმართული ქცევითი აქტივობა, სადაც განსხვავებით სტიქიური და ლატენტური სწავლისაგან, შემეცნებითი მოთხოვნილება და პრობლემური სიტუაცია მონაწილეობს. შესაბამისად, იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მოსწავლეს, ადამიანისათვის სპეციფიკური მახასიათებელი - ცნობისმოყვარეობა (ინტელექტუალური მოთხოვნილება) გადაიზარდოს ცოდნის წყურვილში. აქტივიზირებული სწავლის მოთხოვნილების შეთანადება ასაკობრივ სასწავლო გარემოსთან წარმოადგენს სწავლის განწყობის აღმოცენების საფუძველს. დ. უზნაძე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სასწავლო პროცესის წიაღში ადამიანია სუბიექტიც და ობიექტიც. აღზრდის მიზანი - „ადამიანის ბუნების სასურველ ფორმებში ჩამოსხმა" - საუკეთესოდ მხოლოდ მაშინ განხორციელდება, როდესაც როდესაც აღმზრდელს ხელეწიფება აღსაზრდელის ნება თავის ნებას დაუქვემდებაროს; კი არ აიძულოს სასურველი, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მიზნებით განსაზღვრული ქცევის განხორციელება, არამედ იმგვარად მიიზიდოს, რომ თავისი სურვილები და გრძნობები აღსაზრდელის სურვილებად და გრძნობებად აქციოს. ასეთი რამ კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც პედაგოგი გასცდება ემპირიულ მოცემულობას, მოსწავლის სულიერ არსს ჩასწვდება, საიდუმლოთა საიდუმლოს ამოიკითხავს და მასზე სათანადოდ იმოქმედებს. ეს, ცხადია, რჩეულთა ხვედრია. ამ თვალსაზრისით, დ. უზნაძე პედაგოგიკას ადარებს ხელოვნებას და მიუთითებს, რომ პედაგოგიური ნიჭი, ხელოვნების ნიჭის დარად, განსაზღვრულ ძალას წარმოადგენს, რაც მხოლოდ ზოგიერთ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პედაგოგიური მოღვაწეობის სფერო დახშული უნდა იყოს დანარჩენთათვის. „შესწავლას, მეცადინეობას ის მაინც შეუძლია, რომ ჩვეულებრივი ადამიანი ხელოვნების რომელიმე დარგის ტექნიკას იმდენად გააცნოს, იმდენად შეათვისოს, რომ შემდეგ, თუ ხელოვანი არა, ხელოსანი მაინც გახდეს"(3: 20).

მატერიალურ სამყაროში ყოველი მოვლენა ამბივალენტურია და მისი არსებობის განმაპირობებელი ჰარმონია აუცილებლად გულისხმობს ისეთ ელემენტს ან ელემენტთა სიმრავლეს, რომელთაც მასში დისონანსი შეაქვთ. 1912 წელს ჟურნალში „განათლება" დაიბეჭდა დ. უზნაძის წერილი „აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა", რომელშიც საუბარია აღზრდის პროცესში არსებულ სირთულეთა ნორმალიზაციასა და ექსპერიმენტული პედაგოგიკის მიზნებსა და ამოცანებზე. სააღმზრდელო პრაქტიკა, თავისი რთული და მრავალწახნაგოვანი ბუნებიდან გამომდინარე, ბევრ „ოღროჩოღროს" შეიცავს, მაგრამ არსობრივი მახასიათებელი აღზრდის პროცესისა, რომელსაც დ. უზნაძემ „აღზრდის ძირითადი ტრაგედია" უწოდა, არის აღმზრდელისა და აღსაზრდელის ინტერესთა ფსიქოლოგიური შეუთავსებლობა, ის „უფსკრული და უძირო ზღვა, რომელიც აღმზრდელისა და აღსაზრდელის მისწრაფებათა შორის ჩაგუბებულა და მათ ძირითად გაუგებრობას უდევს საფუძვლად და რომელიც შემდეგნაირად ფორმულისდება: „აღმზრდელი თავის მიზნებს ელტვის და აღსაზრდელი თავისას, პირველი მეორეს ვერა სცნობს და მეორე პირველს. აქ იბადება და იზრდება ერთგვარი გაუგებრობა, რომელიც სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობაში იჩენს თავს და იმ გარდაუვალ ტრაგედიას, რომელიც ყოველ აღზრდაში მარხია, სარჩულად ედება"(7: 435). აღნიშნული პარადოქსულად ჟღერს. უდავოა, რომ აღმზრდელი აღსაზრდელის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული; აღსაზრდელიც, ცხადია, საკუთარი კეთილდღეობისაკენ ილტვის. მიზანი ერთი და იგივეა, თუმცა, ვერავინ გაექცევა იმის აღიარებას, რომ აღმზრდელს მუდმივად უწევს გარკვეული ძალდატანება აღსაზრდელზე, ხოლო აღსაზრდელი მეტ-ნაკლებად მუდმივად ცდილობს არ დაემორჩილოს აღმზრდელის ნებას. ამის მიზეზს დ. უზნაძე „კეთილდღეობის ცნების" რაგვარობაში ხედავს. ე. წ. „აღსაზრდელის კეთილდღეობა" აღმზრდელს და აღსაზრდელს სხვადასხვაგვარად აქვთ წარმოდგენილი. ამ სხვადასხვაობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ სწავლა -აღზრდის პროცესის ფენომენალური ველის მაკონსტრუირებელი ორივე კომპონენტი - აღმზრდელიცა და აღსაზრდელიც - არა მხოლოდ რაოდენობრივ-თვისობრივი, არამედ აქტივობითი თვალსაზრისითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს განსხვავებანი შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

ა) აღზრდის პროცესში აღმზრდელი აქტიურია, მოქმედების სუბიექტია: „მას საქმე აქვს მცირეწლოვანთან, რომელიც მხოლოდ მასალას წარმოადგენს მომავალი ადამიანის შემუშავებისთვის". აღსაზრდელი პასიურია, მოქმედების ობიექტია. ამიტომ „მიზანი აღზრდისა აუცილებლად აღმზრდელის კუთვნილებას შეადგენს, მისი მშვინვიერი და სულიერი წყობის შესაბამისად რეალიზდება.

ბ) აღზრდა „იმთავითვე პიროვნულ ელფერს მოკლებული იყო და მუდამ რთული ერთეულის, ოჯახისა და საზოგადოების ინტერესების სამსახურს ეწეოდა". შესაბამისად, აღმზრდელის აქტივობას სოციალური თვალსაზრისით გაჯერებული პირადი მოსაზრებები უდევს საფუძვლად. აღსაზრდელი კი, მართალია, დაბადებისთანავე ფორმალურად ხდება საზოგადოების, ანუ სოციალური ინსტიტუტის წევრი, მაგრამ შინაგანად ინდივიდია და საკუთარი უნიკალური მახასიათებლები გააჩნია, რომელიც მხოლოდ შესატყვისი ტიპის სასწავლო პროცესს შეიძლება დაექვემდებაროს და არა გარედან მართულ ყოველგვარ პროცესს.

გ) აღმზრდელი აღსაზრდელის მომავალზეა ორიენტირებული. იგი გონების თვალით ჭვრეტს და აფასებს ყველა იმ ნიშან-თვისებას, რომელიც უნდა ჩამოუყალიბოს აღსაზრდელს, ღათა მან მომავალში ღირსეულად შეძლოს ცხოვრება. ცხადია, აღზრდისადმი ასეთი მიდგომა მოითხოვს „მყობადი აწმყოს შესწიროთ, მცირე სიამოვნება დიდს და ხანგრძლივ კეთილდღეობას ანაცვალოთ". აღსაზრდელი კი მხოლოდ აწმყოზეა

ორიენტირებული. მისი კეთილდღეობა „აქ და ამჟამად" ნიშნით არის აღბეჭდილი. მას „მომავალი არ სწამს და მას აწმყოს ვერასგზით ვერ ანაცვალებს. იგი მომენტით ცხოვრობს და მომენტის მონაა. ამიტომ იგი ერთი წუთითაც არავის დაუთმობს თავის აწმყოს მთელი მისი სიამოვნება-არსიამოვნების გრძნობებით და მუდამ სასტიკი მოწინააღმდეგე იქნება ყველა იმისი, ვინც ამ მხრით მის ბუნებრივ სურვილთა განწყობილებას წინ გადაეღობება" (7: 431). ასეთია, აღზრდის ტრაგედიის განმაპირობებელი კონცეპტუალური ტრიადა, ის უნივერსალურ-ფუნდამენტური წინააღმდეგობანი, რომელნიც თავისი არსით ძირეულნი და მუდმივად თანმხლებნი არიან სასწავლო-სააღმზრდელო პროცესისა და არსობრივ დისონანს ქმნიან მისი ჯეროვნად წარმართვის საქმეში.

ერთობ საგულისხმო და საყურადღებოა დ. უზნაძის მოსაზრება სასკოლო აღზრდის ტრაგიზმის შესახებ. გადაიქცა რა სკოლა აღზრდის „აუცილებელ ეტაპად", აღზრდის ტრაგიზმმა მეტი სიმძაფრე შეიძინა, „ძირითად ბოროტებას კიდევ ახალი მიემატა", რაც განაპირობა სკოლის სპეციფიკურმა მახასიათებელმა - მოსწავლეთა მრავალრიცხოვნებამ, წერს დ. უზნაძე. „სკოლის უმთავრესი და აუცილებელი თვისება ის არის, რომ იგი ისეთ ნიმუშს ქმნის, რომელსაც მრავალ პიროვნებას უქვემდებარებს და ამით შესაძლო ეკონომიას აღწევს". „სკოლა უკვე თავისი ძირითადი თვისებით ეწინააღმდეგება სწავლების დროს მოწაფეთა ინდივიდუალურ თვისებათა სახეში მიღების შესაძლებლობას. სჩანს იგი ამ მხრით არ წარმოადგენს ისეთ ნიადაგს, სადაც შესაძლებელია პირად თვისებათა გახარება და გაძლიერება; პირიქით, იგი ჰკლავს ასეთ თვისებებს და ყველა ადამიანს ერთი სახით ჩამოყალიბებას უქადის. ამ მხრით, თანამედროვე შვილის განათლება ფაბრიკის წარმოებას წარმოადგენს, რომელიც უპიროვნო და უსახო ეგზემპლარების წარმოშვებაში ვარჯიშობს"(7: 430). კლასში სადაც ათეულობით მოსწავლე ზის, თითქმის ყოველი სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა, ბუნებრივია, მოსწავლეთა სიმრავლეზე იქნება გათვლილი და არა თითოეულის ინტერესსა და მისწრაფებაზე, რაც კოინციდენციის თეორიიდან გამომდინარე, რადიკალურად ეწინააღმდეგება განვითარების უნივერსალურ კანონიკას და ქმნის აუცილებლობას თითოეულმა მოსწავლემ მიიღოს სწავლა-აღზრდის ის ზოგადი წესი, რომელსაც სკოლა სთავაზობს. ამასთან, დ. უზნაძე სასკოლო აქტივობის ძირითად სირთულედ ასახელებს იმ ფაქტს, რომ სკოლაში, განსხვავებით ყაზარმისაგან, სადაც ჯარისკაცთა სიმრავლე ერთ სუბიექტად აღიქმება და ოფიცერი ისე ეპყრობა ათას ჯარისკაცს, როგორც ერთს, მოსწავლეთა მრავალრიცხოვნება ერთ მთლიანობას არ წარმოადგენს. სე რომ ყოფილიყო, სირთულეც არ იარსებებდა; მასწავლებელი ყველას ისე მოექცეოდა, როგორც ერთს. სკოლაში, „ბევრთან გვაქვს საქმე, მაგრამ ყველასთან ერთბაშად კი არა, სათითაოდ"(7: 433).

ის შედეგები, რომლებიც თან სდევს ზემოთ განხილულ პრობლემატიკას, ცხადია, ბადებს „გზა ხსნისას" ძებნის აუცილებლობას. დ. უზნაძის აზრით, აღზრდასთან დაკავშირებული სირთულეებისა და წინააღმდეგობების რამდენადმე მოწესრიგება(და არა სამუდამოდ მოშთობა) შეუძლია მხოლოდ ექსპერიმენტულ პედაგოგიკას, ანუ ფსიქოლოგიურ საფუძვლებზე დამყარებულ პედაგოგიკას, თუმცაღა, მიუთითებს იმის შესახებაც, რომ აღმზრდელის მიზანთა სოციალური ხასიათი და აღსაზრდელის ინტერესთა პიროვნულობა თავისთავად ბადებს კოლიზიას და იგი არსებითი ხასიათის, უნივერსალურ-ფუნდამენტალური წინააღმდეგობაა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესისათვის და შესაბამისად, მისი მთლიანად აღმოფხვრა ყოვლად შეუძლებელი და წარმოუდგენელია, მაგრამ რამდენადმე მაინც მიღწევადი შეიძლება იყოს „ექსპერიმენტული პედაგოგიკის ხელით დროებითი მოლბობა და მით ტკივილების მოტკბობა"(7: 437). „ბავშვის სულიერი ცხოვრების გაცნობა, განსაკუთრებით მისი ბუნებრივ ინტერესთა განვითარება ფართო გზას მისცემს ყოვლის აღმზრდელობით გავლენას მისი სულის წიაღში და მით საგრძნობლად შეასუსტებს იმ ტრაგიკული ნაკადის სიშმაგეს, რომელიც აღზრდის ნიადაგზე იბადება და მიქროლავს. ექსპერიმენტული პედაგოგიკა კი საშუალებას მოგვცემს უტკივილოდ და შეუგრძნობლად შეუფარდოთ ჩვენი სოციალური ხასიათის მიზნები ბავშვის სულიერი საუნჯის მასალას, მის ბუნებრივ განვითარების გზას"(7: 430). „ნამდვილ პედაგოგიკას მხოლოდ ერთი გზა გააჩნია, რომელზე სრბოლაც მას თავისი მიზნის განხორციელებამდე მიიყვანს. ეს გზა თვით ბავშვის ბუნების ნათელყოფაა, მისი ფსიქოლოგიის ცოდნაა. მხოლოდ ასეთ შემეცნებას, ასეთ ცოდნას შემეცნებას, ასეთ ცოდნას შეუძლია იმ კანონთა და ნორმათა ნათელყოფა, რომელთაც უნდა ექვემდებარებოდეს აღმზრდელი, თუ სურს, რომ მისი მოქმედება გონიერს ნიადაგზე იყოს დამდგარი. ამრიგად, ნამდვილი პედაგოგიკის ნიადაგსა და საფუძველს ბავშვის ფსიქოლოგიის შემეცნება უნდა შეადგენდეს"(6: 55).

უზნაძის მიხედვით, ბავშვის ფსიქიკა, როგორც პედაგოგიური ზემოქმედების ობიექტი, არაა ჩვეულებრივი ნივთიერი საგანი,რომელსაც ჩვენი მიზნის შესატყვისად ჩვენთვის სასურველ სახესა და ფორმას მივცემთ. ფსიქიკას განვითარების თავისი გზა და კანონზომიერება აქვს და მისი მართვაც ამ უკანასკნელთა საფუძველზე უნდა ხდებოდეს. ყოველი ბავშვი სრულიად უნიკალური ინდივიდუალობაა და თითოეული მათგანის სწავლა-აღზრდა სწორედ მის ინდივიდუალურ თავისებურებებს და ასაკობრივ საფეხურს უნდა ითვალისწინებდეს. პედაგოგს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საკმარისი ფსიქოლოგიური განათლება, რათა ფსიქოლოგიის ზღვა მასალაში შეძლოს იმის დანახვა, რაც მისთვის ნამდვილად საჭირო და გამოსადეგია. „დღეს-დღეობით კი, სამწუხაროდ, პედაგოგიკა და პედაგოგი ამ მხრივ ჭეშმარიტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება... მან არ იცის ფსიქოლოგია და მაშასადამე, ვერც გამოიყენებს მას"(9: 351). უნდა ითქვას, რომ დიდი მეცნიერის ეს წუხილი დღესაც აქტუალურია. ერთის მხრივ, დ. უზნაძე მოითხოვდა, რომ აღმზრდელს სცოდნოდა და პედაგოგიურ პროცესში გაეთვალისწინებინა აღსაზრდელის სულიერი სამყარო და ფსიქიკური ცხოვრება, მეორეს მხრივ კი წინააღდეგი

იყო იმის, რომ აღმზრდელი ბრმად მიჰყოლოდა ბავშვის ბუნებას და მხოლოდ ბავშვის სურვილებს დაჰყრდნობოდა, რამეთუ აღმზრდელი ვალდებულია მომავლის საზოგადოებრივი იდეალების მიხედვით აღზარდოს ბავშვი: „ყოველი აღზრდა მომავალს ემსახურება, ამიტომ იგი, ზნეობრივ სფეროში მაინც დღევანდელი მომენტით კი არ ხელმძღვანელობს, მას სახეში მუდამ მომავალი აქვს“(7: 437). მომავალი თაობის აღზრდა მხოლოდ აწმყოთი კი არ განისაზღვრება, არამედ მომავლის იდეალებით, რომლებიც ახალი სკოლის ძირითადი ამოცანებიდან მომდინარეობენ.

ის ფაქტი, რომ სასკოლო ასაკში მოზარდის ქცევის წამყვან ფორმას სწავლა წარმოადგენს და ამისთვის საგანგებო დაწესებულება - სკოლაა შექმნილი, „სრულიადაც არ ათავისუფლებს ოჯახს სასკოლო ასაკის ბავშვზე ზრუნვისაგან“(9: 420). რაოდენ დიდი მისიაც არ უნდა იტვირთოს და ღირსეულად ზიდოს სკოლამ, ოჯახი ყოველთვის იყო და იქნება აღზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. თუკი ვინმეს სრულად მიუწვდება ხელი აღმზრდელობითი ზეგავლენა მოახდინოს ბავშვის ქცევის პერმანენტულ სრულყოფაზე, ჩვევათა რაციონალიზაციასა და პიროვნულ ფორმირებაზე, ეს უპირველესად მშობელთა შესახებ შეიძლება ითქვას. აღზრდა, ანუ მიზანმიმართული და რაციონალური ჩარევა ბავშვის ცხოვრებაში, მისი სიცოცხლის პირველივე დღეებიდან უნდა წარიმართოს, რაც მხოლოდ ოჯახში, მშობლიური კერის გარშემოა შესაძლებელი. ქადაგებაში „სიტყვა განზრდისათვის შვილებისა“ გაბრიელ ეპისკოპოსი საუბრობს ოჯახში მიღებული პირველი ცნებებისა და ჩვეულებების გავლენის შესახებ: „პირველთა მაგალითთა, რომელთა იგი ჰხედავს გარემოს თვისსა, აქვსთ უდიდესი მნიშვნელობა მრთელსა მისსა სიცოცხლესა შინა. ყოველი მომავალი ცხოვრება მცირე წლოვანისა ყრმისა, მისი ყოფა-ქცევა, მისი ხასიათი და ერთის მხრით, თითქმის სულის ცხოვნებაც დამოკიდებული არის მას ზედა, თუ რა სახით გაიზარდა იგი, რა შეაგონეს და ასწავლეს მას და რას მიაჩვიეს იგი მშობელთა სიყმაწვილეშივე“ (12: 458). გ. ქიქოძეს შეცდომად მიჩნია მშობელთა მიერ გარეგანი ზრდილობის აქცენტირება და მოუწოდებს მათ უფლის სწავლა-მოძღვრებით შვილების აღზრდისაკენ, „მაშინ გარეგანი ზრდილობა თავისთავად მოუვა“. იგი განსაკუთრებით ღირებულად მიიჩნევს აღსაზრდელში სიმართლისა და სიბეჯითის ფორმირებას. „პირველი და უწინარესი ყოველთა ცოდვა, რომელიც გაჩნდება მცირეწლოვანის გულში, არის სიცრუე, მოტყუება, მზაკვარება. თუ არ ცადე და არ აღმოფხვერი მისი გულიდან ეს ცოდვა, იგი გარდაექცევა მას ჩვეულებად და შეიქმნება წყაროდ ყოველთა მისთა მომავალთა ცოდვათა... მეორედ ეცადე და ყოველი ღონისძიება იხმარე, რომ შენი შვილი მიეჩვიოს ყოველს საქმეში ბეჯითობასა, ესე იგი, ყოველი თვისი საქმე აღასრულოს ხალისით და კეთილ-სინიდისით ბოლომდის მიიყვანოს“ (12: 460). ეს ორი მახასიათებელია ქიქოძისთვის „საფუძველნი ვითარცა ამ სოფლის ცხოვრებისა, ეგრეძვე მომავალის სოფლის ცხოვნებისა, მოპოვნებისა“ (12: 461). ოჯახურ გარემოში აზრდის ძირითად მეთოდად მიიჩნევს მშობელთა პირად მაგალითს და არა სიტყვიერ დარიგება-შეგონებებს. „ბავშვს ჭკუა თვალში აქვს: რასაც ხედავს, იმას მიეჩვევა; რაც ესმის, იმას დაიხსოვნებს. მაშასადამე, ამაო იქნება სიტყვიერი სწავლა და დარიგება მშობლისა, და ეგრედვე მასწავლებლისა, უკეთუ იგი ენით ერთს ეტყვის და საქმეს კი სხვას აჩვენებს“ (11: 364). „მცირეწლოვანნი ისე სიტყვიერის დარიგებით ვერას ისწავლიან, როგორც მაგალითით“ (1: 461).

უზნაძის აზრით, ოჯახის წინაშე დგას მეტად პასუხსაგები ამოცანა, რომელიც ერთნაირად ეხება, როგორც სკოლამდელი, ისე მთელი სასკოლო ასაკის ხანას. მშობელმა თვალყური უნდა ადევნოს: როგორ მეცადინეობს ბავშვი, რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებს საშინაო დავალებას და რა წესით ამზადებს გაკვეთილს, როგორ ახდენს ამ მიმართულებით თავისი დროისა და ენერგიის გადანაწილებას, როგორ აწესრიგებს შრომის პროცესს, რომ იგი მაქსიმალურად ეკონომიური და ნაყოფიერი იყოს. ცხადია, სწავლა არ წარმოადგენს ბავშვის განვითარების ერთადერთ ფაქტორს. მშობელთა განსაკუთრებული მეთვალყურეობა და აღმზრდელობითი რაციონალიზაცია სჭირდება ქცევის სხვა ფორმებსაც: თავის მოვლა, დიეტეტიკა, თამაში, დასვენება, სპორტი და ა.შ. დ. უზნაძის შეკითხვაზე - ასრულებს თუ არა შვილთან მიმართებაში თავის როლს თანამედროვე ოჯახი? - პასუხი დღესაც ცალსახაა, ნაკლებად. მიზეზად დასახელებული თანამედროვე ცხოვრების ტემპი და სტილი, ცხადია ანგარიშგასაწევია, მაგრამ არანაკლებ საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მშობელს არა აქვთ სათანადო ინფორმაცია ამ მიმართულებით. ერთადერთი გზა, რომელსაც მისდევს საკუთარი შვილების აღზრდისას, არის „ბუნებრივი საღი მოსაზრებები და ძველი, საუკუნეებით განმტკიცებული ტრადიციის გზა... მან არ იცის, თუ როგორ უნდა მოიქცეს უკეთ“(9: 425).

ერთობ საინტერესოა გ. ქიქოძისა და დ. უზნაძის მოსაზრება განათლებისადმი ქართველი ერის „საკვირველ ლტოლვილებასთან“ დაკავშირებით. მათი აზრით, ე.წ. ინტელექტუალიზმის სენით შეპყრობილი ქართული საზოგადოების მსოფლმხედველობრივი პრიორიტეტია „ყოველმხრივ უზრუნველი ცხოვრება“ და „დიპლომით აღჭურვილობა“: „ვაბარებთ ბავშვებს სკოლაში და მთელი ჩვენი არსების მოუთმენლობით ველით იმ მომენტს, როდესაც იგი დიპლომით აღჭურვილი უკან დაგვიბრუნდება. იმას კი არ ვკითხულობთ და მისთვის კი არ გვცხელა, თუ სხვა რა მოიტანა მან თან იმ დიპლომთან ერთად“ (9-15). სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში სწავლობენ იმიტომ, რომ მოიპოვონ უზრუნველი ყოფითი მდგომარეობა; ცხადია, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ ეს დაბალი მიზანია სწავლისა, უმაღლეს მიზანს კი „ზნეობითი განვითარება და გაუმჯობესება კაცისა“ წარმოადენს. შესაბამისად, „განათლება მარტო მაშინ არის კარგი და მხოლოდ იმისთანა განათლება არის კარგი, რომელიც აღამაღლებს და გააკეთილებს კაცსა ყოველის მხრით და არა მხოლოდ ერთსა, თუ გინდ უმაღლესსა მისსა ბუნების მხარესა. სწავლამ, განათლებამ უნდა გააუმჯობესოს ყოველნი საქმენი ჩვენნი, მთელი ჩვენი ცხოვრება. რა სასარგებლოა, როდესაც კაცის

გონება სავსეა მრავალგვარი ცოდნითა, მისი საქმე და ცხოვრება სრულებით არ განსხვავდება უსწავლელ კაცთა საქმისა და ცხოვრებისაგან“ (12: 402).

სწავლა-განათლებისადმი მატერიალისტური, ცალკეული სუბიექტივისტური გამოვლინებები, მხოლოდ ყოფითი უზრუნველყოფისკენ სწრაფვა და სოლიდური კარიერის ამბიცია ანგრევს საზოგადოების სულიერ-მშვინვიერ წონასწორობას და წარმოშობს მთელ რიგ შეუსაბამობებს. იბლოკება განვითარების ტენდენცია, რომელიც თანშობილი შემეცნებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება და, ცხადია, განათლების სისტემის სრულფასოვნად მოდელირებასა და სასწავლო პროცესის ეფექტურობაზე ზრუნვა ზედმეტი ხდება. „ცოდნა არის მხოლოდ გზა, საშუალება უმაღლესი მიზნისადმი მიმყვანებელი და იმდენად უნდა დაფასდეს იგი, რამდენადაც ეხმარება კაცს ამ მიზნის მისაღწევად“(11: 26). ჭეშმარიტი განათლება სინათლეში საკუთარი ნებით შეღწევის თავისუფალი აქტითაა შესაძლებელი და არა ძალდატანებით. ბავშვს არ შესწევს უნარი ორიენტირებული იყოს სწავლის პროცესის თანამდევ ყოფით შედეგზე. მან აქ და ამჟამად უნდა შეიგრძნოს ის დადებითი მახასიათებელი, რომელიც სასწავლო აქტივობას გააჩნია, რათა შემეცნებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ბუნებრივი გზით წარიმართოს. აღნიშნული პერსპექტივა მართვადია, მაგრამ არა, როგორც თავისთავად არსებული რეალობა, არამედ სწორი საზოგადოებრივი ორიენტირების არსებობით აღსრულებადი მოცემულობა.

## დასკვნა

დ. უზნაძისა და გ. ქიქოძის მიხედვით, ის ძირითადი პრინციპი, რომელზეც უნდა აიგოს განათლების სისტემა, არის სწავლა-აღზრდის ფენომენისადმი ჯანსაღი მიდგომა, კერძოდ, მისი მნიშვნელობისა და საჭიროების არსის წვდომა და ამასთანავე, სრულყოფისთვის საჭირო ატმოსფეროს შექმნის აუცილებლობა. თუ როგორ უნდა წარიმართოს აღნიშნული პროცესი, ამის გზამკვლევად გამოდგება მათივე ზოგადპედაგოგიური კონცეფცია, როგორც ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე აგებულ შეხედულებათა სისტემა, რომელიც მოიცავს თითქმის ყველა ძირითადი პედაგოგიური ცნების განსაზღვრებასა და ანალიზს. ქართულმა საგანმანათლებლო სივრცემ ჯეროვანი პატივი უნდა მიაგოს და ღირსეული ადგილი დაუმკვიდროს გ. ქიქოძისა და დ. უზნაძის პედაგოგიურ დებულებებს, როგორც განვითარების პროცესის დიალექტიკის ქართულ ყოფაზე მორგებული ტერმინებით და არგუმენტებით ამხსნელს, რათა შესაძლებელი გახდეს არა მარტო სასწავლო მასალის მიწოდება-ათვისების მრავალმხრივი პროცესის სწორად წარმართვა, არამედ უნარ-ჩვევათა გამომუშავებისა და შემდგომში რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფაც.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგებაშვილი, ი. 1990: რჩეული თხზულებანი, ტ. – 2, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“;
2. ბოკუჩავა, ნ. 2017: დიმიტრი უზნაძის ზოგადპედაგოგიური კონცეფცია, თბილისი, გამომცემლობა „ივერიონი“;
3. ბოკუჩავა, ნ. 2021: დიმიტრი უზნაძე რელიგიური აღზრდის შესახებ, განათლება №4, 135-139 გვ.;
4. ნიკოლეიშვილი, ა. 1990: გაბრიელ ეპისკოპოსი, „მერანი“, თბილისი;
5. უზნაძე, დ. 1910: აღზრდის მიზნები, გაზეთი დროება, №2, №5, №6, №8;
6. უზნაძე დ. 1912: ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი, ქუთაისი, სტამბა „ძმობა“;
7. უზნაძე დ., „აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტული პედაგოგიკა“, ჟურნალი „განათლება“, N6, 1912, 428-438 გვ;
8. უზნაძე, დ. 1933: პედოლოგია, სახელგამის 1-ლი სტამბა;
9. უზნაძე დ. 2005: პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი, გამომცემლობა „კოლორი“;
10. ტაბიძე, ო., ბუაჩიძე, თ., გოგიბერიშვილი, ვ. 1993: შვილი, სისხლი და ხორცი ქართველი ერისა (შესავალი წერილი გაბრიელ ქიქოძის წიგნისთვის ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები), თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გამოცემა, 6 გვ;
11. ქიქოძე, გ., 1989: ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ტომი I, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;
12. ქიქოძე, გ., 1989: ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ტომი II, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
13. ქიქოძე, გ., 1993: ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გამოცემა.

# შიდა აუდიტის ხერხემალი: დამოუკიდებლობა და ობიექტურობა

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.04.10

**აბსტრაქტი**

21-ე საუკუნეში თანდათანობით მზარდია კონტროლის ფუნქციების მნიშვნელობა ნებისმიერი ბიზნეს ერთეულისათვის. შიდა აუდიტი წარმოადგენს კონტროლის ერთ-ერთ საშუალებას. აქტუალური ხდება შიდა აუდიტის დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის საკითხი, რომლის ხარისხსა და დონეზე პირდაპირ არის დამოკიდებული მისი ეფექტური მუშაობა. შიდა აუდიტის საქმიანობა უნდა იყოს დამოუკიდებელი, ხოლო შიდა აუდიტორები უნდა იყვნენ ობიექტურები თავიანთი სამუშაოს განხორციელებისას. სიტუაციები, რომლებმაც შეიძლება საშიშროება შეუქმნას შიდა აუდიტორების ობიექტურობას შეუძლიათ შექმნან ცალკეულმა აქციონერებმა, აღმასრულებელმა ორგანოებმა და მაღალი რანგის მენეჯერებმა. შიდა აუდიტორის ობიექტურობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მის პროფესიონალურ მომზადებასა და უნარზე გაუძლოს ფსიქოლოგიურ დატვირთულობას.

**საკვანძო სიტყვები:** შიდა აუდიტი, დამოუკიდებლობა და ობიექტურობა, შიდა აუდიტის სამსახური.



**ლაშა ხოფერია**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
https://orcid.org/0009-0008-8914-2190
E-mail: Lasha.Khoperia@gmail.com

# INTERNAL AUDIT BACKBONE: INDEPENDENCE AND OBJECTIVITY

**Lasha Khopeia**
Doctoral student of Technical University of Georgia
https://orcid.org/0009-0008-8914-2190
E-mail: Lasha.Khoperia@gmail.com

**ABSTACT**

In the 21st century, the importance of control functions for any business unit is gradually increasing. Internal audit is one of the means of control. The issue of the independence and objectivity of the internal audit becomes relevant, effective work directly depends on its quality and level. Internal audit activities must be independent, and internal auditors must be objective in performing their work. Situations that may jeopardize the objectivity of internal auditors can be created by individual shareholders, executive bodies, and senior managers. The objectivity of the internal auditor significantly depends on his professional readiness and ability to withstand psychological stress.

**Keywords:** internal audit, independence and objectivity, internal audit service.

## ძირითადი ტექსტი

21-ე საუკუნეში თანდათანობით მზარდია კონტროლის ფუნციების მნიშვნელობა ნებისმიერი ბიზნეს ერთეულისათვის, ნებისმიერი საქმიანობისა თუ საკუთრების ფორმის მიუხედავად. სწორედ შიდა აუდიტი წარმოადგენს კონტროლის ერთ-ერთ საშუალებას. ამ თვალსაზრისით ბევრი გაკეთდა უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში. რაც მთავრია, შეიქმნა სამართლებრივი საფუძვლები როგორც საჯარო სექტორში, ასევე, კერძო სექტორში.

ორ ათეულზე მეტი წელია, რაც სხვადასხვა ორგანიზაციებში, საწარმოებში, საზოგადოებებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებში ყალიბდება შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისად, მზარდია მოთხოვნაც იმ საკადრო პოტენციალზე, რომელსაც გააჩნია სათანადო უნარები, აქვს სათანადო განათლება და კვალიფიკაცია, რომ გაართვან თავი იმ ფუნქციების შესრულებას, რასაც შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები და ადგილობრივი რეგულაციები ითხოვენ.

აღნიშნული რაოდენობრივი გარდაქმნები, დღის წესრიგში აყენებს ხარისხობრივი განვითარების აუცილებლობას და ამისთვის საჭირო მიმართულებების, ნაბიჯების

გაძლიერებას. მოკლედ რომ ვთქვათ, მეტად აქტუალური ხდება შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის საკითხი, რომლის ხარისხსა და დონეზე პირდაპირ არის დამოკიდებული საკუთრივ შიდა აუდიტის ეფექტური მუშაობა, თანამშრომელთა ობიექტური და კეთილსინდისიერი ქცევა, წარმოებული ანგარიშგების შეფასებითი მონაცემები, ბევრის სხვა გარემობა და რა თქმა უნდა შიდა აუდიტის მომავალი განვითარების სტრატეგია და შეიძლება ითქვას, საერთოდ, მომვალიც.

დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი ერთბაშად და იოლად ვერ მიიღწევა და ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია ევროპული ქვეყნების გამოცდილება. შესაბამისად, სიღრმისეულ შესწავლას იმსახურებს ის მოდელები და პროექტები, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და/ან დასრულდა სასურველი შედეგებით სხვადასხვა ქვეყნების მაგალითების მიხედვით. ამ პრობლემატიკაში, განსაკუთრებული ადგილი უკავია შიდა აუდიტის ინსტიტუტს, (The Institute of Internal Auditors ) რომლის მიერაც შემუშავდა საერთაშორისო სტანდარტები, შიდა აუდიტორთა ქცევის კოდექსი და პრინციპები, მეთოდოლოგია, სახელმძღვანელო გზამკვლევები ყველასთვის მათთვის, ვისაც უნდა რომ ერქვას შიდა აუდიტორი, სრულყოფილად და კეთილსინდისიერად შეასრულოს შიდა აუდიტორის მოვალეობები, ვისთვისაც მნიშვნელოვანია პროფესიონალური ღირსება.

მიმდინარე მომენტისთვის, რეალობისა და სინამდვილის გათვალისწინებით, შიდა აუდიტორთა დამოუკიდებლობის ხარისხი რბილად, რომ ვთქვათ შეზღუდულია, ცალკეულ შემთხვევებში აღნიშნული შეზღუდულობის გამომწვევი მიზეზები საგრძნობლად უშლის ხელს შიდა აუდიტორთა ყოველდღიურ საქმიანობასა თუ სამომავლო განვითარების ღონისძიებების შემუშავებას. ეს განსაკუთრებით ვლინდება და მგრძნობიარეა საჯარო სექტორტში. ჭირს დამოუკიდებელი შეფასების გაკეთება, როდესაც ხარ დაქირავებული იმ პირის მიერ, ვისი საქმიანობის შესწავლა/შეფასებას ანხორციელებ. უმთავრესია, შიდა აუდიტის სამსახური, როგორც სტრუქტურული ერთეული და თითოეული შიდა აუდიტორი, როგორც ცალკეული თანამშრომელი, განთავისუფლდეს გავლენებისგან, მიიღონ ფაქტიური დამოუკიდებლობა. ამ კუთხით ბევრი საკითხია გადასაწყვეტი, მათ შორის განსაკუთრებით მწვავეა: სტრუქტურულ დაქვემდებარება, სამსახურში მიღებისა და დათხოვნის წესები, შიდა აუდიტორული საქმიანობის განხორციელებისათვის საკუთარი ბიუჯეტის შემუშავებისა და განკარვის შესაძლებლობა, კადრების სწავლებისა და უწყვეტი განვითარების შესაძლებლობა, აუდიტირების პროცესის, ანგარიშვალდებულებისა და საქმიანობის შეფასების ინტერესთა კონფლიქტი და სხვა.

საქართველოს მაგალითზე, გასული ორი ათეული წლის განმავლობაში, ყველაზე მთავარ და გამოკვეთილ პრობლემად ჩამოყალიბდა შიდა აუდიტის დამოუკიდებლობა. პრობლემის არსის უკეთ გაგებისათვის, ადეკვატური იქნება ამ კუთხით არსებული საერთაშორისო სტანდარტის ჩარჩო პირობების თვალსაჩინოდ წარმოდეგნა:

ხარისხობრივი მახასიათებელის სტანდარტი 1100. „დამოუკიდებლობა და ობიექტურობა“

შიდა აუდიტის საქმიანობა უნდა იყოს დამოუკიდებელი, ხოლო შიდა აუდიტორები უნდა იყვნენ ობიექტურები თავიანთი სამუშაოს განხორციელებისას. სტანდარტის თანახმად დამოუკიდებლობა არის: მოთხოვნებისგან (პირობებისგან) თავისუფლება, რომელიც საფრთხეს უქმნის შიდა აუდიტორული პასუხისმგებლობების მიუკერძოებულ შესრულებას. შიდა აუდიტის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს პირდაპირი და შეუზღუდავი წვდომა უმაღლეს ხელმღვანელობასთან და საბჭოსთან. ასევე, განსაზღვრულია ობიექტურობა, ანუ: შიდა აუდიტორებს აქვთ შესაძლებლობა გასწიონ მომსახურება, ისე რომ თავად სჯერავთ თავიანთი სამუშაო პროდუქტის და არ დაუშვებენ ხარისხთან დაკავშირებული კომპრომისებს.

სტანდარტი დამოუკიდებლობას განიხილავს ორ ჭრილში: ორგანიზაციული დამოუკიდებლობა და პიროვნული დამოუკიდებლობა. ორგანიზაციული დამოუკიდებლობა ეფექტურად მიიღწევა, როდესაც: შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია არა აღმასრულებელი მენეჯმენტის, (რომელმაც დაიქირავა და რომელიც აკონტროლებს) არამედ საბჭოს (სამეთვალყურეო საბჭო, აუდიტის კომიტეტი და სხვა) წინაშე, რისი მაგალითებია: დებულების დამტკიცება, რისკზე დაფუძნებული გეგმის დამტკიცება, ბიუჯეტის დამტკიცება, ინფორმაციის მიღება გეგმის შესრულების შესახებ, შიდა აუდიტის ხელმძღვანელის დანიშვნა/განთავისუფლების შეთანხმება, წახალისების შეთანხმება, ინფორმაციის მიღება სამუშაოსა და რესურსებთან დაკავშირებით არასათანადო შეზღუდვების არსებობის გამოვლენის მიზნით. რაც შეეხება, პიროვნულ დამოუკიდებლობას, აღნიშნული სტანდარტი შემდეგნაირად აყალიბებს ამ კუთხით მოთხოვნებს: მიუკერძოებული და უანგარო პოზიცია, ინტერესთა კონფლიქტისთვის თავის არიდება. ინტერსეთა კონფლიქტმა შესაძლოა წარმოშვას არასათანადო აღქმა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შიდა აუდიტორის, ფუნქციისა და პროფესიის მიმართ ნდობის დაკარგვა.

შიდა აუდიტის პრობლემებზე საუბრის დაწყება მისი რეალური დამოუკიდებლობის ხარისხის განხილვით, უდავოდ სამართლიანია, ვინაიდან არსებობისა და საქმიანობის შეფასების ეს ხარისხობრივი კომპონენტი, წარმოადგენს აქილევსის ქუსლს, შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულებისთვის. ეს მდგომარეობა თვალსაჩინოდ ვლინდება, როგორც სტანდარტის მოთხოვნათა შესრულების კუთხით, ასევე, იმ ატმოსფეროს გათვითცნობიერებით , რაც შექმნილია თითოეულ ორგანიზაციაში. აღნიშნული პრობლემა უფრო მწვავედ დგას საჯარო სექტორში, ვინაიდან იქ საერთოდ გამორიცხულია მმართველობის ისეთი რგოლი, როგორიცაა საბჭო (სამეთვალყურეო საბჭო). კერძო სექტორში, შედარებით უზრუნველყოფილია შიდა აუდიტის დამოუკიდებლობა, ვინაიდან აქ გვაქვს საბჭოები და შიდა აუდიტის ფაქტობრივი დამოუკიდებლობა გაძლიერებულია პრუდენციალური მოპთხოვნებით, მაგალითად, საქართველოს საბანკო სექტორში, საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებით მოთხოვნილია აუდიტის კომიტეტტების შექმნა და მათი შემდგომი სათანადო ფუნქციონირება.

გამომწვევ მიზეზებს თუ ჩავუღრმავდებით, დამოუკიდებლობის შემზღუდავი ძირითადი გარემოებები, შესაძლებელია დავაჯგუფოთ რამოდენიმე ნაწილად:

პირველი ჯგუფი, შემზღუდავი გარემოებები, რომლებიც მოდის უმაღლესი აღმასრულებელი მენეჯმენტისგან;

მეორე ჯგუფი, შემზღუდავი გარემოებები, რომლებიც მოდის ორგანიზაციის ინსაიდერებისგან;

და მესამე ჯგუფი, შემზღუდავი გარემოებები, რომლებიც გამომდინარეობს ზოგადად იმ ვითარებით, რომ ორგანიზაციაში არ არის დანერგილი კორპორაციული მართვის პრინციპები;

მიუხედავად ხელისშემშლელი ფაქტორის კუთვნილებისა ამა თუ იმ ჯგუფზე, სხვადასხვა სიტუაციები ძალიან იდენტურია ერთმანეთის, ანუ შიდა აუდიტორული პროცესების განხორციელებისას, ანგარიშის ფორმირებისას, შიდა აუდიტორებს ექმნებათ წინაღობები, რადგან საკითხები ეხება დირექტორატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ინსაიდერებთან დაკავშირებულ აქტივობებს, ორგანიზაციის სხვადასხვა რგოლის ფუნქციონალის ეფექტურობას და შესაბამისად, აღნიშნული წინაღოებები ხან არჩევანის საშვალებას არ უტოვებენ შიდა აუდიტორებს, ხან შიდა აუდიტორებს უწევთ არჩევანის გაკეთება კონკრეტული პიროვნებების წყენას, გაღიზიანებას, დაპირისპირებასა და მიუკერძოებელ, უანგარო პოზიციას შორის. სურათი ძალიან მარტივია აღსაქმელად: შიდა აუდიტორებს უწევთ ხელმღვანელი მენეჯერების, მესაკუთრეების, მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ წასვლა, და ეს იმ შემთხვევებშიც, როდესაც მათი სამსახურებრივი დაქირავება/დათხოვნა ამ პირების ხელშია ან ისინი აკონტროლებენ ამ პროცესებს.

სტანდარტი ორგანიზაციული დამოუკიდებლობის დონის იდენტიფიკაციისათვის საზღვრავს 7 კრიტერიუმს. თუ თითოეულ მათგანს თანაბრად შევწონით, გამოვა რომ თითოეულის წონაა 0,143. ეხლა ვნახოთ რა მდგომარეობა გვაქვს ციფრულ გამოსახულებაში ამ კუთხით, უმეტეს ორგანიზაციებში.

**კრიტერიუმი 1** - სამსახურის დებულების დამტკიცება საბჭოს მიერ. ამ მხრივ კერძო სექტორში დაცულია მოთხოვნა, საჯარო სექტორში, საბჭოს რგოლის არ არსებობის გამო, ეს კრიტერიუმი შეუსრულებელია.

**კრიტერიუმი 2** - რისკზე დაფუძნებული გეგმის დამტკიცება. ამ მხრივ კერძო სექტორში დაცულია მოთხოვნა, საჯარო სექტორში, საბჭოს რგოლის არ არსებობის გამო, ეს კრიტერიუმი შეუსრულებელია.

**კრიტერიუმი 3** - ბიუჯეტის დამტკიცება. ამ მხრივ კერძო სექტორში დაცულია მოთხოვნა, საჯარო სექტორში, საბჭოს რგოლის არ არსებობის გამო, ეს კრიტერიუმი შეუსრულებელია. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ დიდ და ძლიერ კერძო ორგანიზაციებს შუძლიათ თავს უფლება მისცენ ჰქონდეთ ბიუჯეტი ჩაშლილი შიდა აუდიტის მოთხოვნების ჭრილში, რაც უმეტესობა კომპანიებისთვის ეს მიუღწევად ფუფუნებას წარმოადგენს.

**კრიტერიუმი 4** - ინფორმაციის მიღება გეგმის შესრულების შესახებ. ამ მხრივ კერძო სექტორში დაცულია მოთხოვნა, საჯარო სექტორში, საბჭოს რგოლის არ არსებობის გამო, ეს კრიტერიუმი შეუსრულებელია.

**კრიტერიუმი 5** - შიდა აუდიტის ხელმძღვანელის დანიშვნა/განთავისუფლება. ამ მხრივ კერძო სექტორში დაცულია მოთხოვნა, საჯარო სექტორში, საბჭოს რგოლის არ არსებობის გამო, ეს კრიტერიუმი შეუსრულებელია. თუმცა ამ მხრივ უნდა ითქვას ის გარემოება, რომ ცალკეულ შემთხვევებში გასათვალისწინებელია აღმასრულებელი მენეჯმენტის, განსაკუთრებით გენერალური დირექტორის ავტორიტეტი და მისი გავლენა კომპანიაზე, ანუ შესაძლებელია ამ საკადრო პროცესების დასკვნითმა გადაწყვეტილებებმა გაიაროს გენერალური დირექტორის არაოფიციალური ვიზირებით.

**კრიტერიუმი 6** - შიდა აუდიტის ხელმძღვანელის წახალისების შეთანხმება. აქ და მე-5 კრიტერიუმთან მიმართებაში კომენტარი იდენტურია.

**კრიტერიუმი 7** - ინფორმაციის მიღება სამუშაოსა და რესურსებთან დაკავშირებით არასათანადო შეზღუდვების არსებობის გამოვლენის მიზნით. სამწუხაროდ, პრაქტიკულად ასეთი სახის ინფორმირების შემთხვევები იშვიათია და თუ არის ძირითადად ტექნიკური ხასიათის დროებითი შეფერხების მაგალითებია.

სტანდარტთან მიმართებაში, დამოუკიდებლობის სრულყოფის დონე საჯარო სექტორში ფაქტიურად ნულოვან დონეზეა, ხოლო კერძო სექტორში დამოუკიდებლობის ხარისხობრივი მაჩვენებელი მოთხოვნილ კრიტერიუმენთან მიმართებაში, დაახლოებით 70%-ის ნიშნულზე დგას.

დამოუკიდებლობა შიდა აუდიტის სამსახურისა, როგორც ცალკე ინსტიტუტისა და თითოეული შიდა აუდიტორისა უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა, ვინაიდან მისი (დამოუკიდებლობის ხარისხი) სრულფასოვნებიდან გამომდინარებს დანარჩენი სტანდარტების დაცვა, ჩატარებული აუდიტორული პროცედურების ეფექტურობა, და მთლიანობაში ნდობა შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულისადმი. სამუშაოს შესარულებისას შიდა აუდიტორი მაქსიმალურად უნდა განიცდიდეს საბოლოო პროდუქტის - აუდიტის ანგარიშის - სარგებლიანობას, როგორც დამატებით ღირებულების შექმნის შესაძლებლობას კომპანიის მიზნების მიღწევის პროცესში და არ უნდა განიცდიდეს რაიმე სახის მოსალოდნელ თუ მოულოდნელ ზეგავლენას რომელიმე დაინტერესებული მხარისგან, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ შიდა აუდიტორი, თავისი საქმიანობის განხორციელებისას, არ იდგეს ალტერნატივის წინაშე, ან - სამსახურის შენარჩუნება, ან - სამუშაოს ხარისხთან დაკავშირებული კომპრომისების დაშვება.

შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის შეფასებისას, უნდა დადგინდეს, თუ რამდენად შეესაბამება ის შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, პრიორიტეტს წარმოადგენს საკუთრივ შიდა აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის გარემოება. აღნიშნული ეს ორი გარემოება აზრობრივად ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან, განსხვავება არის იმაში, რომ პირველი - დამოუკიდებლობა - უფრო განიხილება ორგანიზაციულ კონტექსში, ხოლო მეორე - ობიექტურობა - კი განიხილება შიდა აუდიტორის პროფესიონალური ხარისხის კონტექსში. ორივე გარემოება ურთიერთდაკავშირებულია ერთმანეთთან, ვინაიდან შიდა აუდიტის სამსახურის

სტრუქტურული დამოუკიდებლობის ხარისხი არსებით ზეგავლენას ახდენს შიდა აუდიტორების ობიექტურობაზე. ობიექტურობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შიდა აუდიტის სამსახურის დაქვემდებარებისა და ანგარიშვალდებულების ფაქტორი, ვინაიდან რაც უფრო მაღლა დგას იერარქიულად ის სტრუქტურა (და/ან პირები) რომელთათვისაც არის განსაზღვრული შიდა აუდიტის ანგარიშის წარდგენა, მით უფრო ნაკლებად გახსნილები არიან შიდა აუდიტორები და მით უფრო დაბალია მათი მზაობა ურთიერთქმედებებისკენ. აუდირების პროცესის დამამთავრებელი სტადიის ზემოთაღწერილი შესაძლო ვითარება იმსახურებს შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის განსაკუთრებულ ყურადღებას და არ ღირს მის მიერ ამ მოცემულობის იგნორირება.

გარდა შიდა აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობისა, თითოეული შიდა აუდიტორის ობიექტურობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მის პროფესიონალურ მომზადებასა და უნარზე გაუძლოს მაღალ ფსიქოლოგიურ დატვირთულობას. შიდა აუდიტორებს უნდა შეეძლოთ საკუთარი აზრისა და პოზიციის დაცვა, უნდა შეეძლოთ პრობლემის არსის გამოვლენა, უნდა იყვნენ დარწმუნებულები საკუთარ ძალებში. მსგავსი უნარების ნაკლებობისა და მითუმეტეს არარსებობის შემთხვევაში, შიდა აუდიტორები ორიენტირებულები იქნებიან აუდიტირებული პირის (პირების) მოსაზრებებსა და დასკვნებზე, რის შემდეგაც ნამდვილად ვერ დარჩებიან ობიექტურები. გარდა ამისა, არის იმის რისკიც, რომ დაინახავენ და გააცნობიერებენ რა შიდა აუდიტორები საკუთარი არგუმენტების ნაკლოვანებასა და საკუთარი პოზიციის სისუსტეს გარკვეულ საკითხებში, შიდა აუდიტორები გადაერთვებიან (ან უფრო სწორედ იძულებულები იქნებიან გადაერთონ) სხვა უფრო მარტივი და ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ, ვინაიდან სიტუაციიდან გამომდინარე ჩათვლიან, რომ ამ შემთხვევაში მათი პოზიციები უფრო მყარად გამოიყურებიან. ყოველივე ეს მიგვიყვანს შემდეგ ნეგატიურ შედეგებამდე:

- ზოგიერთი რისკი და პრობლემა დარჩება აღმოუჩენელი, ან გამოვლენის შემთხვევაში მათთან დაკავშირებით მიპყრობილ იქნება არასათანადო ყურადღება;
- შეიცვლება დამოკიდებულება შიდა აუდიტორის მიმართ, აღარ ჩათვლიან, რომ ის არის მაღალი კლასის პროფესიონალი და ეს სკეპტიკური შეხედულება თანდათანობთ გადავა შიდა აუდიტის მთელ სამსახურზე.

ორგანიზაციის მესვეურებმა და შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელმა კარგად უნდა გაათვითცნობიერონ, რომ შიდა აუდიტორების ობიექტურობაზე განსაზღვრული წონადობით მოქმედებს საკუთრივ ორგანიზაციის შიდა კულტურა და საერთო მდგომარეობა და ატმოსფერო, რომელიც სუფევს ორგანიზაციის შიგნით. ამ თვალსაზრისით, უაღესად მნიშვნელოვანია, ის გარემოება თუ როგორ აღიარებს, იცავს და მუშაობს ეს ორგანიზაცია კორპორაციული მართვის პრინციპების თანახმად. თუ ორგანიზაციის მესვეურები, მათ შორის აღმასრულებელი მენეჯმენტი მოუთმენლად რეაგირებს სხვადასხვა შეცდომებსა და ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, მაშინ არსებობს რისკი იმისა, რომ შიდა აუდიტორების მუშაობა საბოლოო ჯამში შემოფარგლული იქნება დამნაშავე პასუხისმგებელი პირების გამოვლენით და არა საკუთრივ პრობლემების გამომწვევი მიზეზების იდენტიფიკაციითა და შემდგომში ამ პრობლემების გადაწყვეტით.

ის გარემოება, თუ ვის ექვემდებარება შიდა აუდიტის სამსახური და ვის წინაშე არის ანგარიშვალდებული, ნამდვილად გადამწყვეტ როლს თამაშობს საკუთრივ სამსახურის პერმანენტული განვითარების საქმეში. იქნება ეს ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭო, აუდიტის კომიტეტი თუ სხვა ორგანო, ძალიან ბევრი გარემოება არის დამოკიდებული საკუთრივ მის შემადგენლობასა და წევრების პროფესიონალურ დონეზე. თუ ეს საბჭო (კომიტეტი) რეალურად წარმოადგენს თვითმყოფად ორგანოს და არ იქნება ნომინალურად შემსრულებელი პრუდენციალური მოთხოვნებისა და თუ მისი წევრები ნათლად აცნობიერებენ შიდა აუდიტის როლსა და დანიშნულებას ორგანიზაციაში, ყველაფერი ეს ერთად აღებული იქნება შიდა აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობის გარანტი და საშვალებას მისცემს სამსახურს მოახდინოს თავისი სარგებლიანობის მაქსიმიზაცია. მაგრამ სრული წარმატებისთვის მარტო ეს საკმარისი არ არის, აქ მნიშვნელოვანი როლი უკავია აღმასრულებელ რგოლს. უამრავი შემთხვევებია ჩვენი ბიზნეს სექტორის სივრცეში, როდესაც აღმასრულებელი მენეჯმენტი თვლის, რომ შიდა აუდიტის თანამშრომლები არიან „შემოგზავნილნი" და წარმოადგენენ დამფუძნებლების (ან სხვა დაინტერესებული მხარის) „თვალებსა და ყურებს". ასეთი აღმასრულებელი მენეჯმენტი არ არის მოწოდებული დაამყაროს ეფექტური სამუშაო ურთიერთობა შიდა აუდიტთან, არც ართულებს შიდა აუდიტორების ყოველდღიურ მუშაობას და რა თქმა უნდა ეს ყველაფერი უარყოფით ზეგავლენას ახდენს მათი საქმიანობის შედეგებზე. არის შემთხვევები (სიტუაციები), როდესაც შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი ვერ უძლებს სხვადასხვა წყაროდან წამოსულ წნეხს და უმეტეს შემთხვევაში იხრება აღმასრულებელი რგოლის მხარეზე, ვინაიდან თვლის, რომ მენეჯმენტის კეთილგანწყობა უფრო მთავარი, გადამწყვეტი და სასიცოცხლოა, ვიდრე რაღაცა სახის აბსტრაქტული დამოუკიდებლობა. შედეგად ვღებულობთ, რომ შიდა აუდიტის სამსახური კარგავს თავის ფუნდამენტალურ თვისებას --- ობიექტურობას. არის პირიქით სიტუაციებიც, როდესაც შიდა აუდიტის სამსახური სრულად მოქმედებს საბჭოს (კომიტეტის) ქოლგის ქვეშ, იწყებს ესე ვთქვათ, „ცხოვრების გაიოლებას" და ასრულებს მხოლოდ იოლ დავალებებს, მუშაობს არა რთულ ამოცანებზე და ზოგადად, რომ ვთქვათ კავდება იმ საკითხების შესწავლით, რომლებიც ზედაპირზე დევს და არ ითხოვს სიღრმისეულ ანალიტიკურ მუშაობას, თავს არიდებს მენეჯმენტთან საქმიან პროფესიონალურ დიალოგს, მსჯელობას. ორივე ზემოთ აღწერლ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე შეეცდება დაინტერესდეს შიდა აუდიტის რეალური მარგი ქმედების კოეფიციენტის ოდენობით, მეორე მხარის მიერ ესეთი ქმედება აღიქმება, როგორც არასწორი ზეწოლის მცდელობა შიდა აუდიტის მიერ განხორციელბულ საქმიანობაზე. ამიტომ უაღრესად სენსიტიურია შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის პერსონალური უნარები და მონაცემები, ის უნდა იყოს

სათანადო კალიბრის ფიგურა და მან უნდა მოიპოვოს როგორც საბჭოს (კომიტეტის) ნდობა, ასევე, აღმასრულებელი მენეჯმენტის პატივისცემა. შიდა აუდიტის კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს სამსახურის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი პერიოდული ანგარიშების საფუძველზე. ამიტომ არის ძალზედ მნიშვნელოვანი, რომ შიდა აუდიტის სამსახურმა წარმოებული საქმიანობის, ანუ ჩატარებული აუდიტების მეშვეობით შექმნას და გაამყაროს ორგანიზაციაში საკუთარი სტრატეგიული სტატუსი. შიდა აუდიტის ხელმძღვანელმა უნდა აირჩიოს ის ოპტიმალური გზა, რომელიც საშვალებას მისცემს მას გავიდეს კონკრეტულ შედეგებზე, რისი მოლოდინიც აქვთ ორგანიზაციის დაინტერსებულ მხარეებს.

სირთულეები და საფრთხეები, რომლებსაც შეუძლიათ პოტენციურად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინონ შიდა აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობასა და ცალკეული შიდა აუდიტორის ობიექტურობაზე, რეალურად არის შიდა აუდიტორების პროფესიონალური საქმიანობის რისკების რეალიზების გარემოება, ანუ დამოუკიდებლობისა და ინდივიდუალური ობიექტურობის დაკარგვის რისკი. აღნიშნული გარემოება, როგორც უარყოფითი ზეგავლენის ფაქტორი დამოუკიდებლობასა და ობიექტურობაზე, წარმოადგენს კომპანიისა თუ ორგანიზაციის მმართველობითი ორგანოების საქმიანობისგან განუყოფელ გარემოებას. როგორც აჩვენებს მსოფლიო პრაქტიკა, სიტუაციები, რომლებმაც შეიძლება საშიშროება შეუქმნას შიდა აუდიტორების ობიექტურობას ანგარიშის მომზადების ეტაპზე, შეუძლიათ შექმნან ცალკეულმა აქციონერებმა, აღმასრულებელმა ორგანოებმა და მაღალი რანგის მენეჯერებმა. აქციონერები, რა თქმა უნდა, დაინტერესებულნი არიან ფინანსური ინფორმაციის ავთენტურობაში, წმინდა მოგების ზრდაში, რათა მიიღონ მეტი დივიდენდი, აქტივების ღირებულების ზრდაში, რაც თავისთავად ზრდის საინვესტიციო მიმზიდველობას, და აგრეთვე აქციების საბაზრო ღირებულების გაზრდაში. მაგრამ ცალკეულ აქციონერებს (როგორც წესი მაჟორიტარ აქციონერებს) სძლევს ხოლმე ცდუნება, ანგარიშგებებში გარკვეული მაქინაციების საშუალებით შეალამაზონ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგები. აღნიშნულის მიზანი შეიძლება იყოს დაუმსახურებელი დივიდენდების მიღება, კომპანიის გაყიდვის შემთხვევაში რეალურ საბაზრო ღირებულებასთან შედარებით მეტი თანხების მიღება და სხვა. ამისათვის აქციონერები შეიძლება გაურიგდნენ საბჭოს წევრებს ან აღმასრულებელ მენეჯმენტს. რაც შეეხება აღმასრულებელ მენეჯმენტს, თავად მას შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თაღლითური ქმედებები და ფინანსური ანგარიშგების ფალსიფიკაციის გზით მიიღოს მაღალი პრემიები და ბონუსები „წარმატებული“ საფინანსო შედეგებისთვის. ამ მხრივ აღსანიშნავია 2008 წლის მსოფლიო საფინანსო კრიზისი, რამაც კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ვერავითარი ბიზნეს-გარემო, დაქირავებული მენეჯერების საქმიანობის სათანადო კონტროლის სისტემის ორგანიზების გარეშე, თავად წინ ვერ აღუდგება მსგავსი კრიზისების წარმოშობას. აღნიშნული სიტუაციები წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტებს მმართველობით ორგანოებსა და შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელებს შორის, რადგან შიდა აუდიტორები ცდილობენ აჩვენონ აქციონერებს კომპანიის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რეალური სურათი. შესაბამისად შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი შეიძლება მოექცეს ზეწოლის ქვეშ მმართველობითი ორგანოების მხრიდან და აიძულონ ის გამოძებნოს კომპრომისული გადაწყვეტილება. შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს შეთავაზებას წლიური შედეგების მიხედვით გაზრდილი ჯილდოს გაცემასთან დაკავშირებით „კარგი“ მუშაობის გამო. ამრიგად, მაღალი რანგის მენეჯერების მოტივაციის სისტემა შესაძლებელია იყოს შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის და მისი შიდა აუდიტორების ობიექტურობის დაკარგვის რისკისთვის რეალიზების ფაქტორი. ამ ფაქტორის, როგორც რისკის წარმოშობის წყაროს სრულად გაქრობა შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია მისი მინიმიზაცია ანუ შესაძლებელია შემცირდეს მისი უარყოფითი გავლენა შიდა აუდიტორების ობიექტურობაზე შიდა აუდიტორების მოტივაციის ადეკვატური სისტემის საშვალებით.

გარდა აღნიშნულისა, ორგანიზაციულ დამოუკიდებლობასა და ინდივიდუალურ ობიექტურობაზე უარყოფითად მოქმედებს გარკვეული შეზღუდვები, კერძოდ: შიდა აუდიტის მოცულობის საზღვრები, ინფორმაციასთან, თანამშრომლებთან და აქტივებთან წვდომის უფლებამოსილება, რესურსების ლიმიტირება, მათ შორის დაფინანსებაში. ამ მხრივ ხაზგასასმელია, რომ ძლიერი უარყოფითი გავლენა, გააჩნია შიდა აუდიტის სამსახურის უფლებამოსილების შეზღუდვებს, რაც ძირითადში, ვლინდება სამსახურის საქმიანობის შეზღუდვებში, რის შედეგადაც შიდა აუდიტორები ვერ ახერხებენ მათ წინაშე არსებული ამოცანებისა და დავალებების შესრულებას. ერთის მხრივ, აღნიშნული შეზღუდვები: საქმიანობის სფეროებში, საქმიანობის მასშტაბში, პროცედურების განხორციელებაში, წვდომის უფლებამოსილებაში ინფორმაციასთან, პერსონალთან, მატერიალურ აქტივებთან და ადეკვატური ბიუჯეტის განსაზღვრაში, ეს ყველაფერი ან ნაწილი ჩამონათვალისა, შეიძლება ადრევე, წინა პერიოდში, კონკრეტული ლიმიტაციებით, განსაზღვრული იყოს შიდა აუდიტის დამტკიცებული დებულებით. შესაბამისად, შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელმა უნდა გადაწყვიტოს საერთოდ აცნობოს თუ არა კომიტეტს (საბჭოს) შეზღუდვების შესახებ, რადგან ეს დებულება წარსულში მათთან შეთანხმებული და მათ მიერ დამტკიცებული იყო. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ესეთი შეზღუდვები საფრთხეს უქმნის ორგანიზაციულ დამოუკიდებლობასა და ინდივიდუალურ ობიექტურობას, წარმოადგენს რისკის წყაროს.

ქართულ სინამდვილეში, გვხდება შემთხვევები, როდესაც კომპანიებისა თუ ორგანიზაციების ხელმძღვანელები ცდილობენ გამოიყენონ შიდა აუდიტორები ე.წ. „პოლიციური“, სადამსჯელო ფუნქციების შესასრულებლად, რომლის მთავარი ამოცანაც არის დარღვევებში ბრალეული, დამნაშავე პირების მოძიება და დასჯა. ხშირად ხდება ისეც, რომ აღმასრულებელ ორგანოს განსაზღვრული ყავთ დამნაშავე პირთა წრე და ითხოვენ შიდა აუდიტისგან დოკუმენტურად დაადასტურონ თავიანთი ეჭვები. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება გამართლდეს აღმასრულებელი ორგანოს ეჭვები, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ბრალეულ

პირთა ბადეში შეიძლება მოხვდეს პრინციპიალური თანამშრომელი, რომელიც ხელს უშლის მათ მაქინაციების ჩატარებაში, ან რომელიც, მაგალითისთვის, დაჟინებით ითხოვს შრომის უსაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვას, ან რომელიც მწვავედ გამოდის შეკრებებსა თუ სხდომებზე და აკრიტიკებს აღმასრულებლ რგოლს ან სხვა რანგის ხელმძღვანელებს გაწეული ხარჯების ან არასახარბიელო გადაწყვეტილებების გამო. როგორც წესი, ასეთი დავალებები შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელს ეძლევა სიტყვიერად და ის ექცევა ძლიერი ადმინისტრაციული ზეწოლის ქვეშ. ეს არის სწორედ ის სიტუაცია, ეს არის სწორედ ის გადამწყვეტი მომენტი, როდესაც შიდა აუდიტორებმა უნდა გამოავლინონ საკუთარი პროფესიონალური ქცევის პრინციპები: პატიოსნება, ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, კეთილსინდისიერება. შიდა აუდიტორებმა უნდა შეადგინონ ანგარიში, სადაც გადმოცემული იქნება ან დოკუმენტურად დასაბუთებული ფაქტები დარღვევების შესახებ ან ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება მიწოდებულ ანგარიშზე რეაგირებას, ამ შემთხვევაში ეს უკვე ინიციატორის ამოცანაა. თუ ანგარიში ფორმირებულ იქნება მეორე სახით, ანუ დარღვევები არ გამოვლინდება, ეს გამოიწვევს ნეგატიურ რეაქციას ინიციატორის მხრიდან, რომელიც ელოდებოდა კომპრომატს არასასურველ თანამშრომელთან (თანამშრომლებთან) დაკავშირებით. აღნიშნული სიტუაცია, რა თქმა უნდა დააზიანებს პირად ურთიერთობებს შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელსა და ინიციატორ პირს (პირებს) შორის, მაგრამ მეორეს მხრივ გააუმჯობესებს საქმიან ატმოსფეროს კომპანიის (ორგანიზაციის) შიგნით. ინფორმაცია შიდა აუდიტორების ობიექტურობისა და პრინციპული პოზიციის შესახებ მყისიერად გავრცელდება კომპანიაში (ორგანიზაციაში), რაც აამაღლებს შიდა აუდიტორების პროფესიონალურ ავტორიტეტს და თანდათანობით შეამცირებს შეკვეთილი ხასიათის დავალებების რაოდენობას შიდა აუდიტის სამსახურში.

აღმასრულებელმა რგოლმა, იქიდან გამომდინარე, რომ მათთვის არასასურველია მაღალკვალიფიციური შიდა აუდიტორების არსებობა, შეიძლება განახორციელოს მძლავრი ადმინისტრაციული ზემოქმედება, კერძოდ:

- სახელფასო ანაზღაურების მოცულობის შეზღუდვა;
- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შეზღუდვა;
- უარი დამატებითი სწავლების დაფინანსებაზე;
- უარი კვალიფიკაციის პერიოდული ამაღლების დაფინანსებაზე;
- უარი სპეციალურ კონფერენციებზე მონაწილეობის მიღებასა და დაფინანსებაზე;
- უარი შიდა აუდიტორული სამუშაოებისა და პროცესების ავტომატიზაციის დაფინანსებაზე.

ასეთ შემთხვევებში არის ერთი იმედი --- აუდიტის კომიტეტი (საბჭო). შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელმა აუცილებლად უნდა მიაწვდინოს მათ ინფორმაცია სამსახურის დაფინანსების შეზღუდვის თუ შემცირების შესახებ.

შიდა აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობასა და შიდა აუდიტორების ინდივიდიალურ ობიექტურობაზე, ასევე, უარყოფითად მოქმედებს მათ მიერ არააუდიტორული ფუნქციების შესრულებაც, ვინაიდან ესეთი აქტივობა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ისევ შიდა აუდიტის თანამშრომლების შესასწავლი და შესაფასებელი იქნება, რაც თავის მხრივ წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს. შიდა აუდიტის ხელმძღვანელის მხრიდან მუდმივი ზრუნვისა და ყურადღების საგანი უნდა იყოს სამსახურის დამოუკიდებლობისა და შიდა აუდიტორების ობიექტურობის გარემოება. ამისათვის სამსახურის ხელმძღვანელს ბევრი ბერკეტი გააჩნია, კერძოდ: ხშირი და პერმანენტული კომუნიკაცია კომიტეტის (საბჭოს) წევრებთან, საქმიანი და ჯანსაღი ურთიერთობის დამყარება აღმასრულებელ გუნდთან, მაქსიმალური ორიენტაცია საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების დაცვაზე, საჭიროების შემთხვევაში და აუცილებლობიდან გამომდინარე მოწვეული კონსულტანტების, დარგის ექსპერტების, გარე აუდიტორების ჩართვა კონკრეტული შიდა აუდიტორული დავალების განხორციელებისას, შიდა აუდიტორების ყოველდღიური მუშაობის ზედამხედველობა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. International Professional Practices Framework (IPPF) - 2017 edition, The Institute of Internal Auditors;
2. Sawyer's Guide for Internal Auditors - 2012 6th edition, Larry Sawyer;
3. Internal Audit Capability Model (IA-CM) - 2017 Internal Audit Foundation;
4. Common Body of Knowledge CBOK - 2015 The IIA Research Foundation;
5. Your journey to success in the chief audit executive role – EY 2019;
6. Настольнвя Книга по Внутреннему Аудиту, О. Крышкин, Альпина Паблишер, Москва 2023;
7. Контроль Качества Аудита, С.Бычкова, Е. Итыгилова, Эксмо, Москва 2008;
8. Контроль и Аудит Деятельности Коммерческой Организации, В. Осипов, Инфра-м, Москва 2021;
9. Внутренний Контроль Коммерческих Организаций, Л. Каширская, А. Ситнов, КноРус, Москва 2021;
10. Grigalashvili L., Natriashvili N., Grigalashvili B., (2021). Modern Challenges of Auditing in Georgia. Materials of the V International Scientific Conference „Globalization and Current Challenges in Business", Tbilisi, pp.246-253 (in Georgian);
11. Grigalashvili L., (2015). Sistem analisis of accounting and audit (Monographi), Georgika, Tbilisi. 118 p. (in Georgian).

# POSTMODERN REPRESENTATION OF REALITY IN CHUCK PALAHNIUK'S FICTION

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2024.04.11

**ABSTACT**

The article gives an outlook of some works by Chuck Palahniuk, a modern American writer, who writes in the genre of alternative prose. As a postmodern author Palahniuk widely uses such features of postmodernism as irony, black humour, parody, simulacra&simulation, pastiche, metafiction, fragmentation and non-linear narratives, paranoia and so on.Palahniuk's works above all else represent sharp social satire. The characters are often marginals alienated by society and reacting with self-destructive aggressiveness('transgressional fiction' according to the author).Palahniuk is a master of depicting the dark and depraved underbelly of our society through the voices of mordantly existential protagonists. He dissects tumours of society in a most outrageous way, protesting against its hypocrisy, as well as uprising against unspirituality of modern way of life.

**Keywords:** Chuck Palahniuk, transgressional fiction, society, horror, postmodernism



**Jekaterina Korjuhina**
Doctoral student of Faculty of Philosophy,
St.Cyril and St.Methodius University of Veliko Tarnovo
https://orcid.org/0000-0002-3392-0271
E-mail: jekaterina.korjuhina@gmail.com

# რეალობის პოსტმოდერნული წარმოდგენა ჩაკში

**აბსტრაქტი**

სტატიაში მოცემულია თანამედროვე ამერიკელი მწერლის ჩაკ პალანიუკის ზოგიერთი ნაწარმოების ხედვა, რომელიც წერს ალტერნატიული პროზის ჟანრში. როგორც პოსტმოდერნი ავტორი, პალანიუკი ფართოდ იყენებს პოსტმოდერნიზმის ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა ირონია, შავი იუმორი, პაროდია, სიმულაკრა და იმიჯები, პასტიში, მეტაფიქცია, ფრაგმენტაცია და არაწრფივი ნარატივები, პარანოია და ა.შ. გმირები ხშირად მარგინალები არიან საზოგადოებისგან გაუცხოებული და რეაგირებენ თვითდესტრუქციული აგრესიულობით (ავტორის აზრით, „ტრანსგრესიული ფანტასტიკა"). პალანიუკი ჩვენი საზოგადოების ბნელი და გარყვნილი წიაღის გამოსახვის ოსტატია სასტიკი ეგზისტენციალური გმირების ხმებით. ის საზოგადოების სიმსივნეებს ყველაზე აღმაშფოთებლად ჭრის, აპროტესტებს მის ფარისევლობას, ასევე აჯანყდება თანამედროვე ცხოვრების არასულიერების წინააღმდეგ.

## INTRODUCTION

Chuck Palahniuk is an American writer of Ukrainian origin, who lives in Portland, Oregon. He began writing fiction in his mid-thirties. His first book has not been published due to his disappointment with the story. When he attempted to publish his next novel, '*Invisible Monsters*', publishers rejected it for being too disturbing. This led him to work on his most famous novel, *'Fight Club'*, which he wrote as an attempt to disturb the publisher even more for rejecting him. For this work in 1997 he won two awards: Pacific Northwest Booksellers Association Award and Oregon Book Award for Best Novel. A revised version of '*InvisibleMonster*', as well as his forth novel, '*Survivor*', was published in 1999, allowing Palahniuk to become a cult figure himself [9]. A few years later Palahniuk managed to make his first '*New York Times*' bestseller, the novel *'Choke'*. His further novels '*Lullaby*'(2002),'*Diary*' (2003) and *'Haunted'* (2005) were also a success with the 2003 Pacific Northwest Booksellers Association Award for '*Lullaby*'. From then on, Palahniuk's later books would often meet similar success. Such success has allowed him to go on book tours to promote his books, where he reads from both new and upcoming works and where people are reported to faint while listening to the readings.

His works above all else represent sharp social satire. The characters are often marginals alienated by society and reacting with self-destructive aggressiveness ('transgressional fiction' according to the author). However, Palahniuk's books are not to everyone's taste. While consistently funny in their own way, they are also caustic, vicious, disturbing and sometimes downright repulsive.

The central theme in his first four books is 'the identity crisis' thing, the invention of self, which goes hand in hand with the question he is repetitively asking in practically all his narrative: Is this marvellous edifice of civilization that we have created really the best thing for humankind? Or is there something dark, unknown, malevolent and untameable in the human's mind that can tear apart the foundations of modern existence? He is not totally against the Status quo, but claims that we should always question the Status quo and never take anything at face value. Sarting with '*Llullaby*', his novels have been satirical horror stories.

Palahniuk is one of the most popular novelists of Generation X and he is already known as a 'literary genius', 'torchbearer for the nihilistic generation' and 'cult author'[4]. Being a postmodern author Palahniuk widely uses in his novels such features of postmodernism as irony, black humour, simulacra and simulation, pastiche, metafiction, fragmentation and non-linear narratives, paranoia and so on. This article will make an attempt to discuss some of the above mentioned features applicable to C. Palahniuk's works.

## ANALYSIS OF THE NOVELS

All scholars agree that postmodern literature is difficult to define. It's the combination of narcissism and nihilism, so to say, weird for the sake of being weird. Postmodernist fiction is characterized by its temporal disorder, its disregard of linear narrative, its mingling of fictional forms and its experiments with language. However, unifying features often coincide with Jean-Francois Lyotard's concept of the '*meta-narrative*', Jaques Derrida's concept of '*play*', and Jean Baudrrillard's *'simulacra'*.

Let's first discuss the concept of metafiction, which is essentially writing about writing or making the artificiality of art or the fictionality of fiction apparent to the reader [2]. It is often employed to undermine the authority of the author, for unexpected narrative shifts, to advance a story in a unique way, for emotional distance, or to comment on the act of storytelling. Some common metafictive devices include: a work of fiction within a fiction; a novel about a writer creating a story; a novel about a reader reading a novel, etc. Palahniuk's 'Haunted' is the best example of the novel about creating art at any cost. It can be compared to *'The Canterbury Tales'* or '*The Decameron*', since there is a framing story: for three months a group of writers would live in utter isolation, producing the work they'd been dreaming of, the writing they all swore they'd be able to finish if only the world wasn't keeping them from it. Instead of paradise they get an abandoned old theater, where they become locked inside until they have completed their masterpieces. Each person tells a story and all of them are too worried about how their story will be told and imagine how they will be surrounded by people wanting to pour money over them for the rights to their stories for movies and books. They suffer immensely but they are ready to suffer even more to be able to tell about it later on. In fact, it's a satire about reality TV and preoccupation with having our own stories, but most of all it's a satire about human nature. About our need to be seen, to be pitied, to be acclaimed for our suffering. And, what is more, to be paid for it.

Secondly, Jean Baudrillard's *'simulacra and simulation'* is most known for its discussion of images, signs, and how they relate to the present day. Baudrillard claims that modern society has replaced all reality and meaning with symbols and signs, and that the human experience is of a simulation of reality rather than reality itself. The simulacra that Baudrillard refers to are signs of culture and media that create the perceived reality; Baudrillard believed the simulacra that society has become so reliant on that it has lost contact with the real world on which the simulacra are based [1]. Simulation turns a model into reality and vice versa. We live in the virtual reality, in the world of signs and images, surrounded by trademarks and ads, in Matrix. From industrial age we've moved into the information age. Baudrillard calls it a shift into hyperreality in which simulations have replaced the real. In postmodernity people are overloaded with information, technology has become a central focus in many lives, and our understanding of the real is mediated by simulations of the real. For example, Palahniuk's 'Lullaby' presents characters bombarded with a 'white noise' of television, product brand names, and clichés. This postmodern, hyperreal information bombardment in the long run kills people turning them into zombies:

"George Orwell was wrong. The Big Brother doesn't keep an eye on you. The Big Brother sings and dances. Takes white rabbits out of the magic hat. All the time while you're not asleep, the Big Brother entertains you, distracting your attention. He does everything not to give you time to think about something important. He does everything to destroy your imagination"[7, p.23].

When the imagination of all people is atrophied nobody will want to change the world. Palahniuk hopes that "only when the Big Brother stops overloading our brains, people will learn to think" [7, p.75].

Mass media nowadays plays a crucial role in forming and reflecting public opinion: media connects the world to individuals and reproduce the self image of society. At the same time media weaken and delimit the individual's capacity to act autonomously, as it was perfectly predicted by George Orwell in his dystopian novel *'1984'*.

In its turn there are very many parallels between C. Palahniuk's '*Lullaby*' and R. Bradbury's 'Fahrenheit 451', the most important of which is the fear of technocratic future. 'Fahrenheit 451' was written in 1953. However, the themes raised there are still relevant. Palahniuk in 'Lullaby' goes to the extremes and develops the idea up to the mystical phantasmagoric plot.Bradbury describes wall-sized TV screens that cram you with commercials, loud music, interactive soap operas, etc. Palahniuk does the same:

"Somebody is singing downstairs. Not even singing, rather yelling the words of a song. Bang, bang, bang upstairs. It's necessary for all these people to listen to the radio, TV or tape recorder. These are the people who are afraid of

silence. They are my neighbors. Sound-addicts. Silence-phobes"[7, p.23].

And then it goes like in agony. People can hardly hear themselves speak:

"You make your music louder to jam the noise. Neighbors make their music louder to suppress your music. And so it goes. Everybody buys stereo systems. The more powerful the better. This is the arms race in the sound war "[7, p.25].

Thirdly, it's common for postmodernists to treat serious subjects in a playful and humorous way. Thus irony, along with black humor and the general concept of *'play'* (related to Derrida's concept or the ideas advocated by Roland Barthes) are among the most recognizable aspects of postmodernism. In Palahniuk's '*Lullaby*', for instance, we find:

"People hear the commercial of chips with dill and run to buy it; now it is called the freedom of choice "[7, p.29].

Very often the narrative of Palahniuk's works is structured around a long series of similar ironies. Sometimes the author provides prime examples of playfulness, often including silly wordplay, within a serious context. For instance, he calls Cinderella Sinderella, implying her sins. Some other wonderful examples of irony and black humour relating to excessive consumption and occupation by mass media can be found in 'Lullaby':

"The mass media, the culture, everything laying its eggs under my skin. Big Brother filling me with need. Do I really want a big house, a fast car, a thousand beautiful sex partners? Do I really want these things? Or am I trained to want them? Are these things really better than the things I already have? Or am I just trained to be dissatisfied with what I have now? Am I just under a spell that says nothing is ever good enough? "[7, p.256].

Such themes as globalization and as a result the revolt against total unification of people can be met in practically any of Palahniuk's books. For instance, in *'Invisible Monsters'* we read:

"We're so trapped in our culture, in the being of being human on this planet with the brains we have, and the same two arms and two legs everybody has. We're so trapped that anyway we could imagine to escape would be just another part of the trap. Anything we want, we're trained to want"[5, p.256].

'Survivor' dwells upon this topic as well:

"We all watch the same TV programs. We all hear the same things on the radio, we all repeat the same talk to each other. There are no surprises left. There's just more of the same. Returns. We all grew up with the same TV shows. It's like we all have the same artificial memory implants. We remember almost none of our real childhoods, but we remember everything that happened to sitcom families. We have the same basic goals. We have the same fears"[8, p.118].

And finally in '*Fight Club'* the author rises against consumerist spirituality of the modern world with its detailed description of modern reality:

"You buy furniture. You tell yourself, this is the last sofa I will ever need in my life. Buy the sofa, then for a couple years you're satisfied that no matter what goes wrong, at least you've got your sofa issue handled. Then the right set of dishes. Then the perfect bed. The drapes. The rug. Then you're trapped in your lovely nest, and the things you used to own, now they own you"[6, p.253].

Fourthly, pastiche as a combination of multiple genres to create a unique narrative, can also be found in C.Palahniuk's works: for example, he uses science fiction, detective fiction and fairy tale in '*Lullaby*'. Though pastiche commonly refers to the mixing of genres, many other elements are also included (metafiction and temporal distortion are common in the broader pastiche of the postmodern novel). The narratives of Palahniuk's books often start at the temporal end, with the protagonist recounting the events that led up to the point at which the book begins. '*Lullaby*' used a variation of this, alternating between the normal, linear narrative and the temporal end after every few chapters. However, exceptions to this narrative form include the more linear '*Choke*' and '*Diary*'. There is often a major plot twist that is revealed near the end of the book which relates in some way to this temporal end (what Palahniuk refers to as 'the hidden gun'). His more linear works also include similar plot twists.

Fifthly, a characteristic feature of Palahniuk's books is a stream of consciousness narrative, which is another token of postmodernism. In what the author refers to as a minimalistic approach, his writings use a limited vocabulary and short sentences to mimic the way that an average person telling a story would talk. In an interview, he said that he prefers to write in verbs instead of adjectives. Repetitions of certain lines in the stories' narratives (what Palahniuk refers to as 'choruses') are one of the most common aspects of his writing style, found dispersed within most chapters of his novels.

The last but not least feature of postmodernism worth discussing in relation to Palahniuk's fiction is paranoia. All his books are infected with it. Below the examples from 'Lullaby' and 'Fight Club' will be discussed.

The Lullaby, the song printed in a book for children has the ability to kill people either being sounded out or through the unspoken wish. It's a 'culling song'- an ancient African spell for euthanizing sick or old people. Investigating the Sudden Infant Death Syndrome, the main character, Carl Streator, the reporter, who accidentally killed his own wife and child with this song, finds out that the book was published in 500 copies. So he starts traveling around the country trying to destroy the dangerous books. The problem is that Carl doesn't need to read the song to recite the eight simple lines. He can accidentally memorize it, and the temptation to use it is becoming too much. Sometimes he doesn't have to even say the words aloud, just direct them at a person. And then…silence: the man dies. Palahniuk paints the future in dark colors:

"The Lullaby will become the plague of our time – the age of information technologies. Imagine the world when people don't watch TV, don't listen to the radio, don't go to the cinema, don't surf in Internet, don't read newspapers and magazines. They'll put special plugs into their ears – like

they put on condoms now. Imagine the plague which can be picked up by ear. Words can kill now. New death can come from wherever: from a song, a commercial, a press-release. Millions of people will watch some TV show and will die next morning, because in the middle of it there was a commercial. Can you imagine the panic: the burning books, video- and audio tapes, TV- and radio sets. People will avoid any sound that can contain death. TV and radio air will be silent. Only a few, thoroughly checked pieces of information will be broadcast. Any music, book or movie first will be tested on animals or volunteers before being put into the mass. Can you imagine the world of deep silence. No more motorcycles, lawnmowers, jets, electrical mixers or hair dryers. The world here people are afraid of listening. Happy are the deaf ones, since they will inherit the earth"[7, p.55].

Indeed, a million everyday things will suddenly become as dangerous as crossing a minefield. It would change the world, and in that Carl Streator is right. His problems with controlling his need to use the song, his tiredness with living in a world filled with noise make some very pointed comments about our own lives. What if someone tries to convince himself that to use the song for 'good' would be OK? People could minimize the risk to their lives having whispered the song in the ears of rapists and terrorists. But how long would they hold out, being 'good', being 'worthy'? How long before they leaned forward and said the song to the man who just nudged them? How long until they scream it aloud in a bank, then pick money of the drawers?

Thus, Palahniuk shows how words can really kill us. But not only literally. The concealed meaning of this is that senseless words, we're crammed with all the time from TV screen, can kill and stupefy people on a spiritual level.

In its turn the story of '*Fight Club'* is centered around a club where men with good white-collar jobs come together to beat each other senseless. Then they go back to those jobs with blackened eyes and loosened teeth and the sense that they can handle anything. *'Fight Club'* is the invention of Tyler Durden, projectionist, waiter and dark anarchic genius. And it's only the beginning of his plans for revenge on a world where cancer support groups have the corner on human warmth. *'Fight Club'* is a blend of extreme violence, black comedy and passionate ideas. For the postmodernist no ordering system exists, so a search for it is absurd. Palahniuk fights against the System giving the following explanation:

"We're sort of raised within parameters, we're sort of raised to understand what it is to be a good person, and so it seems that so much of our childhood is about meeting the expectations of all of the people around us. Meeting the expectations of our parents, our teachers, our coaches, eventually our bosses, and we're sort of, you know, always looking outside of ourselves for how to be. And it's exciting after a certain point in your life when you start to make up rules rather than following the rules, and decide for yourself how you want to be rather than constantly meeting the needs and the expectations of everyone else"[3].

By his books Palahniuk does not encourage anyone to mine factories, explode bombs or attack embassies. But what he does is that he appeals to people's consciousness not to take everything for granted, especially things which are imposed on us.

**CONCLUSION**

All things considered, C.Palahniuk is a truly postmodernist author since postmodernist features in Chuck Palahniuk's works are presented in many ways: as metafiction, simulacra and simulation, irony, black humour and parody, pastiche, non-linear and stream of consciousness narrative and, finally, paranoia. Though the voices of mordantly existential protagonists the author depicts the dark and depraved underbelly of our society, pointing at such corresponding issues as mass culture, environmentalism, globalization, etc. In Palahniuk's books, the character is always taken out of false contentment and isolation, and returned to society - half-baked, unpleasant, chaotic, but at least a full-fledged society. "We want to go to our own deserted island, away from everyone, to find happiness. And so we get to this lonely place to be alone and find ourselves much more miserable than before. It turns out that you always want to be with people, sometimes alone. When you are married, you want to be divorced. When you are divorced, you want to be married. We never appreciate what we have. My books are always about the return of people to society - people who received this isolation and now hate it"[10]. Human personality is presented as a drifter, alienated from society, obsessed with death, destruction, perverted pleasures and the like.

**REFERENCES:**

1. Baudrillard, J. (1983). *Simulations*. Los Angeles, California: Semiotext.
2. Dyer, R. (2004). Isaac Julien in Conversation.*Wasafiri*, Issue 43, p. 29.
3. Farley, C.P. (2008). *Chuck Palahniuk on Oprah's diaphragm.* Retrieved from: http://www.powells.com/authors/palahniuk.html
4. Karolides, N.J. (1998).*Banned Books: Literature Suppressed on Political Grounds*. London: Facts of File, Inc.
5. Palahniuk, C. (2003). *Invisible Monsters.* London: Vintage Books.
6. Palahniuk, C. (2003). *Fight Club*. London: Vintage Books
7. Palahniuk, C. (2003). *Lullaby*. London: Vintage Books
8. Palahniuk, C. (2003). *Survivor*. London: Vintage Books
9. Payne, T. (1997). *The World's Leading Authors and their works*. London: Carlton Books Ltd.
10. Sorgue. (2009). Madman and genius. Biography of Chuck Palahniuk. Retrieved from: https://sorgue.livejournal.com/14004.html

https://doi.org/10.52340/bal N1. 2024
WWW.B-K.GE WWW.OJS.B-K.GE

# ჟან მონეს მოდული CSREU სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში

# JEAN MONNET MODULE CSREU IN SOKHUMI STATE UNIVERSITY

## სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟან მონეს მოდულის ფარგლებში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა

2024 წლის 16 და 21 მაისს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (სსუ) გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ევროკავშირის პოლიტიკა" (ჟან მონეს მოდულის „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირში: გამოცდილება საქართველოსთვის" ფარგლებში). აქვე აღვნიშნავთ, რომ ღონისძიება დაგეგმილი იყო 16-17 მაისს, თუმცა, 17 მაისის საქ. მთავრობის დადგენილებით უქმე დღედ გამოცხადების გამო, კონფერენცია ჩატარდა 16 და 21 მაისს. კონფერენცია მიეძღვნა სოხუმში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების 92 წლის იუბილეს. კონფერენცია გახსნა ჟან მონეს მოდულის კოორდინატორმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ლარისა თაკალანძემ. კონფერენციის მონაწილეებს მიასალმნენ: - ზურაბ ხონელიძე, პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; - სოლომონ პავლიაშვილი, საქ. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე; - როდრიგო ბალესტერ ესკივიასი, მათიას კორვინუს კოლეგიუმის (Mathias Corvinus Collegium) ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, უნგრეთის კერძო საგანმანათლებლო ინსტიტუტისა და კვლევითი ცენტრი; - მარიამ სულაშვილი, ERASMUS+ ეროვნული ოფისის დირექტორი. კონფერენციის მონაწილეებს გულითადად მიესალმნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი რუსუდან ქუთათელაძე, პროფესორები ანზორ აბრალავა და ევგენი ბარათაშვილი.

ჟან მონეს მოდულის პროექტის თანახმად, კონფერენცია გათვალისწინებული იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერ-მკვლევარების, აკადემიური პერსონალის, დოქტორანტებისა და სტეიკჰოლდერებისთვის; თუმცა, მნიშვნელობიდან გამომდინარე, მასში ჩაერთვნენ უცხოელი (უკრაინელი, ლიტველი, აზერბაიჯანელი) აკადემიური პერსონალი და მეცნიერ-მკვლევარები. ნიშანდობლივია ისიც, რომ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობდნენ არა მხოლოდ უსდ-ს აკადემიური პერსონალი და მკვლევარები, არამედ ბიზნეს სექტორის, არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, საჯარო მოხელეები, ახალგაზრდა ბიზნესმენები, ექსპერტები და საზოგადოების ფართო წრის წარმომადგენლები. პლენარულ სესიაზე მოხსენებებით წარსდგნენ:

- **ზურაბ ხონელიძე,** პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი - **საქართველოს ევროპული არჩევანი;**
- **ვოლოდიმირ დუბოვიკი,** ოდესის მეჩნიკოვის ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა), ევროპული პოლიტიკის ანალიზის ცენტრის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი (აშშ) - **ევროკავშირი რუსეთსა და უკრაინას შორის ომის პირობებში: რა დასკვნას ვაკეთებთ?**

(საკითხის აქტუალობის გამო ბატონი ვოლოდიმირი მოწვეულ იქნა საპატიო სპიკერის სტატუსით);

- **არჩილ ყარაულაშვილი,** საქ. საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის გენერალური დირექტორატის გენერალური დირექტორი - **საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის ეკონომიკური ასპექტები;**
- **ლელა ხოფერია,** CSR ექსპერტი, საქ. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი **კორპორაციული პასუხისმგებლობა ევროკავშირსა და საქართველოში - საჯარო პოლიტიკის როლი და ახალი გამოწვევები ევროინტეგრაციის კონტექსტში;**
- **მედეა ინაშვილი,** კლიმატის ცვლილების ექსპერტი, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის წამყვანი ექსპერტ-რევიუერი - **საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია: კლიმატის ცვლილების განზომილება;**
- **მარიამ ჯაფარიძე,** თეგეტა ჰოლდინგის CSR მენეჯერი - **თეგეტა ჰოლდინგის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა;**
- **ზურაბ დევდარიანი,** არემჯის (RMG) CSR მენეჯერი **- არემჯის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა;**

სესიის დასასრულს **ნამიკ ისაზადე** (ბიზნესის ადმინისტრიტრების დოქტორი, კვლევის, განათლებისა და ტრენინგის საერთაშორისო ცენტრის უფროსი, ტალინი, ესტონეთი) დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგა პრეზენტაციით „სამეცნიერო ჟურნალების და ნაშრომების ინდექსაცია მონაცემთა ბაზაში".

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნის, სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის, ლიეტუვას, უკრაინის და აზერბაიჯანის უმაღლესი სასწავლებლების, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის (თსუ), საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (თსუ), ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის (სტუ), შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის კვლევითი ცენტრის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის, და სხვ. აკადემიური პერსონალი, მეცნიერ-მკვლევარები და ექსპერტები.

კონფერენცია ჩატარდა ჰიბრიდულ რეჟიმში;

წარმოდგენილი აბსტრაქტების კრებული ელექტრონული სახით განთავსდება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე: **https://www.sou.edu.ge/content/7/78/218/120/0**

წყარო: https://cutt.ly/vej58y9n

## WITHIN THE FRAMEWORK OF THE JEAN MONNET MODULE PROJECT AN INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE WAS HELD IN SOKHUMI STATE UNIVERSITY

On May 16 and 21, 2024, within the framework of the Jean Monnet Module project "Corporate Social Responsibility in the European Union: Experience for Georgia" supported by the EU ERASMUS+ program, an International Scientific Conference "European Union's Policy on Corporate Social Responsibility" was held at Sokhumi State University (SSU). Conference was dedicated to the 92th Anniversary of the foundation of the Higher Education Institution in Sokhumi.

The event was planned for May 16-17, however, due the to the declaration of May 17 as a holiday by the Government of Georgia, it was held on May 16 and 21.

The event was opened by the Project Manager, Professor Larisa Takalandze. Conference participants were welcomed by: **Zurab Khonelidze**, Professor, Rector of Sokhumi State University, **Solomon Pavliashvili,** Deputy Minister of Environmental Protection and Agriculture of Georgia, **Rodrigo Ballester Esquivias,** Head of the European Studies Center of the Mathias Corvinus Collegium (MCC) of the Hungarian Private Educational Institute and Research Center, **Mariam Sulashvili,** Director of the National ERASMUS+ Office in Georgia, **Rusudan Kutateladze,** Professor, Dean of Faculty of Business Technologies (Georgian Technical University), Professors **Anzor Abralava** and **Evgeni Baratashvili**.

According to the Jean Monnet Module project, the Conference was intended for researchers, academic staff, doctoral students of SSU and other Higher Education Institutions of Georgia and stakeholders; however, due to its importance, foreign academic staff and scientists were involved in it.

It should be noted, that the Conference was attended not only by scientists researchers and postgraduate/doctoral students, but also by experts, representatives of entrepreneurship, young businessmen, managers, and civil society.

At the plenary session reports were presented by:

**Zurab Khonelidze,** Professor, Rector of Sokhumi State University - **European Choice of Georgia;**

**Volodymyr Dubovyk,** Professor, Odessa I.I.Mechnikov National University (Ukraine), Senior Fellow at the Center for European Policy Analysis (USA) - **EU in Times of the Full Scale Russia – Ukraine War: What Lessons We Draw?** (Due to the urgency of the issue, Mr. Volodymyr Dubovyk was invited as an Honorable Guest Speaker);

**Archil Karaulashvili,** Director General for European Integration at the Ministry of Foreign Affairs of Georgia - **Economic Aspects of European Integration;**

**Lela Khoperia,** CSR Expert, CSRDG - **CSR and Sustainability EU and Georgia: Role of Public Policy and New Opportunities in the context of Eurointegration;**

**Medea Inashvili,** Climate Change Expert, UNFCCC Lead Reviewer - **Georgia's Integration in European Union: Climate Change Dimension;**

**Mariam Japaridze,** CSR Manager, Tegeta Holding - **Tegeta Holding Corporate Social Responsibility;**

**Zurab Devdariani,** CSR Manager, RMG Group's - **Rich Metals Group's (RMG) Companies Corporate Social Responsibility;**

**Namig Isazade,** PhD in Business Administration, Shareholder and Founder, International Research, Education and Training Center (Tallinn, Estonia) - **Scientific Journals and Article Indexing in Databases.**

The conference was attended by academic staff, researchers and experts from Sokhumi State University, Georgian Technical University, Ivane Javakishvili Tbilisi State University (TSU), Gori State University, Caucasus University, Black Sea International University, Sulkhan-Saba Orbeliani University, Akaki Tsereteli State University, Kutaisi University, Samtskhe-Javakheti State University, Caucasus International University, National University of Georgia (SEU), New Higher Education Institute – Newuni, St. Andrew the First-Called Georgian University, East European University, Tbilisi Humanitarian Teaching Uni-

versity, Lithuanian, Ukrainian and Azerbaijani Universities, IMF Resident Representative Office, Treasury Service of the Ministry of Finance of Georgia, Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia, Paata Gugushvili Institute of Economics (TSU), Georgian Institute of Politics (TSU), Institute of Hydrometeorology (GTU), TSMU Iovel KutateIadze Institute of Pharmacochemistry, GM-Pharma, Infectious Diseases, AIDS & Clinical Immunology Research Center and others.

The Conference took place in a hybrid mode; Abstracts from conference papers will be published in electronic form after the scientific conference and will be placed on the website of Sokhumi State University: **https://www.sou.edu.ge/content/7/78/218/120/0**

SEE SOURCE: https://cutt.ly/vej58y9n

## საზაფხულო სკოლა 2024 „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების კონტექსტში“ ჟან მონეს მოდულის ფარგლებში

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 3 ივნისს გაიხსნა საზაფხულო სკოლა“კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობათა კონტექსტში” ჟან მონეს მოდულის ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია ERASMUS+ პროგრამის მიერ (101083295-CSREU-ERASMUS-JMO-2022-HEI-TCH-RSCH). საზაფხულო სკოლის გახსნას ესწრებოდნენ და მონაწილეებს მიესალმნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი დავით ჯალაღონია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი რომეო გალდავა, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი ლია ახალაძე, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი ირმა დიხამინჯია.

საზაფხულო სკოლა მიზნად ისახავდა სტუდენტთა ცნობიერების გაზრდას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის, ამ სფეროში ევროკავშირის გამოცდილების შესახებ, ცოდნის ამაღლებას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის თანამედროვე ტენდენციები და მოსალოდნელი შედეგები, ევროკავშირის ინსტრუმენტები მდგრადი განვითარებისთვის; გარემოსდაცვითი სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირში, სოციალური მეწარმეობა და სხვ.

საზაფხულო სკოლაში მონაწილეობდნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები; იგი მულტიდისციპლინარულია - თემატიკა თანაბრად მნიშვნელოვანი და აქტუალურია განსხვავებული პროგრამის სტუდენტებისთვის. მონაწილეებისთვის მოწვეული იქნა როგორც ქართველი, ისე უცხოელი პროფესორები და დარგის აღიარებული ლიდერები. საზაფხულო სკოლისთვის შეირჩა 150 მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტი; შერჩევისას უპირატესობა მიენიჭა იძულებით გადაადგილებულ პირებს, ასევე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებს და სხვადასხვა ღონისძიებებში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით აქტიურად ჩართულ სტუდენტებს.

საზაფხულო სკოლა 2024, რომელიც მოიცავდა 34 სალექციო საათს (მ.შ. 8 სთ. ონლაინ და 26 სთ. ადგილზე დასწრებით), 7 დღის მანძილზე გაგრძელდა და 2024 წლის 11 ივნისს დაიხურა.

საზაფხულო სკოლის მუშაობაში მონაწილეობდა 126 საბაკალავრო (მონაწილეთა 84%) და 24 (მონაწილეთა 16%) სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი; მათ შორის 54 სტუდენტი (მონაწილეთა 36%) - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტიდან, 50 სტუდენტი (მონაწილეთა 33,3%) ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა, 29 სტუდენტი (მონაწილეთა 19,3%) - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, 15 სტუდენტი (მონაწილეთა 10%) - განათლების მეცნიერებათა, 2 სტუდენტი - სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტიდან; მონაწილე სტუდენტთა მთლიანი რაოდენობის 21,3% (32 სტუდენტი) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონეა.

სერთიფიკატების გადაცემის ღონისძიებას ესწრებოდნენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ზურაბ ხონელიძე, პროექტის კოორდინატორი, პროფესორი ლარისა თაკალანძე, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი ზურაბ ლომთათიძე, ცნობილი მედიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ სულუხია. ღონისძიების დახურვისას მონაწილე სტუდენტებმა თავიანთი შთაბეჭდილებები და მოსაზრებები გააჟღერეს.

წყარო: https://cutt.ly/1ej54uOy

## SUMMER SCHOOL 2024 CSR IN THE CONTEXT OF RELATIONS BETWEEN THE EUROPEAN UNION AND GEORGIA

On June 3, 2024, the Summer School “CSR in the Context of Relations between the European Union and Georgia” was opened at the Sokhumi State University within the frameworks of the Jean Monnet Module, which is supported by the ERASMUS+ Programme (101083295-CSREU-ERASMUS-JMO-2022-HEI-TCH-RSCH). They attended the opening of the Summer School and welcomed the participants Head of Administration of Sokhumi State University, Professor David Jalagonia, Head of Quality Assurance Service, As-

soc. Professor Romeo Galdava, Head of Department of Scientic Research and Development, Assosiate Professor Lia Akhaladze, Dean of Faculty of Business and Social Sciences, Assosiate Professor Irma Dikhaminjia.

The aim of the Summer School was to raise students' awareness of Corporate Social Responsibility, the European Union's experience in this area, and to raise awareness of important issues such as: Georgia's current trends and expected outcomes of EU integration, EU tools for sustainable development; Environmental Social Responsibility in the EU, Social Entrepreneurship and more. Both undergraduate and graduate students of Sokhumi State University participated in the Summer School; It is multidisciplinary - the topic is equally important and relevant for students of different programs. Both Georgian and foreign professors and recognized leaders of the field were invited to participate. 150 students with high academic performance were selected for the Summer School; During the selection, preference was given to Internally Displaced Persons, as well as young people living in the occupied territories of Georgia and students actively involved in various events on behalf of Sokhumi State University. Summer School 2024, which included 34 lecture hours (including 8 hours online and 26 hours on-site), lasted for 7 days and closed on June 11, 2024. The Summer School was attended by 125 undergraduate students (83.3% of participants) and 25 (16.7% of participants) of the master's program; including 90 students (60% of participants) of Business and Social Sciences, 21 students (14% of participants) - Humanities, 16 students (10.7% of participants) - Law and Diplomacy, 8 students (5.3% of participants) - Educational Sciences, 15 students (10% of participants) - from the Faculty of Natural Sciences, Mathematics, Technology and Pharmacy; 25.3% of the total number of participating students (38 students) have the status of Internally Displaced Persons.The award ceremony was attended by the Rector of Sokhumi State University, Professor Zurab Khonelidze, Project Coordinator, Professor Larisa Takalanadze, President of the Academy of Sciences of Abkhazia, Professor Zurab Lomtatidze, Academician O. Gudushauri National Medical Centre of Georgia, Professor Revaz Sulukhia. At the end of the event, the students who participated expressed their impressions and opinions.

SEE SOURCE: https://cutt.ly/1ej54uOy

# უჩვეულო ბიზნეს იდეა და უსაზღვრო კმაყოფილება ჭურში*


**ანოტაცია**

წერილში წარმოდგენილია ორი მეცნიერის შთაბეჭდილება თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ შალაურში განხორციელებული ბიზნეს-იდეის და სასტუმრო „ქვევრებიდან“ დანახული საქართველოს ტურისტული პოტენციალის შეფასება.

ავტორი შთამბეჭდავად აღწერს იმ შეგრძნებებს, რაც შეიძლება დაეუფლოს „ჭურში“ დაბინავებულ ვიზიტორს საცხოვრებლად უჩვეულო ქვევრის დისკოსებრი გასასვლელ-შემოსასვლელიდან გომბორის, ალაზნის ველის, კავკასიონის, კახეთის სანახების, ღვინის კულტურის, სტუმართმოყვარე განწყობის ერთობლიობაში ხილვის და აღქმის შედეგად.

გარდა პირადი შთაბეჭდილებებისა, წერილში აქცენტები კეთდება საქართველოში ტურისტული ინდუსტრიის, ბიზნესის განვითარების, ახალი იდეების ხელშეწყობის პრობლემებზე. საინტერესო ფორმით და კომპაქტურადაა გადმოცემული სასტუმროს კონცეფციის ავტორთან შეხვედრა, მასთან დიალოგი, შეხედულებები და მოლოდინები.


# AN UNUSUAL BUSINESS IDEA AND INFINITE SATISFACTION IN THE CHURI*


**ANNOTATION**

The letter presents the impression of two scientists about the business idea implemented in the village of Shalauri of the Telavi municipality and the evaluation of Georgia's tourism potential as seen from the hotel „Kvevrebi".

The author impressively describes the sensations that can be acquired by a visitor staying in "Churi" who witnesses and experiences the sights of Gombori, Alazani Valley, Caucasus, Kakheti, wine culture, and hospitality as a whole from the disco-like entrance of Kvevri, an unusual place to live.

In addition to personal impressions, the letter focuses on the problems of the tourism industry, business development and promotion of new ideas in Georgia. The meeting with the author of the hotel concept, dialogue with him, views and expectations are presented in an interesting and compact manner.


მე და ჩემმა კოლეგა უცხოელმა მეცნიერმა, კონფერენციაზე შეხვედრისას შევთანხმდით, რომ გაგვეგრძელებინა ადრე დაწყებული ერთობლივი პროექტი და გადავწყვიტეთ რამდენიმე დღე გვემუშავა საქართველოში სადმე, წყნარ ადგილას. არჩევანის გაკეთება, როგორც მასპინძელმა, მე ვიკისრე. ინტერნეტ-სარეკლამო პროსპექტებმა, რამდენიმე საინტერესო ვარიანტი შემომთავაზა, მათ შორის, თელავიდან სულ რამდენიმე კილომეტრზე, სოფელ შალაურში სასტუმრო „ქვევრები“ შევარჩიე. ორიგინალურად მეჩვენა ავტორთა მიერ შემოთავაზებული კონცეფცია, წინასწარ მივიღე თითქმის სრული წარმოდგენა თუ რა კომფორტი დაგვხვდებოდა იქ და ყოყმანის გარეშე, ადგილი დავჯავშნე. უკვე ვიცოდი განთავსების ნომერიც და მოუთმენელი მოლოდინი დამეუფლა. ორიოდ კვირის შემდეგ, სტუმარს აეროპორტში დავხვდი და სულ რაღაც საათნახევარი დაგვჭირდა, ნავიგატორმა ზუსტად მიგვაყენა დანიშნულების ადგილას. მისადგომებთან შევნიშნე, რომ თითქმის ერთი კილომეტრი ტყისკენ მსუბუქად ღორღმოყრილ აღმართს უნდა ავყოლოდით. ჩავთვალე, რომ ესეც კავშირშია კონცეფციასთან - სასტუმრო „ქვევრები“ განთავსებულია სოფლისგან და მოსახლეობიდან მოცილებულ ფერდობზე, თითქოს ასფალტმოჭიმულ გზასაც კი არ უნდა დაერღვია ბუნებაში არავისი განმარტოება. ...კიდევ რამდენიმე წუთი და უკვე „ქვევრში“ ვიყავით. პერსონალი საოცარი ყურადღებით დაგვხვდა, ბარგი ნომრამდის მალევე მოგვიტანეს.

პირველი შთაბეჭდილებით, ჩემი სტუმარიც მოიხიბლა და მეც შევიფერე არჩევანი - მართლაც, აქ ყველაფერია იმისთვის, რომ „გამოიკეტო“, ქალაქის გამაყრუებელ ხმაურს, სისასტიკით გადავსებულ ყოველდღიურობას მოსწყდე, დიოგენესავით თიხის ჭურჭელში (დროებით) გადაცხოვრდე და დაისვენო. გარეგნულად, შესაძლოა, ეს ასე ჩანდეს, თუმცა ცივილიზაციასთან კავშირი - ცხელი წყალი, საშხაპე, სველი წერტილი, ყავის ელექტრო მადუღარა, ტანსაცმლის შესალაგი, კონდიციონერი, ტელევიზორი, პატარა მაგიდა სავარძლით თუ განიერი ლოგინი, ისეა განთავსებული ამ საცხოვრებლად უჩვეულო სივრცეში, კვერცხისებრი ფორმა, ყელი და დისკოსებრი თავი სრულად ჰგავს ორიგინალს. მაგრამ

*** ჭურს დასავლეთ საქართველოში ღვინის შესანახ დიდი ზომის თიხის ჭურჭელს უწოდებენ. ტერმინი ჭური, აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული იდენტური ჭურჭლის - ქვევრის სინონიმია.**

*** Churi is a large clay vessel for storing wine in Western Georgia. The term churi is a synonym of an identical dish - Qvevri, which is common in Eastern Georgia.**

ბევრად დიდია და პროპორციაც დაცულია. გასასვლელ-შემოსასვლელი - სწორედ ეს დისკოსებრი თავი, მოკლემეტრაჟიანი ფილმის მიხედვით ცნობილი „ქვევრის" თავისგან განსხვავებით, საკმარისად განიერია - თავისუფლად გადის ადამიანი და შიგთავსიც, ეს არის სამყაროსკენ გასახედიც. წინ აივანია, ორი სავარძელი და მაგიდა დგას. აივნიდან რამდენიმე ნაბიჯზე ვაზის ზვრებია. უფრო შორს - თვალუწვდენელი ალაზნის ველი იშლება, მას მერე კავკასიონის მთები ჩანს ალაგ მწვანეში ჩაფლული, ალაგ კი თოვლიანი მწვერვალები იტაცებს მზერას. გარეთ საცურაო აუზია, რესტორანიც აქვეა, საზაფხულო ბარიც მოუწყვიათ. უკან, ცივგომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე, ტყეა დიდრონი ხეებით, წინ ზღაპრული ხედი. ყველაზე საოცარი აქ მაინც ადრიანი დილაა, მზის ამოსვლას რომ დაასწრებს, საძინებელში მალულად შემოგეჭრება და ჯერაც ძილშერჩენილ ქუთუთოებზე დაგასკუპდება. კავკასიონის კონტურები ჩანს მაშინ სხვადასხვა ფერში, ხან ნათელია, უღრუბლო, ხანაც ნისლში ჩაფლული, თამბაქოს ბოლში გახვეული დარდმწარე მოფიქრალივით, ხან კიდევ წვიმა და საავდრო ღრუბელი ფარავს, ელვა და გრუხუნი ააზანზარებს ამაყად ცადაწვდილ ბუმბერაზ ქედებს, მერე ნაწვიმარზე ჰაერში შერჩენილ წყლის ნამცეცებს მზის სხივები შეანათებს და ცისარტყელას რკალები იწყებენ ელვარებას. შესაძლოა, შხაპუნა წვიმამ და თაკარა მზემაც დასიცხულ სახეზე ერთდროულად მოგეალერსონ

ღამეც უჩვეულოა აქ - სიწყნარეა, მათრობელა სიმშვიდე, ხალხმრავლობის მიუხედავად, გვერდითა ქვევრებიდანაც ხმაური არ ისმის. მარტო მოსიყვარულე წყვილებს თუ დალანდავ. წინ სოფლების გზების განათება იკლაკნება და ქალაქში ფერადი გარე რეკლამები ციმციმებენ. გამთენიისას, თუ არ წვიმს, ცაზე ვარსკვლავები ხელის გაწვდენაზე გეგონება, ზოგჯერ სქელი ღრუბლებიდანაც გამოყოფენ ისინი თავს, თითქოს დამალობანას გეთამაშებიან. ყველაზე საოცარი კი აქ ჭიქა ღვინოსთან საუბარს შეყოლა და აივანზე რიჟრაჟის დახვედრაა - მთებიდან მონაბერი ცივი სიო ზაფხულის პაპანაქებით გადახურებული სხეულიდან ოხშივარივით აყრილ ალმურს აგაცლის, ჩათბუნებას მოგანდომებს და ფერად სურვილებს აღგიძრავს, მით უფრო, გვერდით სულის სანაცვლო თუ გახლავს.





აქედან მთელი სამყარო შეგიძლია დაინახო და მისი უსასრულობაც შეიგრძნო.

ქვევრში ფიქრიც სხვანაირი აღმოჩნდა - სულაც არაა ჩამორჩენილობა, უვიცობა, უმეცრება, კარჩაკეტილობა, როგორც ამას „ჭურში ჯდომას" მიაწერენ.

თვითონ გამოვცადე, დიოგენესთვის არ მიმიბაძავს, ამ ჭურში უსაზღვრო კმაყოფილება მივიღე და შემოქმედებითი შედეგიც შთამბეჭდავი გამოდგა - ჩემს კოლეგასთან ერთად ადრე დაწყებულ პროექტზე მუშაობა წარმატებით დავასრულეთ. კახეთის ყველა ღირსშესანიშნაობა მოვინახულეთ - შალაურის სანახებიდან ერთი ხელის გაწვდენაზეა **წინანდალი** - ჭავჭავაძეების სამამულო ალაგი, უნიკალური მარნით, ორიგინალური დაგეგმარების ბაღით, ირგვლივ მდებარე რამდენიმე ღვინის ქარხნითა და სადეგუსტაციო მომსახურებით; **იყალთო, ალავერდი, ნეკრესი, გრემი, შუამთის ძველი და ახალი მონასტრები** - ქართული კულტურისა და სულიერების სწორუპოვარი ძეგლები; **თელავი** - პატარა კახის ნასისხლარი და ნაჯაფარი შემოგარენი; ბოლოს, მე მგონია, თუ აქ დასვენებას ირჩევ, **სიღნაღს** - სიყვარულის ქალაქს, უნდა ეწვიო, ბოდბეში სასწაულმოქმედი წყლით განიბანო და წმინდა ნინოს ძვალშესალაგი მოინახულო, მისი სახელობის მონასტრის კედლებს ემთხვიო. აქ წალკოტის მსგავსი ბაღი და წარმტაცი ხედები უნდა აღბეჭდო ფირზე.

სასტუმრო „ქვევრებში" სტუმრობის პერიოდი დაემთხვა ფეხბურთში საქართველოს ნაკრების გერმანიაში ასპარეზობას. ჩვენი გუნდის პირველი-ორ შეხვედრა თურქეთთან და ჩეხებთან აუზის გვერდით ღია ბარში



დიდეკრანიან ტელევიზორთან ვუგულშემატკივრეთ. საინტერესო ის იყო, რომ აქაურობით მოხიბლული უცხოელი და თუ ქართველი, ყველა ჩვენს გუნდს ქომაგობდა. ეს ეპიზოდიც ცხარედ დააჩნდა ჩვენს საერთო პოზიტიურ განწყობას.

იმ დღეებში „ქვევრების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ბატონი გიორგი როჩიკაშვილი, ჩვენთან და დამსვენებლებთან ერთად ტრიალებდა, საუზმობდა, საქმეებს აკეთებდა. მე ის სარეკლამო რგოლებიდან ვიცანი. ერთხელაც, მივედი, ასეთი უჩვეულო იდეის განხორციელებისთვის მადლობა ვუთხარი და იქვე, გულწრფელი პატივისცემის ნიშნად, უანგარო პროფესიული თანადგომა შევთავაზე. ვთხოვე, თავისუფალ დროს, მის ბიზნესზე სასაუბროდ რამდენიმე წუთი დაეთმო. ის იმ წუთსვე უყოყმანოთ დამთანხმდა. ჩემმა კოლეგამ კითხვებიც კი მოამზადა და შეხვედრისთვის განეწყო. მე უფრო დიალოგს ვარჩევ ყოველთვის, ამიტომ წინასწარ კითხვებს არ ვინიშნავ, არ ვიზლუდები, თემაზე ვთანხმდები მხოლოდ. საუბარი შეგიტყუებს და რა მიმართულებას მიიღებს ძნელია განსაზღვრო., მით უფრო, მისგან მე ის უფრო მაინტერესებდა, რაც ამ პროექტზე ჯერ არ უთქვამს ან ჟურნალისტებს არ შეუთხზავთ.

ორიოდ დღეში ასეთი შეხვედრა შედგა. ფინჯან ყავაზე საუბარი ბიზნეს იდეის გაჩენის შესახებ დავიწყეთ. მართლაც, საინტერესო და უცხოა, რომ შუაგულ კახეთში, ღვინის კულტურის ყველაზე ძირძველი ტრადიციების ცენტრში, გაშლილ ფერდზე დაყარო დიდრონი ქვევრები და ღვინის დასავარგებელი ჭურჭლის ფორმის ამ სივრცეში რომანტიკული დასვენების ორიგინალური გადაწყვეტა შესთავაზო სტუმრებს და თანამემამულეებსაც, წინ ვენახი გააშენო, მერე ამ ყურძნისგან ღვინო დაწურო და ჩამოასხა, სადეგუსტაციო ტურები ჩანიშნო, ირგვლივ განფენილი აუწონელი სიმდიდრის ძეგლებისკენ მარშრუტები დაგეგმო, მომსახურების ახალი სერვისები გააჩინო, ზამთარ-ზაფხულისთვის ვიზიტორებს ხელსაყრელი ატმოსფერო დაახვედრო, ყველა მოხიბლო და ეს წარუშლელი შთაბეჭდილება დაბრუნებისას სახლებში გაატანო. დიდი დაკვირვება და გონების დაძაბვა არაა საჭირო, ისედაც მიხვდები, რომ ეს იდეა ამ რეგიონზე ზედმიწევნით მორგების და გადაწყვეტის საუკეთესო ნიმუშია. ადგილს სხვაგანაც ეძებდნენ. მაგრამ შალაურის ეს ფერდობი ძალიან მოიხდინა ქვევრების სასტუმროდ ქცევის იდეამ. გომბორი, ალაზნის ველი, კავკასიონი, კახეთის სანახები, ღვინის კულტურა, სტუმართმოყვარე განწყობა, ერთობლიობაში, უნაკლოდ მოერგო ავტორთა მიერ ბრწყინვალედ განხორციელებულ კონცეფციას.

როგორც გიორგიმ ბრძანა, მანამდე ტურისტულ კომპანიას ამუშავებდა და გამოცდილებამ, ქალიშვილის მეცადინეობამ შთააგონა ბიზნესის განვითარებისთვის ასეთი გადაწყვეტა მოენახა. ცხადია, გაიჩინა თანამოაზრეები, უპირველესად, ოჯახის წევრები, გამოიარეს სახსრების მოძიების, პროექტირების, კონსტრუქციების აგების, შესაბამის მასალების შერჩევის, კომუნიკაციის სისტემების გამართვის, პანდემიის და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი სირთულის, ადმინისტრაციული ბარიერების გადალახვის ეტაპები. უკვე რვა თუ ცხრა თვეა, რაც მუშაობა დაიწყეს. როგორც ივარაუდა, დამსვენებელთა და ვიზიტორთა რიცხვი მატულობს, გეოგრაფიული არეალი ფართოვდება. აზია-აფრიკის კონტინენტიდან ჩამოსულები და ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები განსაკუთრებით იხიბლებიან გაშლილი ლანდშაფტის შემოგარენთან შერწყმის განუმეორებელი ნაზავით. ჯერ კიდევ ადრეა ფინანსურ შედეგზე მსჯელობა. მაგრამ პერსპექტივა ჩანს. სასტუმრო კომპლექსი ახლა იწყებს ფეხადგმას, ორიენტირებულია განვითარებაზე, გათვლილია მომხმარებელთა ფართო სპექტრზე. აქ ამოდიან საქმოსანი ადამიანები ღამის გასათევად, ქვევრების გარდა, ამ სივრცეში არის მაღალი კლასის სასტუმრო ნომრებიც, საკონფერენციო დარბაზი, შეხვედრებისთვის მყუდრო გარემო. მოდიან ჯგუფები მიზნობრივი ტურებით. „ქვევრები“ უფრო წყვილების, ოჯახური დასვენების ინტერესებს ერგება. აქ ელიტური საზოგადოებაც ხვდება, ძირითადად კი საშუალო მომხმარებელს იზიდავს.

ჩვენ ბევრ სხვა საკითხსაც შევეხეთ, მათ შორის, სტაბილურობის ფაქტორს ბიზნესის განვითარებაში, არსებულ ბიზნეს გარემოს, ხელშეწყობის და მხარდაჭერის, შეღავათების აუცილებლობას. სატარიფო განაკვეთებიც არ დაგვრჩენია ყურადღების გარეშე. ჩემმა მასპინძელმა კარგად იცის, არეულობა, დაპირისპირებები და ომი, რომელიც ახლა ღაზას სექტორსა და უკრაინის



ტერიტორიაზე მიმდინარეობს, აფერხებს ეკონომიკურ კავშირებს, მით უფრო, ტურიზმის განვითარებას. პანდემიის პერიოდში დაწესებული უაზრო შეზღუდვებით მიღებული შოკი ჯერ კიდევ განეიტრალებული არაა. ბიზნესგარემოც გამოდის რეკეტული წარსულის ზეგავლენებიდან. დაბალ ტარიფებზე ვერ შეიქმნება ის პროდუქტი, რომელიც მომხმარებლის მაღალ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. მაგრამ არც უაზროდ მაღალი განაკვეთები იმუშავებს დაბალშემოსავლიან მოსახლეობაში. დაბალტარიფიანი სტარტი - ეს კლიენტების მოზიდვის მარკეტინგული ხრიკი - მცირე ხნით ყველგან მისაღებია. აქაც ხშირად ეწყობა აქციები, რომელთა ფარგლებში მომხმარებელი იღებს საგრძნობ სარგებელს.

დავინტერესდი, ხომ არ აპირებდა ან ხომ არ აჯობებდა დამხმარე მეურნეობები შეექმნათ და საკუთარი წარმოების პროდუქციით დახვედროდნენ დამსვენებლებს. ქართული ტურისტული ინდუსტრიის პრობლემა სწორედ ისაა, რომ ძირითადად იმპორტზე მუშაობს და სხვისი ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს. მაგრამ ეს ისეთი პრობლემაა, რომელიც მხოლოდ მიკრო დონეზე არ წყდება, სახელმწიფომ უნდა გააჩინოს შესაბამისი სტიმულები. სასტუმროს მშენებლობაზე უმთავრესად ადგილობრივი ნედლეული იყო გამოყენებული. შიგთავსშიც ადგილობრივი წარმოების ავეჯია. ცალკეული ინვენტარი იმპორტიორთანაცაა შეძენილი. ასეთი (ჯერ) მცირე საწარმოებისთვის, როგორიც „ქვევრებია“, დამხმარე მეურნეობების მოწყობაზე თანხების დაბანდება ნაადრევია და არც მიზანშეწონილობა იკვეთება. მით უმეტეს, როცა სტარტისთვის ბანკისგან აღებული სესხების დაბრუნებაზე მნიშვნელოვანი რესურსების მობილიზებაა საჭირო. ადგილობრივი მომწოდებლებისგან ხდება სასურსათო პროდუქციის მიღება და ამ მხრივ, კავშირურთიერთობები აწყობილია. სამომავლოდ ფიქრობენ საკუთარი პლანტაციისგან ყურძნით დაყენებულ ღვინოს მოუძებნონ მომხმარებლისთვის მიწოდების უფრო საინტერესო ვარიანტები, მოაწყონ სადეგუსტაციო მიღებები - ბევრი რამ ჩანაფიქრის და პროექტის დონეზეა.

ბატონი გიორგი ყველა საკითხზე მსჯელობდა, როგორც იდეის გენერატორი, ბიზნესთან და ფინანსურ საკითხებზე ჩემს „ჩამჭრელ“ კითხვებზე პასუხს თავს დელიკატურად არიდებდა, მეც არ „დამიხრჩვია“ ამის გამო. სავსებით ბუნებრივია, შიდა სამზარეულოს ყველა „ინვენტარის“ გადმოლაგება საჭირო არცაა.

რაც შემეძლო, ფინანსურ საკითხებზე რჩევები გავუზიარე, როგორც მომხმარებელმა, სერვისების გაშლის და ახალი სახეების შემოღების შესახებ მოსაზრებები მეც შევთავაზე.

ჩემი კოლეგა საუბარში იშვიათად ერეოდა. მას საუბარში დამწყები ბიზნესმენებისთვის გამოცდილების გაზიარებისა და წარმატების გამხელის ჩართვა სურდა. დიალოგმა ურთიერთკეთილგანწყობის და პატივისცემის გამოხატვის ატმოსფეროში ჩაიარა. მე და ჩემი კოლეგა, დასვენების პირობებზე არანაკლებად ამ შეხვედრითაც მოვიხიბლეთ.

უდავოა, საქართველოს ტურიზმის განვითარების პოტენციალი გააჩნია. ასეთი იდეები და წამოწყებები ამდიდრებს დამსაქმებელს, საქართველოს ეკონომიკას და კმაყოფილებით სავსე მომხმარებელს, რაც საქართველოს ცნობადობის ზრდისა და ინტეგრაციულ ცენტრებში ჩართვისთვის განსაკუთრებულად საჭიროა.

საქართველოში ახლა ბიზნეს იდეების განხორციელების დროა. ირგვლივ ბევრ ახალ და საინტერესო წამოწყებას ნახავ. ამას უცხოელის კარგად ხედავს და აფასებს. ჩემი სტუმარიც ხომ განცვიფრებული დარჩა.

მეორე დღეს უკვე ჩვენი წამოსვლის და სტუმრის გაცილების დრო დადგა. გულთბილად დავემშვიდობეთ მასპინძლებს და შალაურის დაუვიწყარი შთაბეჭდილებები ორივემ უხვად დავიმგზავრეთ.

**იური პაპასქუა**
ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი, პროფესორი

# ჟურნალის მკითხველთა და პოტენციურ ავტორთა საყურადღებოდ!

ვფიქრობთ, თქვენთვის საინტერესოა გაცნობოთ, რომ ჟურნალი **„ბიზნესი და კანონმდებლობა“** უკვე 2020 წლის დეკემბრიდან გამოდის საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური სტატუსით და ინდექსირებულია საერთაშორისო საძიებო ბაზაში **Google Scholar,** აგრეთვე რამდენიმე სხვა ბაზაში (იხ. საიტის მთავარი გვერდი ojs.b-k.ge-ზე).

ჟურნალი წლების განმავლობაში წარმოადგენდა საქმიანი წრეებისთვის საიმედო პარტნიორს, ბიზნესის დარგში - გამოცდილ გზამკვლევს, საკანონმდებლო აქტების ლაბირინთებში - გულთმისან მეგზურს, აკადემიურ სფეროსთვის - უანგარო მსახურს და აგრძელებს ამ ტრადიციას.

ჟურნალი ღიაა ყველა დაინტერესებული პირისთვის. მასში შესძლებელია ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე სტატიების გამოქვეყნება ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. მიიღება რეცენზიები გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღანელოებზე, აგრეთვე საკანონმდებლო აქტებზე კომენტარები, განმარტებები, შენიშვნები და სრულყოფის რეკომებდაციები.

ჟურნალის ახალ სტატუსთან დაკავშირებით, შეგახსენებთ სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების წესს და გაწვდით დამატებით მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს **A4 ფორმატით.** მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეფერატის ჩათვლით, არ უნდა იყოს კომპიუტერზე **1,5 ინტერვალით** და **11 ზომის შრიფტით** ნაბეჭდი ტექსტის **7 გვერდზე** ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს **20 გვერდს.** მასში უნდა იკვეთებოდეს საკვლევი პრობლემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები (სიახლე), რეკომენდაციები.
- ქართულ ენაზე შესრულებულ ნაშრომს უნდა ახლდეს რეფერატები ქართულ და ინგლისურ ენებზე - თითოეული 1000-მდე ნიშნის მოცულობით. უცხო ენაზე დაწერილს კი - ძირითადი შინაარსი 2-3 გვერდზე ქართულ ენაზე და რეფერატი იმავე უცხო ენაზე.
- რედაქციაში სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელვერსიასთან ერთად (ქართული და უცხოურ ენაზე ტექსტი - შრიფტით **sylfaen,** ხოლო უცხოურ ენაზე ტექსტი **- Times New Roman**). სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ან ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;.
- სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება. ლიტერატურის დასახელება უნდა განთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით: ა) წიგნის დასახელება შემდეგი თანმიმდევრობით - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი; ბ) საჟურნალო სტატიისათვის - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ჟურნალის ნომერი. ლიტერატურის სიაში მითითებული წყარო გამოყენებული უნდა იყოს სტატიის ტექსტში. ამა თუ იმ ავტორის ნაშრომიდან ციტირებისას, მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი გვერდის აღნიშვნით შემდეგი სახით [3, გვ. 41], სადაც პირველი ციფრი შეესაბამება ციტირებუილი წყაროს რიგით ნომერს გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე - იმ გვერდს, საიდანაც მოყვანილია ციტატა. ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის (ჟურნალის) ბიბლიოგრაფიული აღწერა უნდა შეესაბამებოდეს მის სატიტულო ფურცელს.
- ძირითადად ტექსტში ცხრილები, გრაფიკები და სქემები უნდა განთავსდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ ადგილი არასაკმარისია - შეიძლება მომდევნო გვერდზე. ცხრილებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა ჰქონდეს დასახელება და ნუმერაცია.

გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია გადის რეცენზირებას დარგის სპეციალისტ რეცენზენტთან (რეცენზენტის ვინაობა ავტორისთვის არ იქნება ცნობილი, არც რეცენზენტს ეცნობება ავტორის/ავტორების ვინაობა).

ცალკეული გამონაკლისის გარდა, სტატიის გამოქვეყნება ფასიანია - ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების საფასურია **150 (ასორმოცდაათი) ლარი.** ანგარიშსწორების ანგარიში მითითებულია ჟურნალში.

აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობისას, სტატია არ გამოქვეყნდება და ავტორს არ უბრუნდება.

წელიწადში გამოდის ჟურნალის არანაკლებ 2 ნომერი, ვრცელდება ელექტრონულად და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის მისამართზე: **http:Ojs.b-k.ge; http://b-k.ge/.**

**სტატიები გამოაგზავნეთ მისამართზე: yuripapaskua.b.k@gmail.com**

**ან მოგვაწოდეთ რედაქციაში ნაბეჭდი სახით, ელვერსიასთან ერთად.**

ჟურნალის რედაქცია

# ATTENTION JOURNAL READERS AND POTENTIAL AUTHORS!

We think it is interesting for you to inform that the journal "Business and Legislation" has been published since December 2020 with an international scientific-analytical status and is indexed in the international search database **Google Scholar**, as well as in several other databases (see the main page of the site at ojs.b-k.ge).

Over the years, the journal has been a reliable partner for business circles, an experienced guide in the field of business, a kind guide in the labyrinths of legislative acts, a selfless servant for the academic field and will continue this tradition.

The journal is open to all interested parties. It is possible to publish articles in Georgian, English, German and Russian languages on topical issues of business administration and management, economic and social policy. Reviews of published monographs and manuals, as well as comments, clarifications, notes and recommendations for improvement on legislative acts are accepted.

Regarding the new status of the journal, we remind you of the rules for publishing a scientific article and provide you with additional requirements:

- The scientific article should be presented in **A4 format**. The volume, including the list of used literature and the abstract, should not be less than **7 pages** of typed text on the computer **with 1.5 spacing and 11 font size and should not exceed 20 pages.** It should outline the relevance of the research problem, research goals and objectives, research methodology, research results (newness), recommendations.

- The paper written in Georgian must be accompanied by abstracts in Georgian and English - up to 1000 marks each. For those written in a foreign language - main content on 2-3 pages in Georgian and abstract in the same foreign language.

- It is necessary to submit the article to the editors as a printed copy, together with the version (Georgian and foreign language text - **Asylfaen font**, and foreign language text - **Times New Roman**). Below the title of the article (on the right side) should be indicated the full name, surname, academic degree, position, telephone and e-mail address of the author (or authors).

- The article should show the use of important literature related to the research problem. The name of the literature should be placed at the end of the article in the form of a single list: a) the name of the book in the following order - surname and initials of the author (authors), name of the book, place of publication, publishing house, year; b) for a journal article - surname and initials of the author(s), title of the article, title of the journal, year, number of the journal. The source indicated in the bibliography should be used in the text of the article. When quoting from the work of this or that author, he should indicate the source by indicating the appropriate page in the following way [3, p. 41], where the first digit corresponds to the serial number of the quoted source in the list of used literature, and the second - to the page from which the quotation is given. The bibliographic description of each book (journal) in the bibliography should correspond to its title page.

- Basically, in the text, tables, graphs and charts should be placed in the place of their reference, if there is not enough space - maybe on the next page. Tables, graphs and charts should have a title and numbering.

The scientific article submitted for publication is reviewed by a specialist reviewer in the field (the identity of the reviewer will not be known to the author, nor will the reviewer be informed of the identity of the author/authors).

With a separate exception, publishing an article is paid - the fee for publishing an article in a journal is **150 (fifty) GEL.** The settlement report is indicated in the journal.

If these requirements are not met, the article will not be published and will not be returned to the author.

At least 2 issues of the journal are published per year, distributed electronically and available to any user at the address: **http: Ojs.b-k.ge; http://b-k.ge/.**

**Send the articles to the address: yuripapaskua.b.k@gmail.com, or submit them to the editorial office in printed form, together with the version.**

**JOURNAL EDITORIAL**

# ბიზნესი და კანონმდებლობა




# Business & Law

ტექნიკური რედაქტორი: ლევან ბოჭორიშვილი

TEQNICAL EDITOR: LEVAN BOCHORISHVILI


**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, გლდანი, ნიკო კეცხოველის 24, ბ.61
ტელ: 599 56-14-57, 574 43-64-27
www.b-k.ge; www.ojs.b-k.ge
E-mail: yuripapaskua.b.k@gmail.com

**საბანკო რეკვიზიტები:**
სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი";
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ა/ა GE30BG0000000850902700;
ს/კ 404956455.

**ADDRESS OF EDITORIAL BOARD:**
Tbilisi, Gldani, Niko Ketskhoveli 24, f.61.
Tel: 599 56-14-57, 574 43-64-27
URL: www.b-k.ge; www.ojs.b-k.ge
E-mail: yuripapaskua.b.k@gmail.com

**BANK DETAILS:**
JSC Bank of Georgia
Bank code: BAGAGE22
c/a GE30BG0000000850902700
i/c 404956455